


ქვეყნის მთავრობის

ივერია

1882

№ № IV & V, აპრილი & მაისი.



თბილისი.

გვეთამე ხელაძის სტამბა.

1882

შინაარსი:

I	ძირითადი სურათები, (სასუფიერო წოდება— ქართული ქალი) (შემდეგი) მღ. დიმიტრი ჯანაშვილისა.	3
II	ხუთი ჯერედ არ დაბეჭდილი ლექსი ნ. ბარათაშვილისა.	55
III	შუკოესკიდან (ლექსი) თ. გ. ორბელიანი	56
IV	სიხე შიგნიდან გატეხილი, რამანი (შემდეგი).	63
V	შინიას მამითადი (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა.	155
VI	სურათი სოფლის ცხოვრებიდან (ლექსი) მისივე.	157
VII	ახალ-გაზღობის მიმართულებაზე, (წერილი რედქციისადმი) ნ. სუდგოვისა.	159
VIII	* * (ლექსი) ვ. თ. ს.	186
IX	აღდგომა (ლექსი) სილოგენისა.	187
X	წერილი იერის-ხეობიდან: რას უნდა მოველოდეთ გამსესხებულ-შენიხვეულ და დამზოგველ ამხანაგობათაგან? —ერთი ამ გვარი ამხანაგობათაგანი. —საგარე ეოს ბანკი და დეპო—ამათი ნაყოფი. ა. კავთელისა.	190
XI	ნახული და გაგონილი, მგზავრობა მტკვრის აყოლება. — ბორჯომის ხეობა—კარი სამცხე-საათაბაგოსი.—	

განაკვეთილი
მუცხე // თბილისი.

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი.

წელიწადი შეექცეს.

№ IV № V

8009



თბილისი.

ექვთიმე სელაძის სტამბა, ლორის-მედიკოვის ქუჩაზე.

1882



Дозволено цензурою. Тифлисъ, 26. Апрѣля 1882 г.

ისტორიული სურათები.

სასულიერო წოდება.

(შემდეგი *).

მელქისედეკ ქათალიკოზის მაგალითს და მის მეცადინეობას საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მისდევდა ამისი მოადგილე ოქროზი ქათალიკოზიცა. ეს იყო გაზდილი მელქისედეკისაგან ღ, წასაკვირველია, მიმართულებაც თავის გამსდელისა ექნებოდა. ამანა და ამისმა გამსდელმა სრულიად მოსპეს ანტიოქიის პატრიარქების გავლენა საქართველოზე. იმათ აღარსა ჰკითხავდენ, თუნდ ეკლესიას რაიმე ძნელი საქმე აღმოსსენოდა, როგორც წინად დაეკითხებოდენ ხოლმე. ეს იწყინა ანტიოქიის პატრიარქმა თეოდოსემ და მოიწადინა საქართველოს ეკლესიისათვის დაუმოკიდებლობის ჩამოკრთმეკა. თავის განზრახვის აღსრულების საბუთად ის მოჰყავდა, რომ საქართველოს ეკლესია მოცაქულთაგან არ არის დაფუძნებულიო. ამის თაობაზე დაიბარა ათენის მთიდგანგიორგი მთა-წმინდელი და კამოუცსადა თავისი განზრახვა. ეგონა, ისიც მოუწონებდა ამ აზრს, ღ რადგან ქართველი იყო და დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს მეფეებზე, ერზე,

*) «ივერია» № 3, 1882 წ.

ეკლესიაზე და პოლიტიკურს საქმეებზე, იმის შემწეობით აღასრულებდა თავის განზრახვას. გიორგის ძლიერ ეწეინა ეს განზრახვა; ეწეინა ისიც, როგორცა სჩანს პასუხიდან, რომ პატრიარქმა ჩვენი სასულიერო წოდება უმეტრად და ბრწყინად დასასხელა. «ჩვენში, ეუბნება გიორგი პატრიარქს, ქრისტიანობა ჯერ გაავრცელეს ანდრია მოციქულმა და სვიმონ კანანელმა, მერე მოციქულთა-სწორმა წმინდა ნინომ. რაკი ერთხელევი ვიცნით ჭეშმარიტი ღმერთი, აღარასოდეს მას აღარ განვმორებივართ და არცა ჩავარდნილავართ რომელსამე მწვალებლობასა. დღესაც ჩვენ უკვლა მწვალებლებს უარს ვყოფთ და შევჩვენებთ. ჩვენ მტკიცედ ვადგევართ მართლ-მადიდებლობითს ქრისტეს სჯულსა და ვასრულებთ ქრისტეს სწავლასა და მოციქულთა მცნებებს. თუ ასეა, მას რა საფუძველით, რა საბუთით გვრაცხთ ჩვენ უმეტრებად და თქვენს თავს კი აღიარებთ მეცნიერად და ბრძნად? თქვენ არ იყავით, რომ ხატთა დევნიდნოდნისე შეარყიეთ მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოება, რომ გუთელ იოანე ეპისკოპოსმა ხელდასხმა მიიღო ჩვენს მცხეთაში და არა საბერძნეთში, როგორც სწერია დიდს სვინაქსარში»¹⁾.

ამისთანა საუბრით გიორგიმ დააწმუნა და ჩააგონა თეოდოსე პატრიარქს ხელი აელთ იმ განზრახვაზე, რომ მოესპო საჭართველს ეკლესიის დაუმოკიდებლობა; მაგრამ, როგორც ეტყობა, პატრიარქს გულისდამ თავისი წადილი არ ამოუღია. პირველ საუბრის შემდეგ იგი უმეკობრდება გიორგის,

¹⁾ იხ. ქართლის ცხოვრება გვ. 168; *Исторія Аѳонѣ еп. Порфирія Успенскаго*, და წმინდა მამათა ცხოვ. გამოცემა საბინინისა გვ. 463.

მალ-მალე იწვევს თავისთან სასაუბროდ. რაზედა აქვთ საუბარი, არა სჩანს. უეჭველია, რომ ეს საუბარი ამავე საგანზე უნდა ჰქონოდათ 1).

გიორგი მთა-წმინდელმა არამც თუ ეკლესიის დაუმოკიდებლობა დაიცვა, არამედ დიდი ღვაწლიც დასდო სასულიერო წოდებისა და ერის განათლებას. 1059 წელს ის მოვიდა საქართველოში ღმერთისა თავის მიერ ნათარგმნი წიგნები, მოჭრიფა საქართველოში ოთხმოცამდე ემაწვილი 2) და წაიყვანა ათონის მთაზე. სხვებისთვის მაგალითის საჩვენებლად მოამზადა აქ წასაყვანად ვერ ორი თავისი დის-წული, მერმე შეჭრიფა ქალაქებში, სოფლებში, მონასტრებში და ზოგნი ეიდევე გამოისყიდა ბატონებისაგან. ერთის სიტყვით: თავადი, აზნაური, მდიდარი, გლახაკი, ობოლი, მონა, მწუქესი, — ვინც შეჭსვდა, ყველა მიიღო წიგნის სასწავლებლად. ხალხს ისე დიდად სწამდა მისი სიწმინდე და მალა-გონიერება, რომ დედამათ თვითონვე მოჭყავდათ მასთან შვილები, სტოვებდენ მის ჯარებს წინ და თვითონ სასლში გარდისხეწებოდენ. ამ სახით გიორგის შეუგროვდა ოთხმოცა ემაწვილი 3).

სამმა მიზეზმა იძულებული ჰყოლოდა მთაწმინდას ხელი ამ გეთილ საქმისთვისო, ამბობს ეპისკოპოსი პოროფირი უსპენსკი. 1) იმას ჰსურდა საქართველოს ეკლესიას ჰყოლოდა განათლებულნი სასულიერო პირნი; 2) სურვილი ჰქონდა, რომ მისგან გადმოთარგმნილი წიგნები შეესწავლათ ემაწვილებს, რომ-

1) ქართ. წმ. ცხოვრ. 462 და 469 გვ., ქართ. ენაზე, გამოცემა საბინინისა.

2) იხ. იქვე გვ. 470.

3) იხ. იქვე.

მელთაჲ ეს უფრო ადვილად შეეძლოთ, ვიდრე დიდებსა, და 3) ეწადა ათონის მთაზე, ქართველთ ღაჯარში, საცა ასაფლავიან წმინდათა მამათა გვამნი: იოანესი, ეფთვიმესი, ანსენისა, გრძელბისა და მრავალთა ქართველთა წმინდათა, უმაწვილებს შეესწავლათ ღმობიერი და ბრწყინვალე წირვა-ლოცვა და მეტვე მოსუფიეგენს სამშობლო ქვეყანაში ¹⁾).

1066 წელს გიორგიმ წაიყვანა თავისი ოთხმოცი მოწაფე და წავიდა ათონის მთაზე. თან გაჰყვნენ მრავალნი თავადნი და გლეხნიცა. ამათში ერთი ერთისთავიც, სასყლად პეტრე. იმათ გაიარეს კონსტანტინეპოლზე. აქ დიდის პატივით მიიღო თავის სსასლესი იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ. მეორე დღეს უბძანა გიორგის, მიჩვენე შენი ობლები, რომელნიც წამოგიყვანია საქართველოდგან აღსასრდელათაო. პეტრე-პავლობის დღესასწაულის ორ-დღის წინად, 26 ივნისს, იმან უბძანა თავის მსლებლებს მოემზადებინათ ყველა უმაწვილები იმპერატორისათვის საჩვენებლად, რომელმაც ამავე დროს შეატყობინა გიორგის, რომ იგი ნასავს მის ობლებს ფილოპატროსის ველზე. უმაწვილები გამზადეს. წმინდა მამა, თუმცა სნეულებდა, მაგრამ მანც სხვის მოუსმარებლად შებძანდა ცხენზე, წინ წაუძღვა თავის მოწაფეებს და მივიდა დანიშნულს ადგილას. მოვიდა იმპერატორიც თავის მეძვეიდრე შვილით და მრავალთა სეფე-წულებითა. როცა მან დაინახა თითქმის შვიდ-შვიდ წლის ობოლნი, მოკლე-მოკლე ბერულს ტანისამოსში გამოსვეულნი, ღმობიერებაში მოვიდა და უთხრა გიორგის: «მამაო, მამაო! დიდი, დიდი საკეთილო საქმე გიქმნიაო.» ამ დროს გიორგიმ მიაწოდა ხელში ხელმწიფეს აზზა და უთხრა

¹⁾ იხ. იქვე გვერ. 471.

პირად: «ღვთის შემდეგ, სელმწიფეო, მე იმედი მაქვს შენზე: მოაწია უამმა ჩემის სიკვდილისამ, და გაზარებ და მოგანდობ შენ მზრუნველობას ამ ჩემს ობლებსა» *).

აი ასეთი მზარველი იყო გიორგი მთა-წმინდელი თავის ერთ სისსლ-სორც ერისა; იყო მოწადინე მის განათლებისა, მის კეთილ-დღეობისა, დაუმოკიდებლობისა; იყო მოსაწილე თავის სამშობლო ქვეყნისა წინაშე პატრიარქებისა და იმპერატორებისა ²).

ამავე წმინდა მამის დროს გუფით და სუფით მოწადინენი იუენენ ქართველ ხალხის განათლებისა კიდევ სსკასნი: გიორგი, რომელსაც ეწოდა სხელად ასალი-ზრანაძი, ილარიონ თუფაელი და კიდევ მრავალნი სხვანი. მაგრამ თუ ქართველებმა დაიცეს თავისი საწმუნოება ალპ-აწლანისაგან, რომელიც ამ დროს შემოესია საქართველოს და გიორგიმ თავის თვალით იხილა სამშობლო ქვეყნისათვის მისგან შემთსეული უბედურება, — ამის მიზეზი იყო არაუინმე სხვა, არამედ გიორგი მთა-წმინდელიო, ამბობს ბარათაშვილი ³).

დაწმუნებულნი ვართ, ვინც ცოტადენად ჩვენის ძველებურის სასულიერო წოდების ისტორია იცის, ამ ჭაჭტებიდან იმ აზრს არ გამოიყვანს, ვითომც სასულიერო პირნი მართლ იმას მეცადინებდენ, დაეცვათ ქართველ ხალხში ქრისტიანული საწმუნოება. არა, მათ თავიანთი მოვალეობა ასე მტირედ არ ესმოდათ. იმათი მოქმედების ასპარეზი განიერი არცა მტერი ექადის ჩვენს საწმუნოებას, ისინი შთაავრნე-

1) იხ. იქვე გვ. 476.

2) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 226 და 229.

3) იხ. აგრეთვე ქართ. წმ. ცხოვ. საბინინისა გვ. 472.

ბენ ხალხს, არ მოლაღოდეს, არ შედრკეს, არამედ მხნედ წინა-
 აღუდგეს მტრის განზრახვას. როცა მტერი არ აწუხებს სამ-
 შობლო ქვეყანას, სუივეკს მასში მშვიდობიანობა, მასინ სუ-
 ლით და გუღით შეტადინებენ გაავრცელონ ხალხში განათ-
 ლება. ყოველგან მონასტრებში ბერებს და ეპარქიაში მღვდელ-
 მთავრებს სასწავლებლები აქვთ გახსნილი, ბეჯითად ასწავლიან
 ქართულს ენაზე წერა-კითხვას, სამღთო წერილს და მეცნიე-
 რებას. ამ საქმეში მათ შეკვლიან მონაზნები დედათა მონას-
 ტრებში და სოფლად წარჩინებულთა ცოლები და გლეხთა ჯა-
 ლაზნი. მაგრამ როცა სამშობლო ქვეყნის გაძლიერება მონათ-
 ხოცს მათს ქომადგობას ჭკუით, განათლებით, ცოდნით, და-
 რიგებით, ხალხზე გავლენით, მასინ ვისაც ამ გვარი სამ-
 სასურის ნიჭი აქვს, თან მიჭყეობა მეფის ლაშქარს, მხურ-
 ვალე მონაწილეობას იღებს მტერთან ბძოლაში, მის დამარ-
 ცხებაში და მასთან შერიგებაში. მოიგონეთ გიორგი ჭყონ-
 დიდელი, მეფის დავით აღმაშენებელის «მწიგნობართ-უსუტე-
 სი, კაცი სრული ყოველითა სიკეთითა, სულისა და სოცოთა-
 სა, საკსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახნი, სვიანი,
 იერთნილი, თანა-აღზრდილი პატრონთა, და თანა-განკათუელი
 ყოველთა გზათა, და საქმეთა და ღვაწლთა მისთა»¹⁾. მეფე
 დავით აღმაშენებელი მედგრად ებრძვის თურქებს, მეცადინეობს
 მათ გარკვას საქართველოდგან, მაგრამ გიორგი ჭყონდიდელს
 უფრო ესწრაფება მათი განდევნა, ვიდრე მეფეს. უკანასკნელს
 ჯერ-ჯერობით არა სწადიან და არც რომ იმედი აქვს წარ-
 თვას სამშვილდის ცხე მტერს. ამისა გამო, ვიდრე მეფე აღ-
 მოსავლეთის საქართველოში არის, ჭყონდიდელი განუშეუ-

¹⁾ იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 247.

ღია, უცდის იმის იმერეთში წასვლას. ზეგ ახლად მეფე წავი-
და დასავლეთის საქართველოში. მაშინ ჭყონდიდელი უბძანებს
თავის დის-წულს თეოდორეს, კლდე-გარისა და თრიალეთის
ბატონსა, აბულელსა და იოანე ორბელსა დაუყოვნებლივ შეჭ-
ყარონ ჯარები და წაართვან თურქებს სამშვილდის ცისე. ეკ-
ლესიის მონაწილთა შვილთა მყისვე აღასრულეს თავიანთ სუ-
ლიერ მამის, მღვდელ-მთავრის, სიტყვა. მათ «სიმაღჯკით მო-
იზარეს სამშვილდის ცისე»¹⁾. ამის კეთილს მაგალითს მის-
დეგს მისი მოადგილე, მწიგნობართ-უხუცესი, სვიმონ ჭყონ-
დიდელიცა. იგი თავ-განწირულად ებრძვის ეკლესიურის ჯარე-
ბით მტერს მეფის დაშქრებთან ერთად. ყოველს ბრძოლაში ამ
სულიერ მამას უჭირავს ხელში ჯვარი, წინ მიუძღვის ჯარებს
და ებრძვის მტერს. ჯარები რომ საბრძოლველად მიდიან, ის წინ
მიუძღვის თავის სულიერთა შვილთა, რომ გამობრუნდებიან—
ჟგან მოექცევა. ის მამაა ჯარებისა. როცა შესაბამელად მიდიან,
თავის მკერდით იცავს, როცა გამობრუნდებიან ბრძოლის კე-
ლიდგან,— იცავს თავის ზურგითა. ანა ერთსელ გაიმარჯვა
მან შაქი-შირვანში და ისეთი სამსახური დასდო საქართველოს,
რომ დავით აღმაშენებელმა იგი შაქი-შირვანის გამგებელად
დასტოვა. «გამგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა
შაქი-შირვანისა აჩინა მწიგნობართ უხუცესი სვიმონ, ჭყონდი-
დელი მთავარ-ეპისკოპოსიო», ამბობს «ქართლის ცხოვრება»
252 გვერდზე. ზაქათაღის მარხის მცხოვრები ქართველი
ხალხი, ლეკები და მთელს ნუხის მარხაში, კავკასიის მთის
ძირობაზე, მცხოვრებნი და აგრეთვე წახურის ხეობის ლეკე-
ბი ამბობენ, რომ ამ ქვეყნების მმართველი ერთ დროს «ყარა-
ქეშიში» (შავი მღვდელი) იყო.

¹⁾ იხ. იქვე გვ. 244.

სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისა და თავისუფლებისათვის თავ-გადადებულნი სულიერნი პირნი არ მოჭკლებიან ჰაქართველს არასოდეს. იმათი რიცხვი ლეგიონია. მაგრამ ყველას მოსსენება არ შეიძლება. ჩვენის განსწავლის აღსრულებისთვის საკმაოა იმდენი, რაოდენიც დააწმუნებს ახლანდელს ქართველობას, რომ «რაც ვიყავით, ის აღარ ვართ.» მე ვიღებ მაგალითად იმისთანა პირებს, რომელნიც მოქმედებენ ჰაქართველს გაჭირების დროს, ამის გამო ახლა მე შევესებო მარტოებს ნიკოლოზ ქათალიკოზისას, რომელიც სცხოვრებდა მეცამეტე საუკუნეში.

ნიკოლოზ იყო კაცი უმანგო, ღვთის მოშიში, ნამდვილი მწუქესი თავის ერისა. მას არ უეჯარდა სიტყვის დამალვა, პირში ამხილებდა ყველას, ვინც უწესოდ იქცოდა: მეოქსაც და მთავრებსაც.

მონგოლებმა სარჯი¹⁾ რომ დაადეს ქართველ საფსს, ამ ნიკოლოზის მეცადინეობით, მონასტრები, ეკლესიები, საეკლესიო სოფლები და მამულები განათავისუფლეს სარჯ-ბეგრისაგან. მაგრამ ნონები ყურადღებას არ აქცევდენ ეკლესიის ქონებას და ამაში ეკლესია ზარალობდა. ამ მიზეზისა გამო იმან წაიყვანა ვარძიის მონასტრის მოძღვარი და წავიდა ულო ყაენთან. უკანასკნელს ძალიან გაუკვირდა, ქათალიკოზი რომ ნასადიდებულად ტანთ-ჩაცმულია. ჯერ არ ენახა ქრისტიანულ სასულიერო წოდების ტანთ-ჩაცმულობა. ძლიერ კარგად მიიღეს იგი ურდოში და დაუმტკიცეს ეკლესიის მამულები; აგრეთვე გამოსტყეს ბძანება, არავინ შეჭხებოდა მის ქონებას. ამავე დროს მისთვის პატრიარქის-საცემლად, გააკეთებინეს ორი ოქროს ჯვარ-

¹⁾ იხ. Ист. Груз. Цер. Иссл. гл. 90.

რი, შეამკეს თვლებითა და მარჯალიტითა: ერთი მისცეს მას თვითონ, მეორე მის მსლებელს, კარძიის მოძღვარს. ნიკოლოზს აჩუქეს აგრეთვე ოქროს კვერთხი, რომელსაც თავზე ოქროს ჯვარი ჰქონდა ჩასმული ¹⁾).

ტექმანრიტად ნიკოლოზ იყო კეთილი მწიგნობარი და ოგბი-
ზელი დარჯვი ეკლესიისა. აწავის ნებას არ ამღებდა მოეტაც-
ნა ეკლესიისათვის შვილი. თუძცა სცხოვრებდა არეულ-დარეულს
დროს, მაინც მსხედ იცავდა საღსში ქრისტიანულ ზნესა. ყვე-
ლას დაუწიებლად უშლიდა გარყვნილობას. მეფე დიმიტრი
თავ-დადებულის დროს მალა წოდებას შემოეპარა ორ-ცო-
ლიანობა. ამასე ნიკოლოზს აუღელდა სული. დრმად მოხუცე-
ბული გამოვიდა საღსში და ძლიერად ამხილა მეფე დიმიტრი,
რუსუდან დედოფლის შვილის-შვილის შვილი ბულა, სადუნი
მანკაბერდელი და მრავალნი სხვანი; მაგრამ რომ ვერა შეას-
მინა-რა, სელი აიღო ქათალიკობაზე და თავის ნაცვლად
აკურთხა მეფის ჯვარის მტვირთველი აბრაამი ²⁾. მასთან ერ-
თად მოქმედებდა ნიკოლოზ მწიგნობარიცა ³⁾).

ნიკოლოზ, მართალია, ჩამოეცალა მოქმედების ასპარეზს,
მაგრამ მისი სულის გვეთება, მხნეობა, ერთგულება ეკლესიისა
და ქართველობისა არ მოკვდა. მის მაგალითს ახლა სხვა ბე-
რები აჭყენენ. საქართველოს ხალხის ზნეობით წამხდარი მღგო-
მარეობა რომ შეიტყეს ათონის მთაზე, გამოგზავნეს იქიდან
ბერი ვასილი. მან დაუწიებლად და მსხედ აყვედრა და უთხრა

¹⁾ იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 380 და Описание г. Тифлиса, გვ. 137.

²⁾ იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 416 და 418.

³⁾ იხ. იქვე გვ. 415.

მეფე დიმიტრის და თავადებს: თუ არ დაიშლით სამ-ცოლიანობას, თუ წმინდად არ დაიცვით ქართველთა ქრისტიანულს ზნეს, ჩვეულებას და ცხოვრების კანონებს, მოვიწვევ თქვენზე ღვთის რისხვასა და ახლავე გიწინასწარმეტყველებთ, რომ ვერ გადურჩებით ამ წუთის-სოფელშივე ღვთის დასჯას. მეფეს უთხრა: თუ ჭკუაზე არ მოხვალ, შენ მტრის სულით მოკვდები და შენს ქონებას ის აიკლებსო ¹⁾. ამავე დროს საქართველოში მოქმედებენ სიტყვითა ღვთისათა სხვა ბერებიცა. ესენი არიან: დავით გარეჯის მონასტრის ბერი, ჰატიოხსანი ჰიმენ სალოსი ²⁾ და სამცხელი ანტონ ნაოსრებელიძე. ამათ შეიტყეს, რომ სანგილოში (ხაქათაღის მახლობლად) ქრისტიანობა ემსობა. წავიდნენ ბელაქანში, რომელიც მეფე დიმიტრემ საღუნ მანკაბერდელს მისცა ³⁾; დასახლდნენ ბელაქანის ერთ მონასტერში და თავის ძლიერის სიტყვით და ხალხში სახარების სწავლის ქადაგებით დაიცეს თავის დროს ქრისტიანობა ⁴⁾.

აი ასე მეტადინებოდნენ მეოთხთმეტე საუკუნემდე ქართველთა ეკლესიის სასულიერო პირნი. მათზე ნაკლებად არ ირწვებოდნენ მღვდელნი ამ საუკუნის შემდეგაც.

მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში საქართველო დიდს განსაცდელში ჩავარდა: მემკვიდრეანი ისეთივე აჯღაჯკებულის გულით და გრძნობით სწერენ ქართველთა უღმობელს მდგომარეობასზედ ამ საუკუნეებში, რომ რომელს ქარ-

¹⁾ იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 418 და 419.

²⁾ ის მოკვდა ბელაქანში გგონებ 1292 წ. იხ. Описание Тиф. П. Иоселиани, გვ. 153.

³⁾ იხ. იქვე გვ. 412.

⁴⁾ იხ. ამავე წიგნში გვ. 419.

თველსაც კიდევ კაცური გრძნობა უღვივის გულში, არ შეუძლიან მწუსარებით არ ამოიკითხოს ეს სტრიქონები და არ დასწევკლოს წუთი-სოფელი და კაცთ-უსამართლობა.

მაღლი, პატივი და დიდება ძველებურ ქართველებს, მათს მსხეობას, მათს სიფრთხილეს, ვაჟ-კაცობას, გულის სიმტკიცეს და უშიშრობას, რომ მტერს კისერს არ უდრეკენ, გაბრახებულნი ებრძვიან სპასკეთს, ოსმალს, დაღესტანს, კავკასიის მაჰმადიანებს და ასე იფარკენ თავიანთ ეროვნებას და სარწმუნოებას. ამ საუკუნეებში მართლაც რომ ყველანი მზად იყვნენ—სარწმუნოებისა, ქართველობისა და სამშობლო ქვეყნის დასაცველად თავისი-თავი, ცოლი, შვილი და ქონება შეეწირათ. ბრძოლის ველზე უსწრობდა ბერი ყრმასა, და ყრმა ბრძას, პატრონი ყმასა, და ყმა პატრონსა,—ზა ვინ უფრო დავიმსახურებთ სახელს ჩვენს თან-განწირულებითაო. მეუენი და დიდებულნი რომ ჭხედვენ ამ წუთის-სოფლის მღელვარებას და ამაოებას, მთელს თავიანთ სიცოცხლეში მათის სარწმუნოების დეკნას მძვინარე მტერთაგან,—დიდის ხალხით სტოკებენ სოფლის დიდებას, იმოსებიან სუფიერ მამათა მანტიით და ხდებიან ხალხის მოძღვრად, რომ თავისის მაგალითით დაიცვან სარწმუნოება. მაგრამ მართლა სარწმუნოება არ იყო იმათ დაცვის საგნად. იმის დაცვით იგინი იცავდენ აგრეთვე თავიანთ ეროვნობას და პოლიტიკურს თავისუფლებასაც. ასეთნი დაუვიწყარნი და ნეტარად სახსენებელნი პირნი არიან: იმერეთის ბატონის შვილი, ეპისკოპოსი ბიჭვინტისა, სიმონი, ქათალიკოზი აფხაზეთისა და იმერეთისა, თ. მალაქია ახაშიძე, გენათის ეპისკოპოსი მელქისედეკი, ბატონის ბაგრატის შვილის-შვილი, ქართლის ბატონის შვილი დავითი, რომელმაც მიიღო უბრალო ბერის ხარისხი და აგრეთვე გიორგი ბატონი.

ნიშვილი, წოდებული ბერობაში გერასიმეთ, დავით მეფის ძმა ბაგრატო, წოდებული ბარნაბად, და კიდევ მრავალნი სხვანი. ანტონ ქათალიკოზმა, რომელმაც დასწერა წმინდათა ქება, მოწამეთა რიცხვს დაშქართან აღარებს.

საღსნი რაკი ხელავდა, რომ მეფენი ღ დიდებულნი ძღველათა და ბერებთ ეგუერთხებოდენ საწმენოების დასაცველად; აღარც თითონ ერიდებოდა სიკვდილს. სასულიერო წოდება ამხნეკებდა მას თავის კეთილის მაგალითით და თავ-განწირულებით. 1634 წლისა და 1658 წლებს შუა, საქართველოში გამაჰმადიანებული როსტომ რომ მეფობდა, სწავრავდა ქრისტიანობას და ქართველობას, შემოჰქონდა სუბარსული ჩვეულებები, აი მაშინ ქათალიკოზი ეკდემონ დასაძიძე დღე-ღამე საღსს არიგებდა და ესგუწებოდა, ხელს ნუ აიღებთ თქვენს საწმენოებაზე და ნუ გინდათ მაჰმადიანი მეფეო. ამისთვის დაიჭირეს იგი, დაასრხეს და თბილისის ციხიდან გამდმოგდეს. იმის შემდეგ ქათალიკოზობა ჩამოართვეს აგრეთვე ნიკოლოზ ამილახვარს, რადგან ესეც ესარჩლებოდა ქართველობას და ქრისტიანობას. ნიკოლოზ ძღველ-მთავარი იყო კაცი ძლიერ განვითარებული ღვთის-მეტყველებაში და ფილოსოფიაში, ეს ძლიერი კაციც ჩამოაგდაეს ისტორიულს ახარეს; მაგრამ ეკლესიას მაინც არ მოაკლდენ მამულისთვის. თავ-გადადებულნი სასულიერო პირნი. ყოველგან საქართველოში მათ ჰქონდათ მონასტრები, ჩიტის ბუდეებსავით მიკრულნი ფრიადოკლდეებსე, აშენებულნი მთა-ღრეებში, სადაც სულიერნი მამანი ამზადებდენ თავიანთ თავს მარსულობითა, ღოცვითა და ბერულის ღვაწლით მამულის კეთილ-დღეობისათვის თავ-შესაწირავათა. ამ მონასტრებში გაღვიძებულ სიუვარულით ქრისტიანობისადმი ისინი გამოდან საღსში და უშიშრად ებრძვიან

მამულის მტერს. 1606 წელს, ლუარსაზ მეფის დროს, ოსმალებმა დაიჭირეს მანგლისის მხარეს ერთი მღვდელი, დაუწვეეს ლახტით ტყმა და ჭვითხავდენ მას: გვითხარ სად არის მეფეთავის ჯარები? ეს სულიერი მამა დიდად აწვალეს და სტანჯეს, მაგრამ მანინც არ უთხრა თათრებს, სად იდგნენ ქართველთა ჯარები. «ჭვეენაზე მე ერთის წუთის სიფრცხლე მაქვსო და ამაზე როგორ გავსცვალო მთელი სამშობლოო; არა, არ გიქმნები გამცემელ მეფისა და ჭვეენისა», ეუბნებოდა ის მტარვალთ. მერმე თითქო დაიფლავს, წამოუძვას წინ და მოიყვანა თათრები ასეთს ადგილას, რომ თუ მეფეს მოესწრო, მთლად ამოსწვებდა მტერს. მღვდელს შეუტყვეს ტბიერება, მოჭვეეთეს თავი და ეკლესიამ შერაცსა იგი წმინდათა თანა. მაგრამ ამისთანანი მართო ერთი და ორი რადი იყოს ამ დროს! ერთი თუ ბრძოლის ველზე მტერს თავს აკლავდა, მეორე მიდიოდა ოსმალებთში, რუსეთში და ევროპაში, რომ საქრისტიანო ხელმწიფეებისათვის შემწეობა ეთხოვნა, მოვიგონოთ საბა სულხან ორბელიანი, რომელმაც მოიარა საფრანგეთი და იტალია და ცრემლით ესვეწებოდა ლუდოკიგო მეფეს და პაპს საქართველოთსუფს. შეკლას გავისვენოთ ქათალიკოზი დომენტი მე-III, მძა მეფე ვახტანგ მე-VI-სა, რომელიც 1723 წელს უშიშრად წარსდგა სტამბოლში წინაშე სონთქრისა და ესვეწებოდა დაამშვიდე საქართველო და ხელი აიდე ეკლესიის დეენაზედაც. ამისათვის 11 წელიწადი ტუსაღანაში ჭვავდათ, მაგრამ მამულის სიყვარული მანინც გულიდგან არ ამოიღო. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე იმ ბერებს, მღვდლებს და მღვდელ-მთავრებს, რომელნიც ასობით მიდიოდნენ რუსეთში მამულის შეწვევისათვის.

ერთის სიტყვით, ერთი სულიერი მამა თუ შინ იბრძოდა, მეორე გარეთ დადიოდა — სხვა სახელმწიფოებში და სა-

ქართველსთვის მომხრეებს ეძებდა. მაგალითად ვახუშტი სწერს თავის გეოგრაფიაში რომ მღვდელ-მთავარი აკალიშვილი მრევლი თავ-განწირულებით ქადაგებდა ხალხში, თავადთა შორის, ჯარში და მეფის წინაშე და მხნედ ეუბნებოდა ყველას: «ნუ მოლაფლდებით, ნუ შეძრწუნდებით, ნუ შეშინდებით, ნუ გაიტყნებთ გულს, კებძოლოთ ყველანი მტერს უშიშრად ღ თავს-ზარი დავსცეთ. მოდით შევიყარნეთ ყველანი ერთად და დავსდოთ თავი სამშობლოს თავისუფლებისათვის. ჩვენ სულიერნი მამანი ჯვარით წინ წაგიძღვებით, თქვენ მოგუდიგეთ უკან და ერთობილად დავამარცხოთ მტერი.» ისეთი გასაკვირველი კაცი იყო მართლაც ეს მღვდელ-მთავარი, ისე უყვარდა ქართველობა, რომ მარბდის ომის წინ ქართველები არ აზიარა, რადგან წმინდა საიდუმლო არის ქრისტიანის საგზალი სააქოდ-გან საიქილს წასატანი; იმან ვერ გაიმეტა ქართველობა — მტრის ხელით დახოცილ იყო და ეს საგზალი წაეღო. არა, არა, ვერ გაიმეტებთ — ვერ გაზიარებთო. უზიარებელნი რომ იქნებით, ღმერთი არ იზრინებს თქვენს სიკვდილს უზიარებლად ღ მტერს დავამარცხებინებსო. ან კი როგორ შემიძლიან, როგორ გავბედავ მე მიკარებას წმინდა საიდუმლოსათვის. გული ჩემი ჩქეფავს სისხლითა, სავსეა ჩვენის მწვალბელების მტერობით და აბა, ამ გულით, როგორ გავბედავ, მიგვარო მშვიდობიანობის საიდუმლოსა და თქვენს ზიარებასა. არა, მე არ შემიძლიან: სთხოვეთ სხვამ გაზიაროთ. მე დღეს თქვენში გამოჩეული არ უნდა ვიყო. მე, როგორც სულიერი მამა, უფრო უმეტესად ვაღდებული ვარ სარწმუნოებისა და სამშობლო ქვეყნის დაცვას თავი შევსწირო. იქ, სადაც დღეს ჩემნი სულიერნი შვილნი ხმალს მოიქნევენ, ვერ დავდგები რომ მეც ხმალი არ ვიშვილო და მტრის თავზე ჩხა-ჩხმა არ ავაყენო.

გეშმარტად რომ განსაცვიფრებელი სიმხნევე გამოიჩინა სასულიერო წოდებამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთსა და იმავე დროს ის ებრძოდა: ერთს მტერს: პირველზე—სპარსეთზე, ოსმალურზე და დაღესტანზე მე უკვე ვილაპარაკე. მეორე მტერი იყო გამაჰმადიანებული ქართველობა და მეფეები. 1561 წლიდან დაწყებული საქართველოს ტახტზე სხდებოდნენ მეფენი ზოგნი ქრისტიანენი, ზოგნი მაჰმადიანნი. უკანასკნელნი, რადგან თვითონ უღალატეს მამა-პაპის საწმინტოებს, მეუღამ იმას მეცადინეობდნენ, დანარჩენი ქართველობაც გამაჰმადიანებინათ; სპობდნენ ქართულს ზნეს, ჩვეულებას, ცხოვრების წესს, ტან-საცმელს, ყოფა-ქცევას და შემოჭქონდათ სპარსული და ოსმალური მაჰმადის სჯულის წესი. თავის მაგალითით ეწადათ მოქმედებებინათ საღვთისთვის ქრისტიანული წესები და ზნე. მაგრამ სასულიერო წოდება მტერს დარაჯად ედგა და ხალხს აფეთხილებდა. ამისათვის დაისაჯნენ ქათალიგოზი ეკდემონ დიასამიძე, ნიკოლოზ ამილახვარი, დომენტი ქათალიგოზი, იოანე სააკაძე, დავით გარეჯის უღაბნოს წინამძღვარი, მანგლისის მღვდელი თეოდორე, მღვდელ-მთავარი დოსითეოს თბილელი და მრავალნი სხვანი. თავის თავ-განწირულებით ამათ დაიცვეს ხალხში ქრისტიანობა და მით დაამარცხეს მტერი.

მესამე მტერი იყო უმეცრება, როგორც ესლას, ასეთი გაწყობილი სკოლები უწინდელ დროში საქართველოში არ იყო; არ იყო აგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც. მაგრამ საქართველოში არ იყო ისეთი ეპარქია და მონასტერი, რომ შიგ დროს-შესაფერი სკოლები არა ყოფილიყოს. 1673 წელს რიცხვი ეპარქიებისა იყო 32. მონასტრებიც, თუ ამასე მოძეტებული არა, ნაკლები არ იქნებოდა, ამისათვის რომ ყოველს ეპარქიას თავის მონასტერი უნდა ჰქონოდა. მაგრამ ვახუშტის თავის გეოგრაფიაში

აქვს ჩამოთვლილი 200-ზე მეტი მონასტერი. თუ ყოველგან არა, ამ ეპარქიებისა და მონასტრების მომეტებულს ნაწილში იუვენს სკოლები და იქ ასწავლიდენ. სასლ-გაზდა ქართველებს წერა-კითხვას, საღმთო წერილს, სამშობლო ეკლესიურს და სამოქალაქო ისტორიას. «მონასტრები უწინაჲ და ესლან, ამბობს იოსელიანი ¹⁾ იუვენს მეცნიერების სადგურნი და ნერგნი ერის განათლებისა.»

როცა სასულიერო წოდებამ ისილა, რომ ხალხის უმეტესებით სარგებლობდენ ჩვენის საწმინტოებისა და ერის მტერნი, ძლიერ მხნედ და ბეჯითად შეუდგა ერის სწავლებას ეკლესიების ეზოებში და ეპისკოპოსთა სასლებში. 1762 წელს საქართველოს ეკლესიამ მოახდინა კრება, რომელსედაც დაესწრნენ: სამთავრისა და გორის მიტროპოლიტი ბესარიონ, თბილისის მიტროპოლიტი მისეილ, ნინო-წმინდისა საბა ტუნიშვილი, 12 მონასტრის წინამძღვარნი, ანჟიმანდრიტი საბა და ანხსატის დეკანოზი გიორგი. თავმჯდომარედ იყო ბესარიონ მიტროპოლიტი, კაცი მტოდნე და განკითარებულე სწავლასში. მათ გადასწყვიტეს, რომ ყოველს ეპისკოპოსს თავის ეპარქიაში გაეხსნა სკოლა და ესწავლებინა ხალხისთვის წერა-კითხვა. მზაკე წელს მეფე ირაკლი მე-II სწერს ნუკრესის ეპისკოპოსს დოსითეოსს: «შემატყობინე, რა მდგომარეობაში არის ნუკრესის სკოლა: იცოდეთო, რომ მე ძლიერ მესიამოვნება, თუ რომ ერთგულობასა და ბეჯითობას გამოიჩინო ერის განათლებასშიო» ²⁾. ქათალიგოზი იოსებ, რომელსაც თავის ეპისტოლეში ჩამოთვლილი აქვს მღვდელთმთავრების ვადებულე-

¹⁾ იხ. Ист. Груз. Цер. გვ. 119.

²⁾ იხ. Цер. Гудж. Пур. გვ. 29, 31, 40 და 42.

ბანი, ამბობს, რომ ეპისკოპოსებმა ჩააღეს წერა-კითხვა უნდა ასწავლონ. ამ კრების გადაწყვეტილებას ახლა შენტა ღმრთობის საც ვატყობინებ, რომ ყოველგან ეპარქიებში ბევრთად აღასრულებდენ ბძახებსაო.

აღასრულებს ეპისკოპოსებმა თუ არა ეს კრების გადაწყვეტილება, ჩვენ ამასუ არავითარც ცნობები არა გვაქვს; მაგრამ ვიცი რომ 1617-გან 1772 წლამდე საქართველოში იყვნენ შემდეგი განვითარებულნი: ღმრთობის კარგად მცოდნე პირნი:

1) ქათალიკოზი საქარია, რომელმაც ასწერა საქართველოს ისტორიული შემთხვევანი, მის დროს მომხდარნი (1617 წლიდან).

2) მთავარ-ეპისკოპოსი იესე თბილელი (1640 წ.)

3) მეფე თეიმურაზ I-ს და მკრინე. ამან დასწერა ქართველთა წმინდათა საქებრად სტიქარონები (1658 წ.).

4) ქათალიკოზი ევდემონი იმერეთისა, ამან დასწერა საეკლესიო კანონები—24 მუხლი (1662 წ.).

5) ანტონ, თბილისის ეპისკოპოსი.

6) ნეკრესის ეპისკოპოსი დოსიტეოსი, ფილოსოფოსი.

7) არსენ ნინო-წმინდელი, კარგად მცოდნე ღმრთობის-მეტყველებისა, ფილოსოფიისა და სამღთო წერილის განმარტების დამწერი (1682 წ.).

8) არქიმანდრიტი იობ ფიტარქთელი, კარგი მცოდნე სამღთო წერილისა და მქადაგებელი (1691 წ.).

9) ბერი იოანე ჩხატარაძე გურიიდან. ამას დაუწერია ლექსად ისტორია ქართველთა წმინდათა. ამასვე ქმონია დაწერილი ქრისტიანობის ისტორია ქობულეთში (1698 წ.).

10) არქიეპისკოპოსი იოსებ თბილელი. ამას დაუწერია

ლექსები სასულიერო შინაარსით და საღმთო დარბაზებში. თანამედროვენი იმას ფილოსოფოსს ეძახდნენ (1702 წ.)

11) ქათალიკოზი დომენტი III, რომელმაც საბერძნეთის ეკლესიის წმინდათა ცხოვრება შეკვრიბა. ამანვე დასწერა თავის დროის ისტორიის საქართველოსი (1703 წ.).

12) იმერეთის ქათალიკოზი ნიკოლოზ. ამან დასწერა საღმთო წერილის განმარტება და საღმთო ისტორია (1710 წ.).

13) ბერი იაკობ, რომელმაც მოიარა პალესტინა. ამისი თხზულებანი ინახებოდას გაენათის მონასტერში (1712 წ.).

14) მღვდელ-მონაზონი გრიგოლ ვახვასაძე. ამან აღწერა ქეთევან დედოფლის ცხოვრება. ამანვე დასწერა მისთვის სტიქარონები, რომელთაც ეკლესია დღესაც უგალობებს ქეთევანს.

15) ანტიკვისკოპოსი იოსებ სამეხელი. ეს იყო მოსკოვში და 1743 წელს ბატონის შვილების ბაქარისა და ვახუშტის ბძანებით გაასწორა დაბადება და დააბეჭდვინა.

16) ანტიკვისკოპოსი თბილისისა ნიკოლოზ მროველი, რომელმაც დააბეჭდვინა საეკლესიო წიგნები.

17) დეკანოზი მეფის-გარის ეკლესიისა მიხეილ. გახტანგ მეფის (VI) დროს ესეც წიგნებს აბეჭდვინებდა (1764 წ.)¹⁾

ამათ გარდა, რასაკვირველია, კიდევ იყვნენ სხვანაირა, მაგალითად: დეკანოზი ზაქარია გაბაშვილი, ათანასე მთავარ-ეპისკოპოსი, ეპისკოპოსი საბა ნინო-წმინდელი, იმერეთის ქათალიკოზი იოსებ, სოლომონ I მეფის ძმა და სხვ., მაგრამ ვუკლავს ჩამოთვლას მე საჭიროდ არა ვჩნდებ. ეს პირნიც მხოლოდ იმისთვის მოვიხსენიე, რომ მეთქვა: თუ ამ დროს სკოლები

¹⁾ იხ. ეკლესიის ისტორია პლ. იოსელიანისა.

არ ეოფილიუგენს; ამდენი ნასწავლნი სასულიერო პირნიც არ იქნებოდენ. აქედამ ცხადია, რომ მოხსენებულ ეკლესიურ კრების გარდაწვევტილება ბეჯითად სრულდებოდა ეოკელს ეპარქიაში და განათლების შემწეობით ისინი იცავდენ ხალხში ქრისტიანობას.

რადგან საეპარქიო სკოლებში მოსწავლეთაგან საეკლესიო წიგნების გათხვის შესწავლა და ცოტა რამ სამღთო წერილის ცოდნა საკმაო არ იყო მომავალ სულიერ მამათათვის, ამისათვის ქათალიკოზმა ანტონმა, მეფე თეიმურაზისა და არაგლას დროს, გასსნა ორი სემინარია, ერთი—თელავში, მეორე—თბილისში. ამ დროს შესანიშნავი სასულიერო პირნი არიან: ქათალიკოზი ანტონ I, ქათალიკოზი ანტონ მე-II, მთავარეპისკოპოსი ანტონ ჭყონდიდელი, ეპისკოპოსი ამბროსი ნეკრესელი, ეპისკოპოსი იოსებ სარჭაშელი, დავით რექტორი, ვაიოზ. ეპისკოპოსი ვარლამ, არქიმანდრიტი ტარასი და სხვა.

ეველა ეს ზემოთ ჩამოთვლილნი მამანი, მეჩვიდმეტე და მეორამეტე საუკუნეებში მცხოვრებნი, არამც თუ სკოლებსა ხსნიდენ და ასწავლიდენ ერს წერა-გითხვას, თეოლოგიას, ღვთის-მეტყველებას და სამღთო წერილს, რასაკვირველია, სქოლასტიკურად; არამედ ზოგნი მათგანნი ჯარსაც მიუძღოდენ წინ, ამხნეებდენ თავიანთ მაგალითით, და ამარცხებდენ მტერს ბრძოლის ველზე. — ზოგნი თავიანთ ღოცვითა, მარხულობითა და ბერულის ღვაწლით აღვიძებდენ ხალხში სიყვარულს ქრისტიანობისადმი; ზოგნი ქადაგებდენ ეკლესიაში ქრისტეს ზნეობრივს სწავლას, როგორც მაგალითად ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელი, ვარლამ მიტროპოლიტი; ზოგნი აგრძობდენ ძეგლებურს წიგნებს და ავრცელებდენ ხალხში; ზოგნი სწერდენ სხვა-და-სხვა თხზულებებს, როგორც

მაგალითად ანტონ შირველი, გაიოსი, დავით რექტორი, ბესარიონ, დოსითეოს—და ზოგნი კიდევ მართავდნენ სტამბას და ბეჭდავდნენ საეკლესიო და საერო წიგნებს. 1723 წელს დაიბეჭდა შირველად ქართული დაბადება მთავარ-ეპისკოპოსის იოსებისაგან ბაქარის სასწიეთა და ამის შემდეგ აღარ დაბეჭდილა.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მეზვიდმეტე საუკუნის დამ დღიერ იდეიებს სასულიერო წოდება. ის ჰსჯდავს საქართველოს საშიშარს მდგომარეობას და მთელის თავის ძალდონით მეცადინეობს დაიცვას სამშობლო ქვეყნის თავისუფლება, ენა, საწმინოება და ეროვნობა. ამის სასსრად იგი ჰსჯდავს განათლებას, მაგრამ წიგნებს ვერა შობს. 1735 წლიდან დაწყო ბიდი ვიდრე მეზვიდმეტე საუკუნემდე გაჰქვას ეკლესიის წინამდელმა საუკუნეებმა. მეცამეტე, მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეების განმავლობაში ქართველობას თითქმის არა გაუეკეთებია არა ერის განათლებისათვის მწიგნობრობის ასპარეზზე, რადგან მტრისაგან მოცლას არა ჰქონდა. რაც წინა-საუკუნეებმა გადმოსცეს, ჯერ კიდევ იმით იკვებებოდა ქართველი გონების მოთხოვნილება. მაგრამ ამ დროს განმავლობაში რიცხვი წიგნებისა, რომლებშიც იყო მოქცეული ქართველთა ჭკუა-გონების ნაწარმოები, უოკელ-წლივ კლებულობდა, ზოგი გაცვდა სმარებით, ზოგი დაიკარგა, ზოგი მტრებმა წაიღეს. ერთს სომხის სწავლულს, სენატურ განისიანტს უნახავს 1865 წელს სამარეანდში მრავალი ქართული სკოთ-ნაწერი წიგნებო, წადებული მეთხუთმეტე საუკუნეში თემურ-ლენგისაგან ღიქ ერთ კოშკში შეკროკებული¹⁾.

¹⁾ იხ. Опис. г. Тифл. Юсел. зв. 152.

ამ გვარის მიხედვებისა გამო დიდი ნაკლულებანება იყო სკოლებში სასმარ წიგნებისა. ამ ნაკლულებანების მოსასპობად სული მხევეს წიგნების თარგმნას დოსითეოსმა, ანტონ ქათალიკოსმა, გაიოსმა, დავით რექტორმა, საბას სულსან ორბელიანმა და მრავალთა სსკათა. დიდის შრომითა და ჯიხით ამათ დააყენეს სკოლები თავის რიგზე, და დაიციეს ეკლესიის თავისუფლება, სარწმუნოება და ეროვნება მეტწილად საუკუნემდე. მაგრამ 1801 წელს საქართველო შეუერთდა რუსეთს და ამასთანავე 1814 წელს უწმინდესმა სინოდმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის თავისუფლებაცა. ამ წლიდან მოიხსოვრება ქათალიკოსობა და დააწდა თანამდებობა ეგზარქოსისა. უკანასკნელი ქათალიკოსი იყო ვარლამ ერისთავი და ამის მიერ ნებადართვით ახლა საქართველოს ეკლესიის მთავარ-მმართველად არის ეგზარქოსი.

მეოთხე მტერი საქართველოს ეკლესიისა იყენს ლათინებისა და ლოტრანგების მისიონერნი. ესენი მეტადინებდენ ქართველების თავიანთ სჯულზე მიქცევას.

ჩვენს სწავლებს რომ ჭკითხოთ, ყველანი ერთ-სმად გეტყვიან, — ქართველების მიქცევა თავიანთ სჯულზე ლათინებმა მხოლოდ მეტადიეტე საუკუნის დამდეგს მოიწადინესო. მაგრამ ჩვენ არა ვართ ამის თანახმა. იმათ განიზრახეს ეს საქმე მათე საუკუნეში. შემდეგ საბერძნეთისა და რომის ეკლესიის გაცალკეებისა, ათონის მთაზე მოვიდა ერთის წარჩინებულის გვარის ჩამომავალი ბერი, სასულად ბენედიქტი, ექვსის მოწაფით და შეესიზნა ქართველ ბერებს: მამა იოანე ივერიელსა და ეფთვიმეს. იმათ არ განაცხადეს მასინვე თავისი დაფარული განზრახვა და ისე დაუმეგობრდენ ქართველებს, რომ უერთიერთმანერთოდ ვერა სძლებდენ. გავიდა რამდენიმე ხანი. ბერ-

მნის ბერებს ერთმანეთში რაღაც განსეთქილება აუტყდათ. მან-
შინ ამ ბენედიქტე ლათინმა უთხრა ეფთვიმეს, რომ ჩვენცა და
თქვენც ორივენი უცხონი ვართ და მოდი შევერთდეთ და ერ-
თად ვიმოქმედოთ, თუ ბერძნები ჩვენს წინააღმდეგობას დაიწ-
ყებენ. ქართველმა ბერებმა უარი უთხრეს, მაგრამ ლათინთ
სამღვდელოთ მანც არ აიღეს სული თავის განზრახვასზე: სუ-
ლით და გულით დაუმეგობრდენ ქართველებს, და განგებ ისე
ასრულებდენ ეკლესიურს წესს, ვითომც ისინიც მართლ-მადო-
ბელები იყვნენ. ამას ამტკიცებს ეპისკოპოსი პორფირი
უსპენსკი ¹⁾, მუწავიოვი თავის მიმოხილვაში, «წიგნი აღ-
მოსავლეთიდან», პროტოკოლი ვოსტანტინუოლელ პატრი-
არქთა ²⁾ და ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი ³⁾. ისინი ისე
ახვენებდენ თავს, თითქო ქართველებს უფრო მეტი გავლენა
ჭკონდათ მათზე, ვიდრე მათ ქართველებზე. ამისათვის ქარ-
თველებს ისინი შეუეგარდათ, ესარჩლებოდენ, დაუმეგობრდენ
და რომის ეკლესიაც მოსწონდათ. 1159 წელს დუკიც იმპე-
რატორმა შეჭყარა თავის სასახლეში სულიერნი მამანი, რომა-
ელნი, სომეხნი, ბერძენნი და ქართველნი. აქ იყვნენ აგრეთვე
სომეხთა მეფე გაგიკ დ სსკა თავადნიცა. იმპერატორმა ჭკითსა-
გიორგი მთა-წმინდელს: რომელი საწმუნოება უფრო მარ-
თალი არისო: ბერძნებისა, ქართველებისა, რომაელებისა და
სომეხების საწმუნოებათ შორისო? «ჩვენ ქართველია ნათესა-
ვის საწმუნოება ყველაზე უფრო მართალი არს: და რაჟამს
ერთ-გვის გვიცნობიეს, ჩრდარა მიდრეკილ ვართ, არც მარც-

¹⁾ იხ. Исторія Афона

²⁾ იხ. ხალხის განათლების სამინისტროს უურნალში 1847 წ.

³⁾ იხ. გამოც. საბინინისა, გვ. 415.

ხნივ. არც მარჯვენა», უბასუსა გიორგიმ. მეფეს ძლიერ გაუკვირდა და კვლავ ჭკითხა: რით გაგიგო, რომელი არის მართალი რთა შორის? ჩვენ და თქვენ ქართველნი «მეფეანითა შურითა ვწინავთ და ზედაშეს წყაღს ვურევთ, ხოლო რომნი ხშიადითა და უწყლოდ სწირვენ.» გიორგიმ უბასუსა: ცოცხლად მივიღებთ სასჯელ ქრისტეს სოცრისა, მარინიანს შურსა სასჯელს უღლასა გონიერისა, წინააღმდეგ აზოლინარისა, რომელიც ამბობდა, რომ ქრისტე ღმერთს სსეულს კაცურს სულიც გრუნება არა ჭკონდა; ხოლო ღვინოში წყაღს ვურევთ სასჯელს სისხლისა და წყლისა, რომელიც გადმოიღვარა ქრისტეს გვერდიდგან.» მოვიდა ასლა რიგი რომაელებისა სარწმუნოებაზე უსუსის თქმისა. გიორგი იმას ქებით ისენიებს. «კინადგან რომთა ერთ-გზის იტნეს ღმერთი, არაუდეს მიდრეკილ არიან და არცაარადეს წყაღება შემოსულ არს მათგან, და როგორც ერთსულ შესწირა უსისხლო სხვერული იგი თვით იესო ქრისტემ და მოციქულმა პეტრემ, ეგრეთ აღსრულებენ იგინი და არა არს მას შინა განყოფილება.» — მთავართა მათ რომაელებთან დიდად განიხარეს და ეტყოდეს წმინდასა: «წამოგყევე, ჩვენ მიგიყვანთ წმინდასა პაპისა წინაშე»¹⁾.

«მიგიყვანთ წმინდასა პაპისა წინაშე», რას ნიშნავს ეს სიტყვები, თუ არა იმას, რომ თქვენ ქართველნი ჩვენნი მომხრენი უყოფილხართ, ერთ-გვარი ეკლესიური სწავლა გვქონია და თქვენ არა ხართ განცალკევებულნი ლათინთ ეკლესიისაგანა. მწერალს ეს საგანი რომ ჭკონებოდა სახეში, ბევრს რასმეს იტყოდა ამის შესახებ. მაგრამ იქნება იმისთვის არ მიაქცია ყუ-

¹⁾ იხ. გიორ. მთაწმინ. ცხოვ. გამოცემა საბინისა, გვ. 474 და 475.

რადღებო, რომ გიორგი მთა-წმინდელი არ დათანხმდა შაჰის ნასვასე? იქნება გიორგი იმისთვის არ წავიდა რომში, რომ ლათინთ სულიერთ მამთ ქართველთ ეკლესიის შეერთება ეწინააღმდეგებოდა და ეს იცოდა გიორგიმ?... ეტყობა მაშინვე უარი უთხრა ამ განზრახვას. იმას არ მოსწონდა საბერძნეთისა და რომის ეკლესიების ურთიერთ შორის განხეთქილება. აგრე რიგად ანცერტს თანა-უგრძნობდა, ანც მერეს და ქართველ ეკლესიის დაუმოკიდებლობას იცავდა რომაელთაგანაც და ბერძენთაგანაც, როგორც ზემოთა ვხანსეთ.

მაგრამ რომის ეკლესიამ ხელი არ აიღო ქართველთ ეკლესიის გადაბირებაზე. რა ვერ მიიმხრეს ათონის მონასტრის ბერები, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ საქართველოზე. თავიანთ მოქმედების ასპარეზი საქართველოში გადმოიტანეს. ეს საქმე დაიწყო იმათ 1212 წლის შემდეგ. ისტორია მოწმობს, რომ მეცამეტე საუკუნეში იმათ ათონის მთაზე თავისი მონასტერი ჰქონდათ, ამის შემდეგ კი აღარა. ამისთვის, რომ ამ საუკუნეში ლათინის ბერებმა საქართველოში დაიწყო მოქმედება. ეს მოხდა 1215 წელს, როდესაც საქართველოს ჯალალედინმა შემოუტია და მონღოლები შემოესივნენ. სხვა-და-სხვა მიზეზებით შაჰ ინოკენტი მესამე და გონორი მესამე ლაშა-გიორგიმთან და რუსუდანთან მიწიერი წინააღმდეგობა გამოხატეს. რადგან წინა საუკუნეებში გაძლიერებულ საქართველოს სამეფოს ახლა დასუსტება დაეცოდა მტერთა თავს დასხმითა, რომისათვის ლათინის ბერებმა ეს დრო უფრო მარჯვედ იცნეს თავის განზრახვის აღსასრულებლად. მათ უკონად საქართველოს გაჭირებულ მდგომარეობით ვისარგებებოთ. დაუწყო შაჰებმა თავიანთ წერილებში მეფე რუსუდანსა და საქართველოს თავადებს დაქუცობა. საქართველოს შემწეობა უკიდრებოდა ქრისტიანობის მტრის და

სამარცხებლად და არა სარწმუნოების გამოცემა: რუსუდან დედოფალი 1239 წელს შავა გრიგოლ მეცხრეს მოშველებასა სთხოვს თათრების წინააღმდეგ და შავა სამაგიეროდ უზღვანის შვიდს ბეჭს ¹⁾, რომელთაც უნდა ეჭადგნათ საქართველოში ჭკაუფრანგებისათ ქართველები. წერილში შავა ბოდიშს ითხოვს დედოფალთან, ჯარით შემწეობას ვერ გაძლევო, მაგრამ აქებს იმასაც და მის ქვეშევრდომ ხალხსაც, რომ მტკიცედ სდგანან ქრისტიანობაზე და ბოლოს სთხოვს ზდილეობიანად ისიც და მისი ხალხიც დაემორჩილოს წმ. პეტრეს ტახტსა, რომელსაც უჭირავს ხელში სასუფეველის კლიტენი... მაგრამ არც ქართველებმა უღალატეს მამა-შავის სარწმუნოებას, არც შავებმა აიღეს ხელი საქართველოს ეკლესიის შეერთების განზრახვაზე რომის ეკლესიასთან.

1289 წელს შავა ნიკოლოზ მეოთხემ გამოგზავნა ვიდევ მჭადგებლები კავკასიაში. რადგან ამ დროს საქართველო ძლიერ სამწუხარო მდგომარეობაში იყო, მეფეებმა ისინი ხალხის სანუგეშებლად თავაზით მიიღეს, მაგრამ გაფრანგების განზრახვა კი შორს დაიჭირეს. ქართველებმა არ დაუშალეს გაეხსნათ ამ მისიონერებს თბილისში საეპისკოპოსო კათედრა: პირველი ეპისკოპოსო იყო იოანე ეფლორენტი-ნელი. ამ ეპისკოპოსოს გამოუგზავნა შავა იოანე მეოც-დაორემ ეპისტოლე, რომელშიაც არიგებდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ქართველები გადაეხრათ. ამჯერ დროს შავამ მოსწონა ეპისტოლე საქართველოს მეფეს და ზოგიერთს თავადებს და უჩრევდა ფრანგობის მიღებას. მაგრამ ქმონდათ რამე მანე შედეგი საქართველოს ეკლესიისათვის ამ ეპისტოლეებს, თუ არა, ჯერ-ჯერობით ბეჭითად არა ვიცით-რა. ეტყობა კი, რომ ამ

¹⁾ ეს ის რიცხვია, რაც ათონის მთაზე იყო...

დროებში აქ ბევრი უნდა ყოფილიყვნენ რომის საწმუნოები-
სანი: ასე რომ არ ყოფილიყო, ეპარქიის დაარსებაც (1329 წ.)
თბილისში საჭირო არ იქნებოდა: ეტყობა ლათინების მისიონ-
ერები ტყუილად არ იყვნენ აქ იმათ ჰქონდათ წარმატება ქა-
დაგებაში, სარგებლობდნენ საქართველოს შეწუხებულ მდგომარ-
ეობით და შეცდინებოდნენ დაეწმუნებინათ ქართველები, რომ
პაპს არის ქრისტიანობრივის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი
და ვისაც უნდა რომ ცხონდეს, უნდა სწამდეს ეს დოღმატო.

4468—1505 წლებს შუა მეფე ვახტანგტინე მესამე რომ
გამეფდა ქართლში, მისიონერებმა მიაწერინეს პაპს აღექსანდრე
მეექვსესთან წერილი და ათხოვინეს ლოცვა-გურთხევა და შემ-
წეობა. ამ გვარის მღვიქველობით გადაწყვიდათ თავიანთ სარ-
წმუნოებაზე თითო-ორჯა პირნი ქართველთაგან, მაგრამ ერთი
და სასულიერო წოდება სრულიად არ მიუკარა მათ. ქართველთ
სულიერნი მამანი ისე ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ვერას მხრით
ვერ მოდრიკეს მათი სიმტკიცე. რადგან მამა-პაპის საწმუნო-
ების შენახვით ისინი იცავდნენ სამშობლოს პოლიტიკურს თა-
ვისუფლებასაც, ამისათვის ხალხი თანაუგრძნობდა მათს შეცა-
დინეობას. იქამოდე მტკიცედ იდგნენ მამა-პაპის საწმუნოე-
ბაზე სულიერნი მამანი, რომ არამც თუ სამშობლოში ვერა
დააკლეს-რა ლათინებმა, არამედ ვერ დაითანხმეს ფლორენტი-
ნის სობოროზედაც. საზერძნეთისა და რუსეთის ეკლესიების
წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი სობოროს განჩინებაზე,
რომ თანახმა ვართ პაპს ვიცნოთ საქრისტიანო ეკლესიის მო-
თავეთაო, მაგრამ საქართველოს წარმომადგენელი მიტროპო-
ლიტი გრიგოლ ჯი არ გახდა თანახმა, არ მოაწერა ხელი სო-
ბოროს განჩინებაზე, გამოიპარა და ასე ჩაშალა მათი განზრახ-
ვა. ეს ამბავი მოხდა 1439 წელს.

ამავე ხანებში მოქმედებდნენ საქართველოში ღიუტურის სწავლის მიმდევარნი. ესენი იყვნენ: დოქტორნი იაკობი—ანდრია, გელარსი, ანტონი, სუვეიტური და მარტენ კრუზე შრომესორი ტიუბინგენისა. ამათ მიაქციეს თავიანთ სჯულსზე სამცხე-საათაბაგოს მთავარი ყვარყვარე, შვილი მზე-ჭაბუკ დიდისა; მაგრამ ლატრანების მეცადინეობა ამით დასრულდა. თვითონ ათაბეგმაც უარ-ჭყო ახალი სარწმუნოება და მიიღო მანქმადიანობა.

მაგრამ რომის მისიონერებმა მანინც თავისი ან დაიშალეს. რადგან საქართველოს ცხოვრება დროსა და დროს განმავლობაში უფრო და უფრო ირვეოდა და ხალხი იქსასქებოდა, ამისათვის ისინიც დროს შეწობით მოქმედებდნენ, რომ ამღვრეულს წყალში თევზი დაეჭინათ. 1625 წლიდან რომის მისიონერები თეოქტინის ორდენისა საქართველოში სცხოვრებდნენ, და რადგან სწავლაში ძალიან განუითარებულნი იყვნენ და იცოდნენ ეჭიძობა, ხალხმა დაიწყო მათთან მისვლა-მოსვლა და პატივის-ცემა. ამათ ხალხი ისე შეიჩვიეს, რომ ადვილად შეეძლოთ მისი მიქცევა ლათინთ სარწმუნოებაზე. 1631 წ. ამ მისიონერების მოთავემ აბოთაგოლისმა ახარა პაპა უჩხან მერუეს, რომ ბევრი ხალხი შევიძინე და დავიანლოვეო. მართლაც მათ მოაქციეს მრავალნი ქართველნი ღ სომეხნი. ამის შემდეგ მოვიდნენ ვაზუცინის ორდენის ბერები და ამათაც ბევრი ქართველები გადაიბირეს თბილისში, გორში, ქუთაისში, მაგრამ ყველასზე უფრო მომეტებულად ილვაწეს იმათ ახალ-ცინის მარცაში, სადაც ამ დროს ოსმალები მთელობელობდნენ. თავდაპირველად მეოვეები კარგის თვალთ უყურებდნენ რომის ეკლესიის მქადაგებლებს, რადგან მათის შემწობით ჩვენს ხალხში უფრო კარგად რიგდებოდა სკოლების საქმე და სწავლა-მეცნიერე-

ბა ვრცელდებოდა. ანტონ ქათალიკოზმა ისინი მიიჩნია საქართველოს განმანათლებლად და მათის მანქანებით იმანაც ერთ დროს უღალატა ქართველთ ეკლესიას და ლათინთ სჯული მიიღო. საღსმა ეს შეიტყო. მეფის თეიმურაზის ბძანებით მოხდა სულიერთა მამათა კრება. ქათალიკოზი ამხილეს ფრანგოზის მიღებაში; მეჩქე, 1755 წელს გააგდეს საქართველოდგან რუსეთში. მაგრამ აქ იმან დაამტკიცა თავისი მართლ-მადიდებლობა და მიიღო ვლადიმირის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსობა; ანტონის შემდეგ, თეიმურაზ მეფემ, სასულიერო წოდების ჩაგონებით, გარკვეა საქართველოდგან რომის ეკლესიის მისიონერები და მათ მიერ თბილისში აშენებული ეკლესია ქართველებმა დაიპყრეს. მაგრამ 1763 წელს ანა ბატონიშვილის, მეფე ირაკლის დის თხოვნით, ისინი დაბრუნდნ ისევ თბილისში.

ამ დროებში ქართველთაგან ბევრნი იყვნენ გაფრანგებულნი. მათ შორის იყო საბა სულხან რბელაიანიცა. საბამ მიიღო ეს საწმუნოება რომში ჰანა კლიმენტი მეთერთმეტეს ჩაგონებით, და აგრეთვე თუმანაშვილებმა, რომელნიც ჩამომავლობით წმინდა ქართველის სისხლისანი არიან. რუსების შემოსვლის შემდეგ ეკელა გაფრანგებულებს «არმიანო-ქათალიკები» დაერქვათ, მაგრამ ნამდვილად კი თითქმის ეკელანი ქართველნი არიან. 1763 წლიდგან 1859 წლამდე ამათ სასულიერო პირთა შორის შესანიშნავნი არიან პატრი თელიძე და პავლე შაჭუფლოვი. პირველი მოკვდა 1835 წ. მეორე 1859 წელს. ამ უკანასკნელს ჰქონდა ბიბლიოთეკა და ახალ-ციხეში გამაწოული სკოლა ემაწვილებისათვის. ამას ქართველს ენაზე გადმოუთარგმნია უცხო ენებიდგან მრავალი სასარგებლო ქადაგება, და აგრეთვე იტალიურის ენიდგან სა-

ეკლესიის ისტორია მეტვე საუკუნემდე და სიკვდილს არ დაუტყდა დასრულება.

ასე ვრცლად ვილანარაჟე ამ ოთხს მტკრზე იმ განზრახვით რომ თავით ფაქტებში გამოხატულიყო გაჭირვებული მდგომარეობა სამშობლო ქვეყნის საწმენოებისა და ეკლესიის დაუმოკიდებლობის დაცვის მოვალეობა, რომელიც იკისრა სასულიერო წოდებამ. სამ საუკუნის განმავლობაში მან იბრძოლა ყველა მტრებთან მოუღალავად და დაიცვა საწმენოება. მართალია, ლათინთ მისიონერებმა, ლატრანგებმა და მაჭმადიანებმა ბევრი ქართველი გადაიბირეს; მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ეს ქართველება ჭეიქრობდენ საწმენოების გამოცვლით პოლიტიკურის თავისუფლებისა და ქვეყნის დაცვას მტრთაგან. ამ აზრის დამტკიცებას ახლა მე არ შეეუდგები და მიუერთიებ მხოლოდ ორს სასულიერო პირზე ანტონ ქათალიკოსზე და საბა სულხან ორბელიანზე. ყველასთვის ცხადია, თუ რა მიზეზით დაუხლოვდენ ისინი ლათინებს, მიიღეს თითქო მათი საწმენოება, მაგრამ რაკი უსარგებლობა სტრეს, ისევ უარ-ჭეუკას. რა ნახეს ქართველთ მტრიცე განზრახვა რომ არ გამომცვლიდენ საწმენოებას და დღეს იქნებოდა, თუ ხვალ, საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, შემოეფარნენ ისევ სამშობლო საწმენოების კალთას და შემდეგი საქმე ღმერთს მიანდეს. ვინ სტყუოდა: ანტონ ქათალიკოსო, საბა ორბელიანი და სხვა გაფრანგებული ქართველები, თუ ისინი, რომელთაც მართლ-მადიდებლობაზე ხელი არ აიღეს, ეს ახლა ყველამ იცის.

ცხადია, რომ იმათ მიერ საწმენოების გამოცვლას სხვა განზრახვა ჭქონდა ამოფარებული. იმათი სულის-გვეთება ეძიებდა ღონეს, რომ მომავალი ქართველთა უფიქროსი კეთილი

და ბედნიერი ამისათვის მათს ქტევას არა აქვს ლაქი. აქა სხანს მხოლოდ მათი გამჭრიახობა და წინად-მხედველობა.

ასეთნი იყვნენ სულიერნი მამანი მეცხრამეტე საუკუნემდე, ამ ძველს დროში, როდესაც საქართველოს ყოველს კუთხეში ქრისტიანის სისხლი რღვებოდა. «მამ რას იქმოდენ თუ არ იომებდენ?» მიზასუხებს თავის გასამართლებლად რომელიმე აწინდელ სულიერთა მამათაგანი. «გაჭირება მიჩვენე, გაქტევას გიჩვენებო», ნათქვამია. «ყველა ერთ ჭირში იყვნენ და ყველას უნდა დაეცვა სამშობლო ქვეყანა, თუ უნდოდა თავისი სიცოცხლეო.» ეს ყველაფერი ვსთქვათ მართალია; მაგრამ მართალია ისიც, რომ ძველებურნი მამანი ქვეყნის სასარგებლოდ უფრო ზრუნავდენ, ვიდრე თავიანთ ჰიზადის სარგებლობისათვის. სულიერთ მამათაგან იყო მოფენილი საქართველოს მთა-ბარი დედათა და მამთა მონასტრებითა, რომელთა რიცხვი აღემატებოდა ორასსა, როგორც მე გამოვიანგარიშე ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერილობიდან. ეს ამოდენა მონასტრები იმ განზრახვით იყვნენ აშენებულნი, რომ ბერებსა და მონაზნებს ქართველთ ახალ-გაზდა ემარჯულებსათვის ქართულს ენაზე ესწავლებინათ წერა-კითხვა, ქართულად ისტორია, საღმთო წერილი, გაეხსნათ გონება, მიეცათ მათთვის ისეთი განათლება, რომ გაეგებინებინათ მათი ვინაობა, შეეყვარებინათ მათი ეროვნება, სამშობლო, თავისუფლება და სარწმუნოება.

ერთის სიტყვით, სულიერნი მამანი ჭფიჭობდენ მომავალზე და არა აწმყოზე; ჭფიჭობდენ სამშობლოს ბედნიერებაზე და არა თავის-თავზე. არა, თავის-თავზედაც ჭფიჭობდენ, მაგრამ უფრო იმის მოწადინენი იყვნენ, რომ მათი სახელი სამშობლო ერთი კეთილად ხსენებულყო. რა ჰიზადი სარგებლობა ჭჭონდა მაგალითად თბილელ-ბოდბელ მიტროპოლიტს დღე-

მენტი მესამეს—არბელისს? ის ბეჯითად მეცადინეობდა მეფე ვასტანგ მეექვსესთან ერთად გაემართა თბილისში ქართული სტამბა. აქ აბეჭდვდებოდა ქართულს ენაზე საეკლესიო წიგნებს და აგრეთვე სხვა-და-სხვა თხზულებებს; მართავდა სასწავლებლებს სოფლის ეკლესიებთან; ავრთვებდა წიგნებს, წათა გაკმდიდრებინა სიონის ეკლესიის ბიბლიოთეკა.

ეს კიდევ ცოტა ვსთქვი: იმის დროს ოსმალებმა დაიჭირეს თბილისის ქალაქი და მოიწადინეს სიონის სობოროს მეჩეთად გადაკეთება. მაგრამ იგი წინააღმდეგა მათს განზრახვას. მას მიემხრო გივი ამილახორიძე და ამ უგანსაგნელის ძლიერის ქომავლობით გადაარჩინა მამა-პაპის სალოცავი შეურაცხყოფისგან. აგრეთვე რა სარგებლობა ჰქონდა მიტროპოლიტს იოსებ თბილელს — თარხნიშვილს, რომ შანჭბაზისაგან თავის საკუთარის ხარჯით გამოისუიდეოდა ქართველ ტყვეებს? რა განზრახვა ჰქონდა ამ შესანიშნავ მღვდელ-მთავარს, რომ გამწარებული ებრძოდა მტერს და მისვე წყუელის სულით მოკვდა ბაზალეთის ომში? ამას თავისი თავი რომ ჰყვარებოდა სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობაზე მოძუტებულად, არ აიღებდა ხმაღს ხელში, არ შეებრძოდა მტერს და როგორც სულიერი მამა იქნებოდა თავის სამწყსოში: იმას იქნება არავინ შეტყუებოდა, ვითარცა უვნებელ სასულიერო პირს; მაგრამ არა: მისი გული ვერ ითმენდა სამშობლოს უბედურებას და ხმლის მოქნივით ჭფიჭრობდა დაეცვა სამშობლო ერი და სარწმუნოება¹⁾.

რა სარგებლობა ჰქონდათ აგრეთვე ანტონ ქათალიკოზს პირველს და ეპისკოპოსს გაიოსს, რომ თუმცა რუსეთში სცხორებდნენ, ქართველთ განათლებისათვის მეცადინეობდნენ?

¹⁾ იხ. Описание Тип. П. Иоселиани გვ. 180 და 181.

განა ამისათვის ქართველები ჩინებს მისცემდენ, თუ ჯამაგირს მოუმატებდენ? ან იქნება რუსეთის მთავრობისაგან სამშობლო ქვეყნის განათლებაზე შრომისათვის რაიმე ჯილდოს მოელოდდენ? არა, მათი შრომა უანგარო იყო. იმათ სახეში ჭქანდათ მხოლოდ სამშობლოს ბედი, მისი კეთილ-დღეობა, მისი დამოუკიდებლობის დაცვა, ქართულის ენის და ქართველობის გაძლიერება განათლების საშუალებით. რასაკვირველია, რჯასნი უმანხიჯოთ არ იქნება. იყვნენ ქართველთ სასულიერო პირთ შორისაც იმისთანანი, რომელთაც პირადი საჩუქებლობა და კეთილ-დღეობა უფრო სწამდათ, ვიდრე საქვეყნოდ საქმე, ვიდრე ერის დიდება და მისი დამოუკიდებლობა; მაგრამ კაცთა საზოგადოება სიმართლეს ყოველთვის მომეტებულს რიცხვში ჭხედავს. აი ამისათვის ჩვენც, რადგან კეთილის მსურველნი უფრო მომეტებულნი იყვნენ, ვიდრე მავნენი, ვამტკიცებთ, რომ ძველებურს სასულიერო წოდებას თავი შეწირული ჭქანდა ქართველ ხალხის საწმენოებისა და ვინაობის დასაცვლად. ის აძლიერებდა ქართულს ენას გაკვასიის ხალხებში, ის აძლიერდა ერს განათლებას, ის იცავდა მის დამოუკიდებლობას, ის აძლიერებდა ეკლესიურს მწიგნობრობას და, როცა საჭიროება მოითხოვდა, ებრძოდა მტერს ძლიერის სიტყვითა და თავგანწირულებით.

თუნდ რომ ყველა ეს ასეც ყოფილიყო, მერე რა გნებავთ ამითი სთქვათო? მკითხავთ. არაფერი იმის გარდა, რომ გვსურდა მხოლოდ გვეთქვა, — ძველს დროში არც მეთე, არც თავადი, არც დიდებული, არც ერის-თავი, არც აზნაური, ერთნის სიტყვით არაგინ არ თავილობდა სასულიერო თანამდებობის მიღებას, თუ ვი ხედავდენ, რომ ამ თანამდებობის საშუალებით შემწეობას მისცემდენ ერის დამოუკიდებლობის

დაცვასა და საწმენოების გაძლიერებას; რომ ქართველ ხალხს მის დაკარგვით თავის ეროვნებაც არ დაჰკარგოდა, და არ აღიარებულყო სპარსულ ტომთა შორის; გვსურდა, რამოდენადაც შეგვეძლო, გვეამბნა მკითხველთათვის, რომ უწინდელს სასულიერო წოდებას თავისი ჰირადი საჩუქებლობა ისე მკიცხად არ უღიწდა, როგორც ერის ღიდება და მისი კეთილდღეობა; გვეწადა უკანასკნელად გველაღადა ჰველე მოციქულის შემდეგი სიტყვებიცა: «ამიერიდგან, ძმანო, მტკიცედ სდგეით და შეიკრძაღეთ მოძღვრება ესე, რომელი გისწავიეს წიგნითა ხყენითა.»

II

ქართველი ქალი.

ძნელთა ქართველ ქალზე ლაშაჩავი, — ძნელთა კაცმა სთქვას — რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ქართველ ხალხში და რა მონაწილეობა მიუღია სამოქალაქო და ისტორიულს ცხოვრებაში? ვამბობთ, ძნელთა ამ საგანზე ლაშაჩავი ამისათვის, რომ ჯერ-ჯერობით არ არის მოგროვებული არავითარი მასალა მის შესახებ და არც საქართველოს ისტორიული მემატიანენი არიან ჯერ კრიტიკულად განხილულნი, როგორც ამას მოითხოვს მეცნიერება. ამ მიზეზისა გამო ვინც კი დაიწყებს ქართველ ქალებზე ლაშაჩავს, უსათუოდ უნდა გადააქოთოს მონასტრების წიგნთა საცავნი, მოსძებნოს, ამოჰკრიფოს რაიმე ნაგლეჯნი ისტორიულის მატანიისა, შეაგროვოს ერთად, მერმე გადააწიოს, განიხილოს კრიტიკულად, რიგზე დააწიოს და

შეადგინოს სისტემატიკური მსჯელობა და აზრი ქართველის ქალის ისტორიულ მოქმედებაზე და ჭკუის გამჭრინახობაზე. უმეტესად, რომ ამ გვარს შრომას დიდი და ხანგრძლივი ბეჯითად მეცადინეობა უნდა და კერძო შესძლებს ერთი კაცი ამ საზნის საბოლოოდ გარდაწვევას.

მაგრამ აქამომდე ვერ ანც ერთს ჩვენს მწერალთაგანს არა აქვს ეს საქმე დაწუბილი. მართალია, ამ ორის-სამის წლის განმავლობაში ბ. ავაგი წერეთელმა ბევრი სწერა «დროებაში» და «შრომაშიც» ძველებურისა და ახლანდელის ქალების ავ-გარგობაზე, მაგრამ მის წერილებში მსჯელობა ისტორიულს ჭაჭტებზე არ არის დამყარებული. ეს არის მიზეზი რომ დღემდის არ არის ჩვენს მწერლობაში აღსანიღი რა დანიშნულება ჰქონდა ქართველ ქალს ოჯახში, სამოქალაქო და პოლიტიკურ ასპარეზზე და აგრეთვე რა იყო იდეალური ქართველის ქალის ცხოვრებისა. რასაკვირველია, ჩვენ არ ვამტყუნებთ პოეტს, რატომ ქალების ისტორია არ დაგვიწერა. ამ გვარს შრომას ისტორიკოსიც ვერ შექსძლებს, თუ მასალა არ ექნება, და პოეტს ხომ აბა რაღა მოეთხოვება.

ჩვენ ხელადა გვაქვს მხოლოდ «ქართლის ცხოვრება და წმინდათა მამათა ცხოვრება», რომელშიაც მხოლოდ აქა-იქ, თითო სტრიქონით და თითო სიტყვით, გაკვირვებით წამოხსნისათ მწერალთ რაიმე აზრი დედა-კაცებზე და ამ სტრიქონებს და სიტყვებს დიდის უურადადებით წაკითხვა უნდა და კრიტიკულად განხილვა. ამათ გარდა სხვა ისტორიულნი მატარნი არა გვაქვს და რაც ამასში არის ნათქვამი დედა-კაცებზე, იმას გარდა სხვა ცნობები მწერალმა თვითონ უნდა ეძიოს სხვადა-სხვა თხზულებებში ქართულსა, რუსულსა და კიდევ სხვა უცხო ენებზე დაწერილებში.

ჩვენს შრომასუე უნდა ვსთქვათ, რომ ეს არ არის უნაკლებულა ჭაკტიკურის მხრით. მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ მეტი არ შეგვეძლო, და რაც დააგლდა, ის სხვამ გამოიგვლიოს.

მაგრამ არ იქნება აქვე არა ვსთქვათ, რომ ქალების ცხოვრების ისტორიის შესწავლისათვის, სხვათა შორის, რასაკვირგელია, დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის ზღაპრებსა და ანდასებსაც. ამათში არის გამოხატული ხალხის შეხედულობა დედა-კაცის ჭკუასუე, გამჭრინასობასუე, მოკვალეობასუე და მოქმედებასუე ერის საზოგადო ცხოვრებაში. უკანასკნელს დროს მეცნიერებამ, მართლაც, ისეთი ყურადღება მიაქცია ხალხების ზღაპრებს, რომ ისტორიის გარეშე დროის კაცობრიობის ცხოვრებას დაასლოებითა ხსნის მათის შინაარსით; იმათში ეძებს ჯ ზოულობს მეცნიერება ჭეშმარიტებას, ბნელად გამონასკვეულს სხვა-და-სხვა ალეგორიით იმ დროს, როცა კაცობრიობამ ჯერ წერა არ იცოდა.

ქართულ დედა-კაცების ძველის-ძველ ცხოვრებისა ჯ ძალღონის გამოკვლევაში ეს ზღაპრები, რასაკვირგელია, მცირედ არ შეეწევინ მწერალს, მაგრამ სამწუხაროდ დღემდის ისინი არ არიან შეკრებილნი და დაბეჭდილნი. ჩვენ კიციით მხოლოდ, როგორც ზღაპრად გაგვიგონია, რომ მათში დედა-კაცი ჭკუიანად, გამჭრინასად და ძლიერად იხატება და ყოველს გასაჭირში ჭშველის მამა-კაცს ჯ იხსნის უბედურებისაგან. ასეთნი არიან მავალითად ბებრები და გასათხოვრად მოსწრობილნი ქალები. მაგრამ გვაქვს ერთი დაბეჭდილი ზღაპარი, რომელიც ქართულ ქალსუე ბერძნებს შეუდგენიათ და რომელსაც ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით ქართველებისგან შედგენილ ზღაპრებს. უეჭველია, რომ ბერძნებისგან შედგენილს ზღაპრებში ჩვენთვის ქალსუე უფრო დასაჯერებელი შეხედუ-

ლობა იქნება გამოთქმული. მიუდგომლად იმათ ექნებათ ნათქვამი ქართველ ქალზე; რაც იყო იგი და რა მნიშვნელობაც ჰქონდა მას ცხოვრებაში. ჩვენა გვაქვს სახეში ზღაპარი ¹⁾ «ოქროს მატყლოვანის ვერძისა», რომელშიაც არის სხვათა შორის ლაპარაკი ქართველს ქალზე—მედიასზე.

მედია იყო სამეგრელოს მთავრის ოტისას ასული. ის იყო სიყვმიდგანვე განსწავლული, იცოდა ჭიზიკურ მოკლენათა ხსენსა და იყო ძლიერი ჯადოქარი. ზღაპარი ამბობს, რომ მედიასავით მტოდნე და მეცნიერი დედა-მიწის პიჩზე აღამიანი არ მოიპოვებოდა, იცოდა წინაღვე კაცის ყოველი თავ-განსაკალიო. ვრძნებაში ისე დახელოვნებული იყო თურმე, რომ ნათელს ბნელად გადააქცედა და ბნელს ნათლად; უეტრად ასტებდა ქარს, ელვა-ტექას, ქუხილს და მიწის-ძვრას; ერთს წამს მომდინარე წყალს უკან გააბრუნებდა; ზაფხულში უტვებ სეებს ფოთლებს დააყრვეინებდა და შელოცვითა და ჯადოქრობით ზამთარში სეებს ფურცლით, ყვავილებით და ნაყოფით შეამკობდა; ყმაწვილებს მოსუტებულ კაცებად გადააქცევადა და მოსუტებულთ ჭაბუკად გადაასადისებდა. რადგან ასეთი მეცნიერი და შემძლე იყო, ძველს დროში მას დმერთად რაცხდენ.

ეს ქალი სცხოვრებდა იმ დროს როცა არღონავოსნებთ მოვიდნენ სამეგრელოში «ოქროს მატყლოვანის ვერძის» ტყავის მოსაპოვებლად. ეს ოქროს ტყავი ეკიდა ტყეში ერთ ხეზე და ტყე იყო (სამეგრელოში) შეწირული დმერთის მარსისათვის. მას სდარაჯობდა ორი ხარი, რომელთაც რკინის რქანი ჰქონდათ და პირიდან ტეცხლი ამოუდუღდათ, და ერთი ვემა-

¹⁾ ამ ზღაპრიდან ჩვენ ამოვწერთ მხოლოდ იმას, რაც შეეხება თვით მედიას და საქართველოს.

პი. ისე იყო ეს ადგილი მოჯადოქრებული, რომ ვინც «ოქროს ტყავს» მიუახლოვდებოდა, კერძოდ გარდაცემულად ცოცხალი ბეჭნი გმიჩნი მოსულიყვნენ უწინაც მის წასაღებად, მაგრამ მოდარჯჯეთაგან სინცოცხლეს გამოჭსალმებოდნენ. ბოლოს მოვიდა იაზონ მის წასაღებად და უთუოდ ისიც მოკლული იქნებოდა, თუ მედიას არ ეშველნა მისთვის.

აწდონაკონსები რომ მოვიდნენ სამეგრელოში, ოტიამ, მედიას მამამ, თავის სახლში მიიღო და კარგად უმასპინძლა. პირველ დღეს, სადილის ჭამის დროს, იაზონმა, ჭკრეულესმა და ოტიამ დიდი ბასი გამართეს. ამ დროს მედიაც მშვენივრად შეძეულ და შემოსილი ძვირ-ფასის ტანისამოსითა და თვალ-მარგალიტითა მამას გვერდით უჯდა, მაგრამ არაკითარი მონაწილეობა არ მიუღია მათს ბასში. მეორე დღეს კი ველარ მოითმინა და სთხოვა მამას, ნება მიეტა გასჯობებოდა ცოდნითა და სწავლით ბერძნებს, «ვითარცა წესი არს მალაღ-შობილთა და ბრძენთა ქალ-ყრმათა»¹⁾; «ოდეს იხილა იაზონ გონიერად და ფრთად ხელოვნად ზრდილობიანი და სიბრძნითა აღსავსე საუბარი მისი, გაუგვირდა ფრთად და შეუგვარდა მედიას» და ამასაც იაზონი.

ერთს დღეს მედიამ გამოუცხადა იაზონს, რომ თუ პიტრობას მომცემ ცოლად შერთვისას და სიკვდილამდე აღარ გამოეყრები, მამინ გასწავლი რა მოხერხებით შევიძლიან დამარცხო დარჯჯნი ოქროს ტყავისა და იშოგო განძიო. იაზონ თანახმა გახდა და მისცა სიტყვის სიმტკიცის თავდებად ჭკრეულესი.

მედიას დარბებით იაზონმა მართლაც გაიმარჯვა, და-

¹⁾ იხ. ისტორ. თეიმურაზ ბაგონ. გვ. 91.

ხოცა დაჩაჯნი და ჩამოსსნა «ოქროს მატული», რომელიც ხეხედ ეკიდა. ეს ამბავი ოტიას ძლიერ ეწეინა და მოიწადინა ბერძნების დასოცა, მაგრამ ერთ ღამეს იმათ წაიყვანეს მედიაც და გაიქცნენ საბერძნეთში. ეს ამბავი ქართველ სალხსაც ძლიერ ეწეინა. მოჭსდა ამაზე ამბოხი და ოტია გადააყენეს მთავრობისაგან უძვირფასესის განძის დაკარგვისათვის. სასიკვრელის გამგებელად გახდა ახლა ოტიას ძმის-წული ჰერსეი, რომელმაც რამდენიმე სნის შემდეგ უღალატა საქართველოს ერთობას და იქმნა დაუმორჩილებელი მთავარი სამეგრელოსი.

ამ დროს შედია უკვე საბერძნეთში იყო და იაზონისაგან ორი შვილიცა ჰყავდა. ვიდრე ასალ-სასდა იყო, ქმარს უყვარდა, მაგრამ როცა მოხუცდა, შეიძულა იაზონმა იგი, სხვა ასალ-გასდა ქალი მეფისა ცოლად შეირთო და შედიას შვილებიც წაართვა. მასშინ შედია აღიძრა საშინელისა შურითა, მოჭგლა იაზონის ცოლიც და თვის მიერ ნაშობი ორი შვილიც, რომ უშვილოდ ამოეწევიტა იაზონ. მასუგან მივიდა ქმარზე საჩივრელად ჰერკულესთან, რადგან თავლები იყო, მაგრამ იგი ჭკუა შეშლილი დაჭსკდა და განკურნა ჭკუა-შეშლილობისაგან. ჰერკულესმა დიდი მადლი გარდაუსადა და ძლიერ ეწეინა, რა შეიტყო ღალატი იაზონის მიერ. რადგან აღარ გაეწეობოდა-რა, უჩნია შედიას სელი აეღო იაზონზე და სხვა ქმარი შეერთო. შედიამ დაიჯერა გმირის სიტყვა, შეირთო სხვა ქმარი, რომლისაგანაც ეყოლა შვილი და დააჩქვა სასულად მიდ.

შედია აღარ დადგა საბერძნეთში და მოვიდა საქართველოში თავის ძმის სახსავად. აქ შეიტყო, რომ მისი ძმა ოტია ჩამოკვდა ძმის-წულს ტანტიდამ, თვითონ გამხსნარყო სამეგრელოს მთავრად და საქართველოსაც გაჭყროდა. ამ ამ-

ბავშვს თავს-ზარი დასცა მას. სიტყვებსე გააჩნებულმა მედიანს დიდი ხნის ფიჭვის შემდეგ უჩნია მცხეთის მამასახლისს და ქართველ ხალხს დაუფრთხილავ დაეჭირათ ისევე სამეგრელოც შემოერთებინათ საქართველოსთან. ხალხმა გაუგონა. შეიყარა ვარკები. ამოიჩინეს მხედართმთავრად მედიას შვილი მიდ; გაილაშქრეს, დაეცნენ სამეგრელოს, დაამარცხეს ჰერსეი, დაიზურეს ქვეყანა და შემოერთეს ისევე საქართველოსსვე. «ამას ზედა მცხეთისა და სხვანი მამასახლისნი და ივერიისა ერისა საზოგადოება იფრად მადლობელ ექმნენ მედიას კეთილისა რჩევისა მიცემისათვის და გარჯისათვის გულოვნად ძისა მისისა და ზატოვ-სცეს და კვალად რტია, მამა მედიასი, ქვეყნს მამასახლისად გოლხიდასა, რომელიცა იყო მასინ ღრმად მოხუცებული»¹⁾.

მთელი ეს მოთხრობა მართლდია, ზღაპარია, მაგრამ, არ შეიძლება, მასში რაიმე ჭეშმარიტება არ იყოს. სპენსერი, ტაილორი, ლებოკი და მრავალნი სხვანი თავიანთ სამეცნიერო გამოკვლევათა შინა. დიდს მნიშვნელობას აძლევენ ზღაპრებს, როცა იგვლეკენ კაცობრიობის საწყობურებას. აგრეთვე არ არის სწავლულთაგან უფურადღებოდ დატოვებული თვით ზღაპარი «აქროს მატყლოვანის ვერძისა.» ისტორიკოსები ცდილობენ ახსნან რა არის ამ ზღაპარში. ვაკვასიის ხალხთა ძველის ისტორიის მტოდნე უსლარი ამბობს, რომ ამ ზღაპარში მედიას სასულიერო ბერძნებმა გამოხატეს ის არის და შესედულება, რომელიც გოლხიდას ქალებზე შეედგინათ. ამას მოჭყავს ალექსანდრე მაკედონელის ერთის მხედართაგანის, პტოლომეის შემდეგი სიტყვები: «გოლხიდაში კაცები დედ-კაცებს ემოჩნილენ-

¹⁾ იხ. ისტორ. თეიმურ. ხატ. გვ. 85—100.

ბიან და დედა-კაცები არიან მამაცნი, უფლები-მოყვარენი, ძლიერნი და მებრძოლნი»¹).

ერთის სიტყვით ძველს დროში საქართველოზე დედა-კაცებს დიდი გავლენა ჰქონიათ. ამას ამტკიცებს, რასაკვირველია, მედიას ზღაპარიცა. უსლარი ამბობს, რომ არღონავონების ზღაპრით ბერძნებმა გამოსასხეს: 1) კავკასიის ანუ საქართველოს ქალის მდგომარეობა, გამჭრისლობა, ცოდნა და გავლენა ხალხის ცხოვრებაზე, 2) კავკასიის ერის სიმდიდრე, კეთილ-დღეობა და განათლება და 3) თავიანთი (ბერძნების) მეტადინეობა—ჭქონოდან საქართველოსთან ვაჭრობითი კავშირი.

თუმცა ამ ზღაპარს ნამდვილი მატრიანური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ჩვენ აქედან შევუდექით ქართველ ქალზე ლაპარაკს ამისათვის, რომ გვსურს შემოვკრიბოთ ყოველ-გვარი ცნობები ქართველ დედა-კაცზე და რადგან ამ გვარს ცნობას გვაძლევს სხვათა შორის მედიას ზღაპარიცა, ამისათვის ჩვენ მოვიხსენიეთ იგი მხოლოდ მკითხველთათვის საცოდნელად. ამ განსწავლვითვე არ დავიზარებთ ორიოდ სიტყვის თქმას კავკასიის ამაზონებზედ ანუ ამოკრძლებზედაც.

ისტორიკოსების ძველებურ გადმონაცემის გამოკვლევიდან ვიცით, რომ ერთ დროს ჩვენს კავკასიაში უცხოვრიათ ამაზონებს. ვინ იყვნენ ეს ამაზონები? ამ კითხვასზე სწავლულნი დბეკვითებით ვასუსს არ იძლევიან. მაგრამ ყველანი ერთხმად ამბობენ რომ ეს დედა-კაცები სცხოვრობდნენ კახეთში, დაღესტანში, იმერეთში, სამეგრელოში ახლანდელ ბათუმის მაზრაში, ჩერქეზეთში და ყოველს შავ ზღვის ნაპირა ქვეყნებში კავკასიის მხარეს. აი რას ამბობს ამათზე ერთი ჩვენებური

¹) იხ. Усларъ «Древаѣйшія сказанія о Кавказѣ» გვ. 400.

მწერალი: «ძველს-ძველს დროში ერთხელ შემოესიგნენ კავკასიას უცხო ტომნი კასლოხიძეები, ამათან ბრძოლაში მამაკაცი უველანი გასწუდენ. მამინ დედა-კაცებმა ვერ მოითმინეს ეს უბედურება, ერთი პირი ქქნეს, შეფიცეს ერთმანერთს, შეერთდენ, განუდგნენ თავიანთ ქვეყანაში ჩამდგარ მტერს და განუწვევტლად! ებრძოდენ იმას აქა-იქ კავკასიის ხეობებში და ღელეებში. აქედან წამოსდგა ლაზისტანის და სამეგრელოს სახელი «გოლხიდა», რომელიც ნიშნავს «ქალთა მსედრობას»¹⁾. თვით უსლარიც ამბობს, რომ სახელი «გოლხიდა» და ხალხი „გოლხები“ ამ კასლოხიძეებისაგან დაწნა სამეგრელოში²⁾.

ამ ორივე თქმულებას (მედიასე და ამაზონებზე) თუნდა ზღაპარი დაარქვით, მაგრამ მგონია კი რომ ამ ზღაპრულ გადმონაცემებში გამორთქმულია ნამდვილი აზრი ბერძნებისა ქართულ ქალის ცოდნაზე, ჭკუის გამჭრიახობაზე. მაგრამ გასაკვირველია, რა მიზეზით შეადგინეს ბერძნებმა ასეთი აზრი ქართველს ქალზე?

ისტორიით ვიცით, რომ მედიასავით და ამაზონებავით თამამად ქტევა, უცხო სტუმართან ჯდომა სადილზე და მასთან მუსაიფი წინააღმდეგი იყო საბერძნეთის ერის წინის და ჩვეულებისა. საბერძნეთში დედა-კაცებს არ აჩვენებდენ უცხო კაცს, მას ჭხედავდენ მხოლოდ ნათესავები და მეგობრები ქმრისა. მას შეეძლო ქმართან დამჯდარიყო და სადილი ეჭამა მხოლოდ მამინ, როცა ქმარს თავისთან სტუმარი არა ჭყავდა. სასახლეში ჭქონდა ქმრისაგან მოშორებით ცალკე ოთახი მიჩენილი და

2) იხ. ისტორია მესხი გვარამამისა.

1) იხ. Усларь стр. 330—426.

კარებსე ბრახიანი ქოფაქი ძალღი ჭყავდა დაბმული, რომ გაფ-
თხილებულიყო და უცხო კაცი არ შეეშვა ოთახში. აქ ეხვივნენ
მას მოახლეები და მონები. ამ მარტოობაში. მისი საქმე იყო
სახლის მოკლა, ქსოვა, ჭრა-კერვა, ჯარა, საჩხედი და თი-
თის-ტარი.

ბერძნების ახრით ყოველი ამ გვარი საქმე კაცის ღირ-
სების დამამცირებელი იყო და ამის გამო დედა-კაცსა ჭქონდა.
მინდობილი. დედა-კაცს არ შეეძლო აგრეთვე მიეღო ჩაიმი
მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში და ამისათვის მას სწავ-
ლა-განათლების მიღების ნებასაც არ აძლევდენ. რომელი მათ-
განიც კი გაბედავდა სწავლა-მეცნიერების შესებას, მასაც ძლიერ
ჭკიცხავდენ და ზრახავდენ. იმათ ეძახდენ ზნე-გარყვნილ დედა-
კაცებს—გეტურებს, რომელნიც რომსის რიცხვში იყვნენ
ჩათვლილნი. მაგრამ ბერძნებს მაინც უყვარდათ მათთან დროს
გაქარება და არა ოჯახში, ცოლებთან, რომელთ ოთახში
შესვლას მხოლოდ უსაქმობის დროს ჭკადრულობდენ. ერთის
სიტყვით ბერძნები ისეთის ცუდის თვალით უყურებდენ სასო-
გადოდ დედა-კაცის ღირსებას, რომ დემოსთენი ასე ეუბნებო-
და ათინელებს: „საყვარლები ჩვენა გვევას კმაყოფილებისათვის
ცოლები კი—სახლის მოკლისა და შვილების ყოლისათვისაო.“
თვით უდიდესნი ფილოსოფოსნი სოკრატე, პლატონ და არის-
ტოტელიც კი ცუდს ზრახავდებდენ დედა-კაცზე. ისინი ამ-
ბობდენ—დედა-კაცი სამეფოელი არსებია ჯ კაცი ისე იშვიათად
არავის უნდა ელაპარაკებოდეს, როგორც თავის ცოლსაო.
სპარტაში და დორიაში თუმცა სასოგადო ცხოვრებაში უფრო
დიდი პატივი ეძლეოდა დედა-კაცს, ვიდრე ათინაში; მაგრამ
ერთგანაც და მეორედგანაც დედა-კაცი არ იღებდა არავითარ-

მონაწილეობას სამოქალაქო და პოლიტიკურ საქმეების განწყობილებაში ¹⁾.

თუ ასეა, მაშ რა მიზეზით შეადგინეს ბერძნებმა წინააღმდეგი აზრი ქართველ ქალზე? ნუ თუ მართლაც იმას მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთ ცხოვრებაში? რადგან საბერძნეთში დედა-კაცი ცუდს მდგომარეობაში იყო და საზიზღარი შეხედულება ჰქონდათ მის ღირსებაზე და მნიშვნელობაზე სამოქალაქო ცხოვრებაში, უძველესია, რომ ქართველ ქალზე ბერძნები არ იტყოდნენ, რომ ის ძლიერ განსწავლული იყო და საკვირვლად იცოდა ბერძნების ხელობა, თუ მართლაც, მთლად თუ არა, ნახევრად მანც ასე არა ყოფილიყოს; არ გამოიყვანდენ მას უცხო სტუმრებთან სადილად, არ დასჯამდენ მამის გვერდით, არ განაზიზღდენ მათთან და არც უღმარაში ამოქმედებდენ; არ იტყოდნენ, რომ იაზონს უმედიოთ არ შეეძლო «ოქროს მატყლის» შოვნა. იტყობა, მართლაც ასეთი ყოფილა და ასეთი თავისუფლება ჰქონია ქართველ ქალს, რომ მისი საქციელი საარაკოდ გაუხდია უცხო ხალხს.

ასეთი შეხედულება ბერძნებისა ქართველს ქალზე არც რომ სრულიად ტყუილი უნდა იყოს ისტორიულადაც. თითქმის ყოველს საბერძნეთის სამოქალაქო ისტორიის სახელმძღვანელო წიგნში სწერია, რომ გეტურების აშკარად გამოსულაზე საზოგადო ცხოვრებაში გაკლენა იქონია აღმოსავლეთ-მაო. ვიტყვით სხვათნაირად: მცირეაზიაში მცხოვრებ ბერძნების ქალებმა აღმოსავლეთის ქალების საქციელის მიხედვით დაიწყეს თამამად ქცევა და სწავლა-მეცნიერების მიღება. მაგრამ რა-

¹⁾ იხ. Положение женщинъ, въ древнѣйшемъ Римѣ Крассина 1877 г.

მელს მხარეს ეძახიან ამ შემთხვევაში მწერალნი აღმოსავლეთს, თუ არა კავკასიას? მე არა ვგონებ, რომ ამ სიტყვით მთელს აზიას იგულისხმებდენ. ასე რომ იყოს, მაშინ ისინი თავიანთ თავსვე გაამტყუნებდენ. ჩვენ ვიცით, რომ როცა ლაშარა-გობენ საზოგადოდ დედა-კაცის მდგომარეობაზე, ერთ-სმად ამბობენ, რომ დედა-კაცი ისე არსად იყო დაჩაგრული, როგორც აღმოსავლეთშიო¹⁾. თუ ასეა, მაშ აღმოსავლეთმა როგორ-ღა იქონია გავლენა საბერძნეთის ქალების გათამამებაზე და გარყვნაზე? ეჭვი არ უნდა გეჭონდეს, რომ აქ საზოგადოდ უგელა აღმოსავლეთში მცხოვრებ დედა-კაცებსე არ არის ლაშარაკი. ჩემის აზრით საბერძნეთის ქალების—გეტყრების საზოგადოებაში გამოსვლაზე გავლენა იქონიეს მცირე-აზიაში და კავკასიაში მცხოვრებ უცხო ტომის ქალებმა. თავის ისტორიაში ილოკაისკი ამბობს: მცირე-აზიის კოლონიებში მცხოვრებ ბერძნის ქალებს გაერყვნათ ზნე აღმოსავლეთის ქალების მიხედვითაო. მაგრამ ნუ თუ მართლა შესაძლო იყო ეს ასე მომხდარიყო? ნუ თუ მართლა კავკასიის ქალებმა თავიანთ მაგალითით გაათამამეს ბერძნების ქალები და გამოიყვანეს აშკარად საზოგადო ცხოვრებაში? ჩემის აზრით აქ არა არის—რა გასაკვირველი. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ნაპირებსე შავის ზღვისა ბერძნებს ჭქონდათ მრავალი კოლონიები. ესენი იყვნენ: ოლვია, ხერსონესი, ზანტიკაპია, ტანაისი, ფანაგორია, დიოსკურია (სახუმი), ფაზისი (ფოთი), კიმერიონი (ჭუთაისი), შოტაპანი (ყვირილა), პეტრი (ანაკოფია), ტრაპიზონი და სხვ. ამ ქალაქების მეტროპოლია იყო მილეტიო, ამბობენ ისტორიკოსები, და ზღვის პირსე მას ჭქონდა ოთხმეტრი კოლონიის

¹⁾ Историческія судьбы женщ. Шашкова стр. 68—86,

დაფუძნებულია. ჩემის აზრით აი ამ კოლონიებში მცხოვრებ ბერძნების ქალებმა კავკასიის ხალხებში ვაჭრობის დროს მის-კლა-მოსვლით გადიდეს აქაურ დედა-კაცების ზნე, ჩვეულება და ქცევა, ესე იგი მათ მოეწონათ კავკასიის ქალების თავის-უფლება, ხალხში თამამად გამოსვლა, კაცებთან მოურიდებლო-ბა, მათთან მუსაიფი, მათი გამჭირიანობა, ცოდნა და მონაწი-ლეობის მიღება საზოგადო ცხოვრების საქმეებში. ისტორიის პირდაპირ ამბობს, რომ სასულევანი ასპანია მცირე-ასიე-ლი დედა-კაცი იყო მიღეთის ქალაქიდანაო. ჰეროდოტეს ასე მო-ეწონა ეს კეკელუცი, განათლებული და თამამი ქალი, რომ ცოლად შეირთოო. ეს ამბავი მოჭნდა 449 და 429 წელს შუა ქრისტ. დახადებამდე. დაად, ამ გვარის მოსაზრების გა-მო ვიგითხავ კიდევ: საიდან გადიდეს ამ გეტურებმა ასეთი სითამამე, თუ არა კავკასიის კოლონიებში აქაურ ქალებისაგან, რომელთაც დიდი თავისუფლება, და სითამამე ჭქონიან ხალ-ხში და რომელნიც აშკარად გამოდიოდნენ სახალხო დღესასწა-ულებში, მონაწილეობას იღებდნენ საზოგადო ღწინში და სი-სარულში, ეჩუოდნენ სალაშქრო და სამოქალაქო საქმეებში? და თუ გეტურებმა სითამამე კავკასიის ქალებისაგან გადაიღეს, თუ აქაურს ქალებს დაუწევს მიბაძვა ცხოვრებაში, მას ეტვი არ უნდა იყოს, რომ აქაურს ქალებს დიდი უფლება და სითამამე ჭქონიან ხალხში. განა ამ აზრს არ ამტკიცებენ მედიას ზღა-პანი და ამაზონების ისტორიის?

ნუ თუ ქართველი უფრო განათლებულნი იყვნენ, ვიდ-რე ბერძნებიო, იტყვიან? თუ არა, მას რით აიხსნება ის ფაქ-ტო, რომ ქართველი დედაკაცი უფრო გამოსული ყოფილა ცხოვრებაში, უფრო კეთილი ცხოვრება და გავლენა ჭქონია სა-ზოგადოებაზე? რასაკვირველია, ეს იმიტო არ აიხსნება, რომ

ვითომც ქართველები უფრო განათლებულნი იყვნენ ბერძნებსე. ქართველი სალსი როგორ შეედრება განათლებით და ცოდნით ძველს ბერძნებს. მაგრამ საქმე ეს არის, რომ რამოდენადაც რომელიმე სალსი გაუნათლებელია, იმოდენად უფრო თავისუფალი ცხოვრება, სითამამე, და გავლენა ჭქონია დედა-კაცს მამა-კაცსე¹⁾. ეს ამიტომ, რომ ველურს მდგომარეობაში დედა-კაცი თავს იცავდა თავის ძალ-ღონით, ვერძოდა კაცს და არ აძლევდა ნებას მონად გაესადა იგი. საქმე ძალ-ღონეზე იყო დამოკიდებული. ვინც დაამარცხებდა, ის იყო ბატონი. ქალი ჰირობას უღებდა მის ცოლობის მეძიებულს კაცს: მოდიოთ ჯერ შევიბნეთ და ვიბრძოლოთ, თუ შენ დამამარცხე, მე შენი მონა და ცოლი ვიქნებიო; მაგრამ თუ მე დავამარცხე, მაშინ ძენებება მოგვლავ, არა და მონად გაგიხდით. ასეთი ბრძოლა დაუწყევიათ კაცსა და დედა-კაცს თავის განხილვანვე. ყოფილა დრო, რომ დედა-კაცს უჯობნია მამა-კაცისათვის. ჩვენ უბევ ვსთქვით, რომ კავკასიაში დედა-კაცებს ჭქონიათ სამეფოა. იმათ ერქვათ ამზონები, რადგან იაჩადის ადვილად სძარბან სათვის მარჯვენა ძუძუს იბრძავენ. აი რას ამბობს კავკასიის ამზონებსე დიოდორს სიცილიელი: «დედოფალი ამზონებისა იდგა მდინარე თერმოდონის შესართავთან. დღითი-დღე განითქმობდა მისი სახელი მამაცობისა. როგორც კი დაიბურთებდა ერთს რომელსამე სალსს, მაშინვე სსვა სალსის დასამორჩილებლად ამხედრდებოდა. ის იწოდებოდა ბრძოლის დიქრთის ასულად, მან დამარცხა მამა-კაცები და ძალა დაატანა მატყელი ეხებათ და ერთათ. მან გამოსცა კანონები და დედა-კაცები სამხედრო სამსახურში მიიწვია, კაცები კი შინ დას-

1) იხ. Ист. судьбы женщины, гл. 68.

ტოვს რჯასის მოსაკლელად. სკვიტების ამზონებზე გადმონატეპი ამბობს, რომ ეკვიპტის მეფის სეზოსტრასის დროს მრავალნი მათგანნი გადასახლდენ კახადოკიაშია. ამით ამოსწევიტეს თურქე მომეტეპული ნაწილი მამა-გატებისა, რომელნიც თან გაიყოფიეს, ამოიჩნიეს მსკდართ-წინამძღომლად დედა-გატები და გამოაცხადეს, რომ აღარა შემთსეკვაში არ დაემოჩნილებიან მამა-გატებს. ვინც სიკვდილს გადაჩნიენ, ყურ-მოტ-ჩილ მონად გაიხადეს. ქმრად აღარ ირთავდენ მამა-გატებს, მაგრამ დროსა და დროს განმავლობაში ჰქონდათ მათთან დრო გამოშეკებითი ვაჟიჩი. თუ ქალი გაუჩნდებოდათ, თვითონვე უჩდიდენ, თუ ვაჟი, — მამა-გატებს აძლეუდენ. ისინი ასე ძლიერნი და მეომარნი ყოფილან, რომ დაუშერათ მრავალი ქვეყნები, აუშენებიათ ქალაქები, მიუღიათ მონაწილეობა ტროიანელთ ბრძოლაში და უბრძოლნიათ თვით უდიდეს გმიერთან ჰერკულესთან, როცა ეს მოგზაურობდა; მაგრამ ამ უკანასკნელს ისინი დაუმარცხებია და გაუუქმებია მათი სამეფო¹⁾.

როდის იყო ეს ამბავი, ბეჯითად არავინ იცის; მაგრამ ზოგიერთი ისტორიკოსები მოსწრებთან ჩვენს მხარეში იმისთანა დედა-გატებს, რომელნიც ძლიერად მებრძოლნი ყოფილან. ამის ამტკიცებენ სხვათა შორის ქსენოფონტი და ჰეროდოტი. უკანასკნელი სწერს: საკრომატების (კავკასიის მხრის ხაზისა) ქალები ისეთივე მსკდარნი არიან, როგორც მამა-გატები; გატებთან ერთად ნადირობენ და ქმარს არ ირთვენ, ვიდრე თითოს მტერს სამშობლო ქვეყნისას არ მოჰქლავენ²⁾. ეს ასე ყოფილა 500 წლის წინად ქრისტეს დაბადებისა. მაგრამ ამის

1) იხ. იგივე თხზ. შაშოვისა გვ. 24—25.

2) იხ. იქვე გვ. 42.

შემდეგაც ქალები ასე იქცეოდნენ. მაგალითად 60 წლის წინად ქრ. დაბ. რომის მსხვილმთავარი ჰომპეი რომ ეომებოდა კასეთში ქართველებს, მაშინ ამ უგანასკნელთ ლაშქარში ჯ ბრძოლაში დედა-კაცებიც კრივნიენ.

აი ამ დროებში დედა-კაცს ჭქონდა საქართველოში მინიჭებული სრული თავისუფლება, დადიოდა უშირბადოდ, შედიოდა ტაძრებში სალოცავად კაცებთან ერთად, გამოდიოდა ხალხში დღესასწაულს დღეს სასეირნოდ და საღსინოდ; უცხო კაცებს შეეძლოთ მათს ოთახში შესვლა, მამასახლისები მიიღებდნენ ხოლმე უცხო სტუმრებს მათის თანა-დასწრებით; წარჩინებულთა ცოლნი მოგზაურობდნენ უშიშრად; მათნი ასულნი მუსაიფობდნენ სტუმრებთან, როგორც მაგალითად მედია ელასპრაკებოდა იანონსა და ჭკრკუელეს.

ყოველ ამ მოსაზრების ძალით ჩვენს ვიფიქრობთ, რომ ბერძნებმა შეადგინეს ანრი გოლსიდის ქალის მედიას ჭკუასზე, გამჭრიახობასზე, ძლიერებაზე, სწავლა-განათლებასზე და ხალხის პოლიტიკურ საქმეებში მონაწილეობის მიღებაზე იმისთვის, რომ კავკასიის დედა-კაცს ჭქონდა ისეთივე ხმა საერთო საქმეებში, როგორც მამა-კაცს. უცხო ჭკვიენებში ყოველგან, სადა კი სახელმწიფო და მოქალაქობრივი ცხოვრება შეგრულა კანონით და დამყარებულა სახელმწიფო წესდება, ქალის უფლება, თამამობა, ამყობა, გაკლენა და ღირსება შემცირებულა და დამდაბლებულა კაცებისაგან ¹⁾; საქართველოში კი რაკი ერთსულ ქალს მიუღია საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობა ჯ მნიშვნელობა, რაკი ერთსულ მას ჭქონია ხმა სამოქალაქო ჯ პოლი-

¹⁾ იხ. Ист. судьбы женщ. соч. Шашкова стр. 56, 68, 69, 86, 99, 100 და სხვ.

ტიკურს საქმეებში, მერმე მამა-კაცებს აღარ წაურთმევიათ იმის-
თვის ეს უფლება, ზე კაცებსა ზე დედა-კაცებს ორივეს ერთად გაუ-
წევიათ ჭაზანი სამშობლო ქვეყნის დაცვასა ზე აღუვაკებაში, რის
გამოც ცოლ-ქმარს დარქმევია ქართულს ენაზე «მეუღლე.»

ეს თუ მართლა ასე არ იყო, მაშ რათა ჰქონდა ჩვენს
ისტორიაში ქალს ისეთი დიდი მნიშვნელობა? «ქართლის ცხოვ-
რება» ამბობს, რომ ქართველ ხალხის ცხოვრების სამიწვე-
ლი ჩასდგა კავკასიაში მამათ-მთავარმა ქართლოსმაო. ეს იყო
პირველი მწყემსი ქართველ ხალხისა; ეს იცავდა საქართველოს
გარეშე მტერთაგან; მაგრამ მოკვდა თუ არა იგი, მაშინვე მის-
მა ცოლმა მოჰკვიდა ხელი ქვეყნის გამგეობასა და მმართველ-
ბასაო — ამან, როგორც მთავარმა, ქმრის სიკვდილს შემდეგ
განუწეა ქართველ ხალხის ცხოვრებას სამოქალაქო წყობილე-
ბა. მის განკარგულებას არ ეწინააღმდეგებიათ არც იმისი ხუ-
თი შვილი, არც ერთი. მას ენდობიან ყველანი, როგორც დე-
დას, როგორც ქართველთ ოჯახობის ბურჯსა და სამოქალა-
ქო ცხოვრების სვეტს. ის არის სიცოცხლის ჩამდგმელი ქარ-
თველის ხალხისათვის და ფარგალი და ჩარხი ოჯახურის ცხოვ-
რებისა. იმის სიტყვას ფასსა სდებს ხალხი, ისმენს და ემორ-
ჩილება მის განკარგულებას. ის უფროს თავის შვილებს მამის
სამკვიდრებელს. შვილნი ემორჩილებიან დედას და ყველანი თავ-
თავიანთ მიწა-წყალს უპატრონდებიან. დედას უჭირავს ხელში
ხალხის სამოქალაქო ცხოვრების მმართველობა, შვილებს აზა-
რიათ ჯარის საქმე და ქვეყნის დაცვა მტრისაგან ფარ-სმდითა.
ძმები ემორჩილებიან უფროსს მმას მცხეთოსს, და ყველანი ერ-
თად დედას. დედა იყო ამშენებელი ქალაქებისა და ციხეებისა.
«აღაშენა დედა-ციხე და მანვე აღაშენა ბოსტან ქალაქი, რომ-
ელსა აწ ჰქვიათ რუსთავი»; «განყენა დედამან შვილნი შემდგო-

მ:დ ქართლოსის სიკვდილისა და მცხეთას იყო გამგებელ მათ
 ოთხთავე ძმათა ზედა», ამბობს ქართლის ცხოვრება¹⁾).

შეიძლება გვეთქვინა, რომ ის მიწა-წყალი, საცა აღა-
 შენეს «დედა-ცისე და ბოსტან-ქალაქი», დედის სამიფლობელო
 იყო და ამისათვის ნება ჰქონდა თავის წილში ისე ემოქმედნა,
 როგორც თვითონ ენებებოდა. მაგრამ მატყანე ამბობს, რომ
 „დედა-ცისე“ კახოსის სვედრი იყო. გარდა ამისა ციხის აშე-
 ნებას თვალ-ყურს ადევნებდენ შვილები, და არა დედა. თუ დე-
 დას ეკუთვნის, შვილს რა ხელი აქვს, თუ შვილს—დედა რად
 ეკუთვას საქმეში? თუ დედა-ცისე და რუსთავი კახოსის სვედრია
 და ვისაც ეკუთვნის, იგივე თვალ-ყურს ადევნებს მათს აშენე-
 ბას, მას რად-და არის ნათქვამი რომ ქართლოსის ცოლმა
 აღაშენა? იქნება იმიტომ, რომ რადგან დედა-აზრი (ინიცია-
 ტივა) ქალაქებისა და ციხეების აშენებისა დედას ეკუთვნის, ამი-
 სათვის არის ნათქვამი, რომ ქართლოსის ცოლმა აღაშენა?
 ეს რომ კიდევაც ასე არ იყოს, მაინც უნდა მივიღოთ, რომ
 ამ ზღაპრულ ისტორიულ გადმონაცემში ქართლოსის ცოლი
 არის მიმსგავსებული იმ ღმერთებისა, რომელნიც ბერძნებისა,
 რომაელებისა, კელტებისა და გერმანელების წარმოდგენით ქალა-
 ქებს აშენებენ და ართვენ კაცობრიობის სიცოცხლის ძაფს,
 ესე იგი გამონასკვენ ურის სამოქალაქო ცხოვრებასა. იგი არის
 „ქალი მრთველი“—ქართველი (ქალი შემოკლებულად ითქმის
 „ქა“); იგი არის მზგავსი ღათინების მიწა-წყლის ღმერთისა.
 როგორც დედათა ღმერთა ჭეია, როგორც ბერძნების ღმერთე-
 ბი; ნიმიფა და ჰარკა—ასე ეს დედა-კაცი, ქართლოსის ცოლი,
 ართავს ქართველთ ცხოვრების ძაფს, ესე იგი გამონასკვავს

¹⁾ იხ. გვერ. 19 და 20.

ქართველთა სამოქალაქო ცხოვრების განონებს. დიად! იგი არის ღმერთა ქართველ ხალხის მოქალაქობრივ ცხოვრებისა.

ამ გადმონაცემში რომ ასეთი აზრია გამოხატული ქართლისის ცოლის შესახებ, ამასი ეჭვი არ უნდა იყოს; და თუ ამ აზრს ვინმე საეჭვოდ მიიღებს, იმაზე მანც უნებლიეთ უნდა დათანხმდეს, რომ «ქართ. ცხოვრების, გადმონაცემში» არის გამოხატული ჰატივის-ცემა დედა-კაცისადმი და აღიარებულია მისი მოქმედება ისტორიულს ასპარეზზე.

ამ გვარის გადმონაცემის აჩვენებაც კი საკმ.აა იმის სათქმელად, რომ ჩვენში დედა-კაცი არ იყო დასაზრული მამაკაცთაგან და მას შეეძლო ეზრუნა და სმა ამოეღო საზოგადო კეთილ-დღეობის შესახებ. დღესაც ამბობს გლეხ-კაცი: «ოჯასი მამინ იღუპება, როცა ქმარს ცოლი უგებდაო.» აქედან ცხადია, რომ ოჯასურის ცხოვრების დამადგენელად იმას დედა-კაცი მიაჩნდა უწინდელ დროში. არც გასაკვირველია: თავ-და-პირველად, როცა კაცთა საზოგადოებრივის ცხოვრების წესდება ინსექტობდა, მამინ ამბობენ ისტორიკოსნი, მოქალაქობრივი წესდება დედა-კაცს შემოჭკონდაო, და ერის ცხოვრების გამგებელადაც დედა-კაცი იყო და არა მამაკაციო; ოჯასის ჰატრონი იყო დედა, და არა მამაკაცი, რის გამო დედის სახელი შეიღებს გვარად ერქმეოდათო. ამას ამბობს თავის თხზულებაში «Историческія судьбы женщины» რუსის მწერალი შაშკოვი. იგივე მოგვითხრობს აგრეთვე, რომ ძველს დროში თვით მკვინიც დედის მზრუნველობის ქვეშ იყვნენო: დაუეითსავად შეიღს არავითარის განკარგულების მოხდენა არ შეეძლოა, რადგან კაცთა საზოგადო ცხოვრება დედათა უფლებაზედ იყო დამყარებულიო; და თუ სხვაგან ასე იყო, რატომ საქართველოშიაც ასე არ უნდა ყოფილიყო? მით უფრო წარმოსადგენია ეს

ჩვენში, რომ კაკასიაში იყო ერთ დროს სამეფო ამაზონებისა.
ქსენოფონტის აზრითაც იმ თემებს, რომელნიც სწავლულთა-
გან ქართველთ მოდგმის ხალხებად იცნობებინ, იმ უამად დე-
და-გატი პატივში ჰქუდათ ¹⁾.

მლ. დიმ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

¹⁾ იხ. თხზულება Анабасисъ.

ხუთი, ჯერედ არ დაბეჭდილი ლექსი ნ. ბარათაშვილისა¹⁾

ძია ზ...რს²⁾.

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა ტესღმან; ³⁾
სატრეონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა დავისშო ეტღმან!

მაგრამ გაჩნს კიდევც გულში მის აჩე;
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,—
თუმც უცხო, უცხო თემად იაჩე
მრავალი კარგი ნახე ამბავი.

1) ეს ძვირფასი ლექსები ნ. ბარათაშვილისა მოგვივიდა ჩვენ ბ. იონა მეუნარგიასაგან, რომელსაც სამეგრელოს დედოფლის უგანათლებ. კნ. ეკატერინეს ქალაქებში უპოვნია. ხუთივე ლექსი ნ. ბარათაშვილის ხელით არის თურმე დაწერილი და მათს სინამდვილეს დედოფალიც ამტკიცებს. თითონ ლექსის კიდლოზედ ეტყობა, რომ სწორედ ნ. ბარათაშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდენ, თუმცა ორს გარდა «ლამე ყაბახ-ზედ» და «ნა... ფორტოპიანოზედ მომღერალი» დასრულება აკლია.
რედ.

2) თ. გრიგოლ ორბელიანს.

3) Намекъ не ссылка. ავის ენის გესლი უნდა იყოს—дonoсь.
ი. მეუნარგია.

მაგრამ რას ხედავ აწ კრული ჩრდილას?
 აქა ის ღამე, ოდეს სატრფონი
 აღამაყებდენ შენს ყაბახს ამოს,
 შენის სიყრმისა თან-წრდილნი ჭსწოლნი.

.
 1)

ნ. ბარათაშვილი.

ღამე ყაბახზედ.

მიუვარს ყაბახის არე-მარე, თვალად საამო,
 მისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო;
 მაგრამ უმეტეს მიუვარს ღამე, რის მთვარე შუქით
 მოჭყენს ყაბახსა, და კოჯორი დაჭქრის ნიაკით,
 და მომდინარე სან ზვირთთ ტემით, სან ნელად მტკვარნი
 მოლსრავს შორით, ვით მიჯუნური, ყაბათ მოჩივარნი: —

ამ გვარნი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე
 ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.
 აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა-იქ ქაღნი
 შირად შირადად სეირნობდენ, კეკლუც მოსილნი,
 და მათ გარემო შეჭფრფინვიდენ ყრმაწვილნი კაცნი

1) ეს წერტილები დედანში არ არის. მე დავსვი, იმისთვის რომ
 როგორც აზრით ეტეობა, ისე რვეულიდანაც სჩანს, რომ ლექსი არ
 არის გათავებული. მეუნარგია.

ზოგნი დაბძინდნი, ზოგნი ტრფილ და ზოგნი ანცნი;
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა;
რომ ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას გი აწა.

„ქსთქვი რამ, ეტყვიან ყაფლანს ზოგნი ერთი ქალები,
თუნდ «თავსა უფლად»; ახლა უჩანსკვას ნუ გი მოჭყვები.“
ყაფლანც სუღდგმული აშიკობით დაიდიდინებს
გულის-საკლავად და თანდათან ეელს მოდიერებს.
ვის არ სძენია ლექსი ესე რომ მუის სეველები
აწა აშლოდეს ჩვენსა ქალსა—ტრფობის ჭირები!

უეტრად მათში დავინახე თუთრკაბიანი
და—მეუვესეულად მან მიმიღო ჩემნი ცნობანი.
არ ვიცი ამ დროს, რად აღვიგზენ უფროს ცეტსლისა?
სად არს სილაღე, სად არს ძალი გრილის გულისა!
უნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი
მას აქეთ თვალი კერლა მოჭკვარ, და ახლა ერთი
სდგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა,
ყელი ელეულობს, აღმგზნებული გულთა ჭირისა!

თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომტინა;
ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვდეგი წინა
და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე რომ მეღვრისა კვალად
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენნი აწ მხიარულად...“
«გმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გასსოვართ კიდევ:
ახლა მოდაა ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ.—»
«დაწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ კერც მოდები
კერ მაშიშლიან თქვენსა ხსოვნას და კერც დროები.—»

ამა სიტყვასე კარდი ღაწვზედ მუის აეფურცლას,
 ამ დროს ნიაკმანტ თეთრი კაბა მიმოუქროლას
 და ბუდეშუერი მის ფეფები ღამასად მოჩნდა,
 რომელთ სიამით ცნობა ჩემი წაიღეს თვისდა ;
 ამ დროს მთავარემც შუქი თვისი მისტენა ბროლსა,
 რომელმან შეება სიღამაზით ჭიუნა ჩემს გულსა;
 მაგრამ სხვა მუნით მიიკობდა სატრფოსა ქალსა,
 რომელი მუისვე მიეთარა, ნათელი—თვალსა!—

ნ. ბარათაშვილი.

ნა..., ფორტოკიანოზელ მომღერალი.

კმა საკრავისა
 ნელ ნარნარისა
 სულს განახარებს
 და მშვენიერის
 ენა ამიშლის
 გულისა ჭირებს!

კჭერკტი ღამაზსა,
 სევდით ნაზსა,
 და შევეტრფოდი,
 ყოველთ გრძნობათა,
 ყოველთ გონებათა,
 მას მივაპყრობდი.

დაწვნი ნატრემლნი,
 ტრფიალთ დამწველნი
 უფროს შვენოდენ,
 თმანი ნაშალნი
 მკერდზედ დაურილნი
 ემუქმებოდენ.

უუუუნა თვალნი
 გულთა მომკვლელნი
 მოცინარობენ,
 ჰაწაწა ტუნნი
 ვარდებრ ნაფურცლნი
 ლსენას მოჭებურკენ!

ნ. ბარათაშვილი.

P. S. ეს სამი ლექსი არის დაწერილი ბარათაშვილის ხელით მის ლექსთა კრებაში, ერთს პატარა რკეულში, ფერად ქაღალდზე. რკეული არის გადაწერილი 1841 წ. ი. მეუნ.

* *

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნათა,
 დიდილით გეკხარ მანისის დღესა
 მე შენს თვალეში ვჭსჭვრეტ სამოთხესა
 და მათი მჭვრეტი ვიწვი ცეცხლითა!
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფოა ხარ,
 არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ თუ ვით სატრფოა ხარ!

*

როს უბედურ მეოფეს მე მოშორება
 გონება მტაცის მშვენიერების
 კჭსთვლი მოწყინებით უაძთ მჭმუნვარების
 და სეკდა გლას გულს დამეიარება!
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

*

ხან ძილსა იკითობს, ხან სეკდით ოხრავს,
 ხანცა უოველს სულს ამხიარულებს,
 ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,
 ხან ჭყვება სოიველს, ხან ცად მიფრინავს!
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

ნ. ბარათაშვილი.

ცისა ფერს, ღურჯსა ფერს,
 ზირველად ქმნილსა ფერს
 და არ ამ ქვენიერს
 სიყრმიდგან კეტრფოდი.

*

და ახლაც, როს სისხლი
 მაქვს გაცობულ,
 ვფიტავ—არ კეტრფო
 არ ოდეს ფერსა სხვას.

*

თვალეში მშვენიერს
 კეტრფი მე ცისა ფერს;

მოსრული იგი ცით
გამოჭერთის სიამით.

*

ფიქრი მე სანატრი
მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეშით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს.

*

მოკვკვდები—ვერ ვნახნუ
ცრემლსა მე შშობლიურს,—
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!

*

სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცვას—
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას!

ნ. ბარათაშვილი.

P. S. ეს ორი ლექსი ბარათაშვილის ხელით არის და-
წერილი 1/4 ფურცელ ქალაქდზე. მისგან ხელ-მოწერილი არ
არის. სინამდვილეს, ხელს გარდა, თითონ დედოფალიც ამ
ტვიტებს. ი. მეუნ.

შუკროვსკილამ.

ჟი სოფელა! რად ხარ ესრედ მდიდარ რცხებით?
შენსა მომდევსა ეჩვენები ტურფად-ცოუნებით;
შენში კეთილსა საცხოვრებლად აქუს წამი რდენ,
ჭმუნვა არს უფროთ — სიამენი მალიად ფრინვენ.

ზრ. მრბელიანი. *)

1832 წ. ნოვგოროდი.

*) ეს ლექსიც ბ. იონა მეუნარგიას დედოფლის ქალაქდებში
უბოვნია და ვერ არსად დაბეჭდილა.

სიხე უიზნილამ ბატუხილი.

(შემდეგი *).

თავა შეშვიდე.

კავალერი ჯონ-ჰანრი მანდევილი.

— მოკიდა ინგლისელი? ჭკითხა როზასმა თავის ადიუტანტს
შემოსვლის უძალვე.

— აქ გახლავს, თქვენო დიდებულებავ.

— როცა იმასთან მიხვედი, რას აკეთებდა?

— დაძინებას აპირებდა.

— ეზოს კარები ღია ჭქონდა?

— ანა, ბატონო.

— რომ უთხარ კინცა ხარ, ხომ გაგიღეს კარები?

— იმავ წამს.

— ჭოო, მას შინებია ჩემი?

— კგონებ.

— კგონებ!... მას რა ეშმაკებისთვის გინდა თვალები, თუ
მგეტ ვერ შეამჩნიე! — ხომ არ გკითხა-რა?

— არაფერი. როდესაც თქვენი ნება გამოგუცხადე, მაშინვე
უბძანა ცხენები შეეკმასნათ.

*) «ივერია» № 3, 1882 წ.

— მოასხენე, შეძრვიდეს.

ინგლისის რეზიდენტი მანდვეილი იმ გვარ ოფიციალურ პირთა დასს ეკუთვნოდა, რომელნიც ივიწყებენ თავიანთ პოლიტიკურს მნიშვნელობას და კაცურს ღირსებას. ისინი შეიწყნარებიან მხოლოდ იმისთანა სალსში, რომლის მოთაგეთაც რომასისთანა მმართველია და რადგანაც ამისთანა მართებლობა სხვაგან შეუძლებელია, ამისათვის მანდვეილისთანა რეზიდენტები მხოლოდ ბუენოს-აირესში მოინახება.

კავალერმა ჯონ-ჰანრი მანდვეილმა შესწრულა ის საქმე, რაზედაც რომასსამ იმის მოადგილეს ჰამილტონს უარი უთხრა, — ე. ი. შეჰკრეს პირობა მონობის გაყიდვის შესასება; აი აქედამ დაიწყო პატრიის-ტემა მანდვეილისა რომასისადმი. რასაკვირველია, კავალერმა მანდვეილმა არ იცოდა, რომ რომასი იმისთვის დათანხმდა მონების გაყიდვის მოსზობასვედ, რომ იმით ინგლისის მეგობრობა მოეზოვებინა. ასე იყო, თუ ისე, მანდვეილი ისე უფურებდა ამ პირობას, როგორც თავის დიდების მისეზს, გამოგლეჯილს რომასის სელიდამ.

მაგრამ რომასისთანა კაცებს რაგვის მეგობრობა არ უნდათ. იმათთვის კაცობრობა ორად იყოფა — მტრებად და მონებად.

მანდვეილი არ იყო ღირსეული წარმომადგენელი ძლევა-მოსილის ინგლისისა. ის იყო უფრ-მოჭრილი მონა რომასისა, და გარეთ თუ შინ საქვეენოდ ჰევიროდა რომასის ღირსებებსვედ.

მანდვეილი სამოცის წლის კაცი იყო, შავად ჩაცმული და თვალებში დაღალულობა ეტყობოდა, რადგან მეგობრები ჰყოლოდა დაპატიებული და ცოტა სასმელიც მეტი მოსკლოდა.

— გთხოვთ მოხმანდეთ, ბატონო მანდკვილ, უთხრე რო-
ფასმა, მაგრამ წინ ჯი არ მიეგება.

— გასლავართ თქვენი მონა და მოსამსახურე, უზახუხა მან-
დკვილმა და წავიდა როზასისკენ სელის ჩამოსართმევად.

— შეგაწუსეთ, ბატონო, უთხრა როზასმა ტკბილის, მლიქ-
ვნელის ენით და სთხოვა დამჯდარიყო.

— რას მიბძანებთ, მე დიდად მიხარიათ ხოლმე, როდესაც
თქვენის დიდებულების ნახვა მეღირსება. მანუელიტა სომ კარ-
გად გასლავთ?

— მადლობა ღმერთს.

— მე კი შეემშინდა, სომ უქეიფოდ არა ბძანდება მეტეი...

— რათა, ბატონო მანდკვილ?

— იმათ რომ სადილობის დროს ყოველთვის თქვენს დი-
დებულებასთან არის ხოლმე.

— ეგ მართალია.

— ესლა მოკლებული ვარ იმასთან სიამოვნებას...

— დიდა ხანი არ არის, რაც თავის ოთასში გავიდა.

— რა ვწუხვარ, რომ ცოტა ადრე არ მოკვდი.

— ისიც ინანებს.

— იმაზე მოსიყვარულე გულის ქალი არააგან შეგულება.

— ყოველს ღონისძიებასა ხმარობს, რომ მოსიყვარულე
გული იქონიოს.

— და აქვს კიდეც.

— გმადლობთ იმის მაგიერად. თქვენ სომ მადლობელი ბძან-
დებით ამაღამდელის დროს გატარებისა.

— დიად, გენერალო.

— რატომ არ იქნებით, ღვინი კარგი გქონდათ და კახშამი.

— თქვენი მართლსა ბძანებთ, მაგრამ ცოტა კი სცდებით.

— როგორ თუ ვცდები?

— მე ჩემს სახლში, მარტალა, მხიარულად ვიყავ, მაგრამ მამინ უფრო მხიარულადა ვარ, როდესაც თქვენს სახლში ვიძეოფები.

— დიდად ძაველებთ ძაგ სიტყვებით, ბატონო მანდეილე, უთხრა როზასმა ისეთის ცბიერის ღიმილით, რომ მანდეილ-სედ ნაკლებ გამოცდილი კაცი ვერც კი შენიშნავდა — თუ თქვენი ნებაც იქნება, განაგრძო როზასმა, — დავანებოთ თავი კომპლიმენტებს და საქმეს შეგუდგეთ.

— მე მზადა ვარ და მოხარულიც ვემსახურო თქვენს დიდებულებას, მიუგო დიპლომატმა.

— როდისა გსურთ გაგზავნოთ თქვენი ქალაქები? ჭკითხა როზასმა.

— ოფიციალურ ქალაქების გაგზავნის ვადა სკალ არის, და თუ გნებავთ, შეიძლება მოვიცადოთ.

— სწორედ მეც ეგ მინდა.

— მაშ განკარგულებას მოვახდენ, რომ არ გაგზავნონ, ვიდრე თქვენც არ დამზადდებთ.

— ჩემი ქალაქები გუშინვე იყვნენ მზადა.

— ნება მომეცით ერთი რამ გკითხოთ?

— რა გკითხეთ.

— შეიძლება ვიცოდეთ, რისთვის არ უნდა გაიგზავნონ ქალაქები. იქნება სხვა ასაღს ცნობებს მოელოთ.

— თუ არ ეგა, სხვა მიზეზი არა იქნება-რა, ბატონო მანდეილე?

— ან იქნება თქვენის ვეჭილის გაგზავნა გსურთ?

— სულაც არა.

— მაშ არ მესმის რასთვის.

— ჩემი ქალაქდები მზად არის, მაგრამ თქვენი კი არა, ბატონო.

— ჩემი ქალაქდები?

— დიაღ.

— მე ავი მოგზასუნეთ, რომ ჩემი ქალაქდები მზად არის... მხოლოდ კერძო პირებთან წერილების დაწერვლა მინდა შეტქი.

— საქმე კერძო პირებთან წერილებს არ შეეხება.

— თუ განმიმარტავთ, გენერალო...

— მე ვგონებ, რომ ჯერ ნამდვილი საბუთები უნდა შექ-
კრიბოთ ჩვენის საქმეების შესახებ და მერე შეატყობინოთ თქვენს
მთავრობას, — ესე არ არის?

— სწორედ ეგრე განლაგს.

— მაგრამ თქვენ ამას ვერ აასრულებთ, იმიტომ რომ ნამ-
დვილი საბუთები არ იცით.

— მე ვსწერ ჩემს მთავრობას მხოლოდ საზოგადო ცხოვ-
რების მიმდინარეობის შესახებ, და არა იმას, რაც შინაურს
პოლიტიკას შეეხება. უგანასკნელი მე სრულიად არ ვიცი.

— ეგ მჯერა; მაგრამ ერთი ეს მითხარით, ბატონო მან-
დევილ, რის გამოსადგია თქვენი ცნობა საზოგადო ცხოვრე-
ბის მიმდინარეობის შესახებ?

— რის გამოსადგია? განიშეორა დიპლომატმა, რომ მო-
ეგრიფა გონება და დაუფიქრებელი პასუხი არ მიეცა, ამისთვის
რომ უხლა რომანსი აღარ ხუმრობდა. დიქტატორი ასე ღაპა-
რავობდა ხოლმე, როდესაც მძიმე საქმეებზე დაიწყო და ღა-
პარავს და უნდოდა თავის მოსაუბრის გადაწყვეტა.

— დიაღ, ბატონო, რის გამოსადგია თქვენის მართებლ-
ბისათვის ის ცნობები საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობის
შესახებ, რომელსაც თქვენ ატყობინებთ?

— იმის გამოსადგეია, რომ...

— ანაოერის გამოსადგეიც არ არის, ბატონო რეზიდენტო.

— არა!

— ერთ ფლურადაც არა ღირს! თქვენ ევროპელები ამ ნაიქს პოლიტიკას მოეჭიდებით ხალხე, რომდესაც გინდათ დაგვანახოთ, რომ ვითამც საჭმე გესმით, და იოტის რდენაც კი არა გაგეგებათ არა.

— თქვენს დიდებულებას სურს სოჭვას...

— მე მსურს ვსთქვა, ბატონო რეზიდენტო, რომ თქვენ იმაზე ლაპარაკობთ, რაც არ იცით. სხვაგან არ ვიცი და ჩემს სამშობლოში კი ამას ცხადდა ვხედავ.

— უცხო ქვეყნის რეზიდენტს სომ არ შეუძლიან იცოდეს შინაური პოლიტიკა, რაშიაც ის თვითონ მონაწილეობას არ იღებს.

— ამისთვისაც საჭირთა, რომ უცხო ქვეყნის რეზიდენტი დაუხსლოდეს პოლიტიკის მოთაქეს და ყური უგდოს მის ლაპარაკს, თუ არა სურს რომ თავის მოავრობას შემცდარი ანაოი შეატყობინოს.

— მე ავი უოველთვის აგრე ვიქცეოდი.

— არა, უოველთვის არა.

— ჩემდა სამწუხაროდ...

— იქნება... მითხარით ერთი, იცით ესლა რა მდგომარეობაშია საჭმე და ან რასა სწერთ თქვენს მოავრობას ჩემის მარტველობის შესახებ?

— რასა ვსწერ?

— დიდა, ბატონო, ანუ უკედა ვსთქვით, თქვენს ქალაქებში მატებთ თუ მამაგებთ? თქვენ როგორ გვარნიათ, ვინ ვამარჯვებს: ჩემი მოავრობა თუ ანარხია.

- მაგას რას ბძანებთ, ბატონო?
- ეგ ზასუხი არ არის.
- ვიცი.
- მაშ?
- რა, დიდებულ ბატონო?
- ზასუხი მოძეცი და.
- იმის შესახებ, თუ ეს რა მდგომარეობაშია მართებ-
ლობა თქვენის დიდებულებისა?
- დიაღ, დიაღ.
- მე ვგონებ...
- გულწრფელად ილაპარაკე.
- მე ვგონებ, რომ გამარჯვება თქვენსკენ იქნება.
- თქვენ, რასაკვირველია, დასამტკიცებელი საბუთები გქმ-
ნებათ?
- რასაკვირველია.
- აბა რა?
- ძალა თქვენის დიდებულებისა.
- ეგ საბუთი მცირე საბუთია საქმის დასამტკიცებლად.
- მცირეა?
- დიაღ, ბატონო, ამისთვის რომ თუ მე ძალა და საშუა-
ლება მაქვს, ესევე ძალა და საშუალება ანაჩხისტებსაც არ ავ-
ლიათ— ესე არ არის?
- მაგას რას ბძანებთ, ბატონო.
- მაგალითებზე, იგი ლაკალე რა მდგომარეობაშია?
- რასაკვირველია: შემდეგ დამარცხებისა თქვისა, ალაგიდამ
ველან იძვრის.
- ჩემი გენერალი ეხლუეც ვერაფერს აკეთებს, რაკი ცხე-
ნები არა ჰყავს.

— თქვენი დიდებულება მაგას წამალს დასდებს. ცხენებს, ჩამდენიც საჭიროა, უშოვნით.

— იცით რა მდგომარეობაშია კორიენტესი?

— იმედი უნდა გვქონდეს, რომ შემდეგ ლავალეს დამარცხებისა კორიენტეს მასწავლებელს თქვენს დიდებულებას შემოუერთდება.

— და ვიდრე ეგ მოხდება, მთელი კორიენტესი ჩემს წინააღმდეგ იმოქმედებს.

— მარტალაია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მაგრამ ისა, რომ ფედერაციის მომხრეები უფრო ბევრნი არიან, ვიდრე მოწინააღმდეგენი.

— ტყუილად გიფიქრიათ.

— როგორ, ბატონო?

— ისე რომ მოწინააღმდეგენი საკმაოდ მუყანან.

— მაგრამ ძალა გი არა აქვსთ.

— აი, ავი გითხარ, რომ შენს მართებულობას შემცდარს აზრს აგონებ.

— თქვენ ეგრე ფიქრობთ?

— მე რასაც ვფიქრობ, სწორედ ვფიქრობ, ბატონო რეზიდენტო. ჩემს წინააღმდეგ აჯანყებული ქალაქები უმთავრესი ქალაქებია და შეძლებაც საკმაოდ აქვთ.

— ეგ ვარკი არ არის.

— რაც ვარკი არ არის, — არ არის უმთავრეს ქალაქებს გარდა ერთხელ კლიერი მტყრი კიდევაც მუყავს... როგორ ფიქრობ ვინ უნდა იყოს, რეზიდენტო?

— ვინა?

— დიალ, ბატონო, მე შენ ამას გვითხავდი, მაგრამ უმ-

ჯობესია თვითონ მე გითხრა; ამისთვის რომ გუშინაზ ჩემი მტრები დაასახელო. რიკერიც ჩემი მტერია.

— არა!...

— რომორ არა. ის არც ისე სახუმარია, რომორც თქვით, ამიტომ რომ საკმაოდ ჯადო ქუყავს და მდინარე ურანგის ნაპირზედა სდგას.

— რომელზედაც ვერ გადავა.

— იქნება, მაგრამ უფრო დასაჯერებელია, რომ გადავა. ახა უფურე, უკვლავ მხრიდამ მტრები მასვეყიან, ძლიერი მტრები, რომელთაც საფრანგეთიც ქომავებს.

— მართლაცა და ცუდს მდგომარეობაში ხართ! უთხრა მანდევლიძე და ვერ გი მიმხვდარიყო, თუ როგორი რად ეუბნებოდა ყოველს ამას.

— დიაღ, ძლიერ ცუდი მდგომარეობაა! უთხრა რომასსმა გულ-ცივად; შენ ხომ გაიგე ყოველივე გარემოება, რომელიც ჩვენ ამისთანა ძნელს მდგომარეობაში გვაყენებს. ესაა მითხარა რა საბუთები გაქვს შენის მთავრობის დასარწმუნებლად, რომ ბოლოს გამარჯვება მე დამჩვენება? და რომ ეს ასე იქნება, ამის ეჭვი ნუ გაქვს.

— სხვა რა იქნება მიზეზი გამარჯვებისა, თუ არ თქვენი ძლიერება!

— ჭა! ჭა! ჭა! უეტრად გადინახარა რომასსმა, რომელიც ცხადად ჭხედავდა თავის მოსაუბრის ტყუა-მოკლეობას:

— არ ვიცი, გენერალო, უთხრა მანდევლიძე, არ ვიცი რა ვსთქვი აგრე სასაცილო.

— უკვლავიერი, უკვლავიერი, ბატონო კეროპიელო დიპლომატო, მიუგო რომასსმა.

— მაინც...

— გამოგონე, ბატონო მანდვილი, რაც ესაა სთქვით, შეიძლება გაუნათლებელის სალხისთვის გეთქვას, მაგრამ პატივს სტონთან მაგის მიწერა არ შეიძლება, რადგანაც უნიტარობა იმას განათლებულს მინისტრს ეძახიან.

— არ ინებებს თქვენი დიდებულება განმომარტოს...

— ბატონი ბძანდებით, ბატონი ბძანდებით, მე სომ დაგანსკე საშიში მდგომარეობა ჩემის მთავრობისა, — არა? —

— დიად, ბატონო.

— იცი ეს რათა ვქენი? მქნ ვერ მიხვდი თუ ასე გულ-ახდილად რად გელაპარაკებოდნ, უური დამიგდეთ, მე თქვენ გეტყვით რათაც. მე ვიცი რომ ამის შედეგ თქვენ უფრო დაწერილებით მისწერთ თქვენს მთავრობას საქმის გარემოებსა, მეც ეს მინდა.

— თქვენც ეს გინდათ! ჭკითსა მანდვილიმა გაკვირვებით.

— დიად, მეც ეგ მინდა, ამისთვის რომ ის სჯობიან ინგლისის მთავრობამ ყოველივე ეს ჩემანვე გაიგოს დაწერილებით და არა სხვისაგან, ჩემის მტრებისაგან. რას მოვიტყობდით, რომ ჩემი მდგომარეობა ინგლისის მართებლობისთვის დაემალა, მაშინ როდესაც ამას სხვებისაგანაც გაიგებს? ამის დამალვა ჩემის მხრით სიმსდალე იქნება, და მე კი ჩემის მტრებისა სრულიადაც არ მეშინიან.

— აი მაგიტომ ვსთქვი, რომ თქვენ თქვენის ძალით...

— და სად არის ეგ ძალა, ბატონო მანდვილი.

— თუ არ ძალით... თუ თქვენს დიდებულებას ძალა არა აქვს...

— ძლიერი ვარ, ბატონო რეზიდენტი, განწყვეტინა რომისა ლაპარაკი და მით დაუგარკა მანდვილს ყოველივე იმედი დღევანდელის საუბრის გაკებისა.

— მასასადაძე... სთქვა შო-უფიქრებლად დიზლამატმა, მე
 ალარ ვიცი, რა ვსთქვა.

— მასასადაძე! მასასადაძე!! სრულიად სხვაა გქონდეს ძალა
 და სრულიად სხვაა გამოიყენო ეს ძალა საშიშარის მდგომარეობი-
 დამ გამოსასვლელად. ან იქნება გგონიათ, რომ ღორდ
 მალმეწისტანმა შეერთება და გამოაჩინება არ იცის? განათლე-
 ბული მინისტრი რაჟი გაიგებს ჩემის შტრუბის რიცხვს, რა-
 მელთაფ საფრანგეთი იფარავს, განა ის კიდევ დაწმუნდება რომ
 გაიმარჯვებს, თუ გინდ შენც დაწმუნო? გამოგონე, ბატონო
 მანდევოლ, მე თავის დღეშია რა მქონია ანგლისის იმედი და
 ვხლავ უფრო სრულებით ალარ მაქეს, რაჟი ის თქვენგან ღებუ-
 ლობს ქალაქებს, სადაც ძლიერად ვისსენები.

— მას გუნერადო, უთხრა მანდევოლმა, — თუ არ ჯარით,
 ან სხვა ღონით, რითი გაქვთ უნიტარების დამარცხების იმედი?

— უნიტარებს უნიტარებითვე დავამარცხებ, უთხრა როზასმა
 მან და დასტურდა თავის მოსაზრებს, რომ შეეცოდა თუ რა გავ-
 ლენას მოახდენდა ეს აზრი მასზედ.

— ჰოო! სთქვა როზასმა და გაკვირვებულმა დასტურდა თავ-
 ლები.

— უნიტარებს უნიტარებითვე დავამარცხებ, განიმოხრა რო-
 ზასმა, — ეს არის ჩემი ჯარიც და ჩემი თავი-და-თავი ძალაც,
 რომლითაც მოვიგებ ჩემს შტრუბს.

— ჭეშმარიტად, თქვენო დიდებულებავ, თქვენ ისეთი აზრი
 სთქვით, რომელსაც მე თავის დღეშია ვერ მოვიფიქრებდი.

— ვიცი, უთხრა როზასმა, რომელიც შემსახვევას ეძებდა
 მათრახი გადევრა თავის მოსაზრებისთვის.

— უნიტარებს, განაგრძო იმან, დღევანდლამდის არცა ჭქო-
 ნიათ და არც ექნებათ ის, რისგანაც შეიძლება ძლიერი და

საშინაობის შეიქმნენ, თუმცა კი ბევრნი არიან და სხვანიც კი მარებიან. ბევრი ჭკვიანი გაცი ჭყავთ და მათ საუკეთესო სამი, ხედრო ძალაც შეუერთდა, მაგრამ ეს უბედურება სჭირთ, რომ იმათ საქმეს ერთი გაცი არ განაგებს: ყველანი სარდლები არიან და ერთმანეთს არ ემორჩილებიან. ყველანი ერთს საგანს ელტვიან, მაგრამ სხვა-და-სხვა გზით კი მიდიან და სურვილი თავის დღეში ვერ შეუსრულებათ. ძერკრი არ ემორჩილებს ლავალეს, რადგან ძერკრი პროვინციის გუბერნატორია, ღ ლავალეც ძერკრს არ ემორჩილება, ამისთვის რომ ლავალე უნიტარების გენერალია, «გენერალი განმათავისუფლებელი», რომ გორც ეძახიან. ლავალესთვის საჭიროა რივერის დახმარება ამისთვის რომ რივერი ჩვენს ომებში გამოცდილია, მაგრამ «განმათავისუფლებელ გენერალს» თავ-მოყვარება ნებას აძლევს ეს გამოაცხადოს, და ჭგონია რომ მარტო თვითონა მოგვეკრევა. რივერსაც უნდა ლავალესთან ერთად იმოქმედოს რადგან ლავალე აჯანყებულთ მოთავეც არის და გაგლენიან გაციც; მაგრამ რივერს ეჯავრება ლავალე, რადგან ის ბუენოს-აირესელია. მოქალაქენი, ანუ «ბიუროკრატები», რომ გორც იმათ ეძახიან, ლავალეს რჩევას აძლევენ. ლავალესაც უნდა მათის რჩევისამებრ მოიქცეს, მაგრამ ოფიცრებს ეჯავრებათ ყველა, ვინც ჯარში არ არის. ასეთნივე არიან სხვა უნიტარებიც, ყველას უფროსობა უნდა, მინისტრობა, გუბერნატორობა, სალდათობა კი არავის. ესე, ინგლისის დედოფლის მინისტრო, ამისთანა მტრების დასამარცხებლად საჭიროა, დრო მისცე მათ, მაშინ ნახამ, რომ თვითონვე მოუღებენ ერთი-ერთმანეთს ბოლოს. აი მე რა აზრისა ვარ.

— ეგ გენიოსურია აზრია! დიდებულა პლანია! სთქვა მინდვილმა აღტაცებით.

— მოითმინეთ, მე ვერ კიდეკ არ დამისრულებია საუბარი, უთხრა როზასმა ცივად. მე ვსთქვი, რომ ამისთანა მტრები სიმრავლით ვერ შემაშინებენ. უნიტარები ყველა ცალ-ცალკე მოქმედობს და ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგ. ჩვენში კი ერთს კაცს ემორჩილებიან ყველანი, ერთი კაცი ბძანებლობს და ყველა თავის ქვეშევრდომი მიჭყავს ერთს გზაზედ ერთის საქმის შესასრულებლად. ესლა ხომ გესმის როგორია ჩემი და ჩემის მტრების მდგომარეობა?

— მესმის, მესმის ბატონო! უთხრა დიპლომატმა და მიუიხიშნებოდა თავის თეთრი ხელები. მე გამოვცვლი ჩემს ქალაქებს და ყოველ ღონისძიებას ვიხმარებ, რომ ღორდ შალმერსტონმაც ესე შესედოს ამ საქმეს, როგორც თქვენ უყურებთ თქვენის გენიოსურის ჭკუით.

— რაც გინდათ მისწერეთ; მხოლოდ მე მინდა სიმართლე მისწეროთ, უთხრა როზასმა.

— ინგლისის მართებლობისთვის ისეთივე საჭიროა ამ ჭკმძრიტების გაგება, როგორც თქვენთვის რომ შეკატყობინო.

— ჩემთვის?

— მაშ არ გინდათ ინგლისის ძლიერი დახმარება?

— მაგითი რა გინდათ სთქვამთ?

— მაგალითებზე, ინგლისმა რომ ძალა დაატანოს საფრანგეთს და-პლატიდამ წავიდეს, განა ამით ნახევრად მაინც არ შესრულდება თქვენი საქმე?

— ინგლისის დაქომაგება შენ დიდი ხანია აღმითქვი.

— მართალია, ბატონო.

— მას აქვთ ბევრმა დრომ გაიარა და კი არსადა სჩანს.

— მართალია, მაგრამ ესლა კი უსათუოდ იქნება

— რითი იცით?

— საფრანგეთის მთავრობა ეხლა თვითონაც ცუდს მდგომარეობაშია. ალჟირში რძი გაჩაღებულა. აღმოსავლეთის საქმეში მარტო საფრანგეთი ეწინააღმდეგება რუსის სასულმწიფოს გადაწვევტილებას. თხუთმეტი დიდი გემი და სხვა პატარები დარღანელში ჰყავს გაგზავნილი, და ათე ის თავის მოთხოვნებებს უარს არა ჰყოფს, ან თუ რუსეთი ჯიუტობას არ დაანებებს თავს, მკშან კარგოლი ლიუდოვიკე ფილიპე იძულებული იქნება მთელი თავის გემები დარღანელში და ბოსფორში გაგზავნოს. ამ ნაირს მდგომარეობაში საფრანგეთისათვის საჭიროა ინგლისთან დასლავება, და საფრანგეთის კაბინეთი ისეთის უბრალო საქმისათვის, როგორც ლა-ზლატის საქმეა, არ აწყენებს ლორდ პალმერსტონს, იმისთვის ძლიერ საშიშარს კაცს ამისთანა დროს.

— აწყენებს თუ არ აწყენებს, ეგ ჩემთვის სულ ერთია, ბატონო რეზიდენტო. მე ლა-ზლატის საქმე ისე არ მწყენს, როგორც სხვას.

— ეგეც მართალია. განსაკუთრებით ინგლისის ვაჭრობას შევიწროებული ამ საქმით.

— იცნ ინგლისს რამდენა ფული აქვს დაბანდებული ბუენოს-აირესში საფრანგეთის წყალბით?

— რძი მილიონი გირვანჯა სტერლინგის საქონელი იქნება ინგლისისა დაბანდებული, რამდენიც რაც დრო მიდის, ფუჭდება.

— იცნ, რამდენი იხარჯება თვეში ამ საქონლის შესანად?

— რძი მთავი გირვანჯა სტერლინგი, ბატონო.

— მართალია.

— ყოველს ამას ეხლა ჩემს მთავრობას ვაცნობებ.

— ძლიერ მოხარული ვარ, რომ ყველაფერი გცოდნია. ეს შენი საქმეა. რაც შემეხება მე, ჩემის საქმისა მე ვიცი.

— მე რამდენჯერმე მითქვამს, რომ თქვენის დიდებულებისთვის ყველაფერი შესაძლებელია, უთხრა რეზიდენტმა ტეტილის დიმილით.

— ჩემთვისაც ყველა შესაძლებელი არ არის, უთხრა როზასმა და დაატყვევდა მას. თითქოს იმის გულის საიდუმლოების გაგება უნდაო — არა; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უცხო ქვეყნის რეზიდენტი თავის სახლში იფარავს მართლმსაჯულებისაგან დევნილს უნიტარს. მე მგონია, რომ თუ ეს რეზიდენტი მოვა ჩემთან და ითხოვს დამალულის უნიტარის პატივებს, მე დიდის კმაყოფილებით დავთანხმდებოდი.

— როგორ! განა მაგისტანს რამ მოხდა? რომელს უცხო ქვეყნის რეზიდენტად დაჰპატივებთ, ბატონო.

— განა თქვენ არ იცით, ბატონო მანდვეილ? უთხრა როზასმა.

— პატიოსნებას გუფიციტებით, არა ვიცი — რა.

— კმარა! უთხრა როზასმა, რაკი გაიგო, რომ რეზიდენტმა ის არ იცოდა, რის ცოდნაც დიქტატორს უნდოდა და რომელმაც განსაკუთრებით ამისთვის მოიწვია რეზიდენტი.

მანდვეილი კიდევ აიწია, როდესაც შესედა ამ გამოცანას კაცს, რომლისაგანაც კმაყოფილი და გულ-დამშვიდებული არავინ გამოსულა.

როზასმა ოთახში ბოლოთხ ცემა დაიწყო. ვიდუას ტეტილად ეძინა და ამ დაპატივის ენთი სიტუვაც არ გაუგონია. ამ სიბრძნის დროს კიდევ მოისმა ცხენის ფეხის ხმა.

— მგონია პოლიციის მოხელენა უნდა იყვნენ, სთქვა მანდვეილმა.

როზასმა ზიზლით შესუდა და უთხრა:

— ანა, ბატონო რეზიდენტო, პოლიციისა აჩაკინ არის.

ამ დროს ოთახში გორკვალანი შემოვიდა ქალაღლით სელში.

როზასმა დაიწყო თუ ანა კითხვა, სიბრწით ანთო.

— თქვენ მიდინაწთ, ბატონო მანდევო? უთხრა როზასმა ქალაღლის კითხვის შეწვევების შემდეგ მანდევოს, რომელმაც შლიაპა აიღო ხელში.

— დიაღ, ბატონო!

— როდის გზავნით ქალაღებს?

— ზეგ, დიდებულო ბატონო.

— ამდენი ხანი ტყუილად რად იცდიდით?! რუჟაითად ამჟამს კეთ თქვენი სეგრეტარი და ქალაღები სვალ საღამოზედ გავზავნეთ, ანუ უკეთა ვსთქვათ დღეს საღამოზედ, რადგან ეს დღის ოთხი საათია.

— ქალაღებს ექვს საათზედ გავგზავნი, ბატონო.

— ღამე-მშვიდობისა, ბატონო მანდევო.

ბრიტანიის რეზიდენტმა სამჯერ თუ ოთხჯერ დაუგრა თავი და გავიდა.

— გორკვალან, ჯანკარგულება მოასდინე, რომ რეზიდენტი გააწიღონ.

— მოკვებით რეზიდენტს, თუ ანა? სთქვა ვიღუამ.

როზასმა ვერ გაიგონა ამ იდიოტის სიტყვები, დაჯდა სტოლთან და დაიწყო ქალაღლის კითხვა. ამ დროს თვალები სისხლით ავსო, ხან წითლდებოდა, ხან უკეთაღდებოდა.

ნახევარ საათის შემდეგ თვითონაც ჩაკეტა კარები და დაიძინა.

თავი მეჩვიე.

განთიადი.

სუთ მანისის დილის ცისკარმა გაჭფანტა ეს სამწუხარო ღამე, რომელიც იყო მოწამე საშინელის ავანაგობისა და კიდევ უფრო საზარელთა განზრახვათა.

ნაზ დილის ცისკარს, ამ გათენების წინამორბედს, ჭერ კიდევ არ აეშრო უძანყო სისხლი, დაღვრილი მდინარის ნაპირზედ. სამსრეთის ნიავიც სამოდ მოჭებრდა, ჭფანტავდა ქუჩებში ღამე შეჭხუთულს ჭერს და მოჭჭონდა ახლო-მანლო მდებარე მთა და კვლებიდან იისა და ვარდის სუნი.

ყველგან მუდრეობა სუთეკდა, არსაიდან არ ისმოდა ხმაურობა.

აღმოსავლეთის მხრით, დიდებულის მდინარის კიდევზედ, ცისკარმა, რაც მზე ამოდიოდა, უფრო და უფრო ოქროსფერი ედებოდა და თვით უანასკნელნი აჩრდილნი ღამისანი გროვდებოდნენ დასავლეთისკენ, დევნილნი ძლევა-მოსილის სინათლისაგან.

ეს საზარელი, საბედული წყევლისა ზეწარი რატომ მარადის არ იყო გადაფარებული ამ ქალაქზე, რომლისთვისაც თვით განგებასაც თვალი მოკუმარებინა! თუ ეს უბედურნი მომაკვდავნი დაწუკვლილ იყვნენ განჩისხებულის ღვთაებისაგან, მაშ რილასთვის ამოუდიოდა ამ ქვეყანას მზე და მთავარე მოსაწამლავად და მოსაშხამავად ბწყინავაღეს მანისისა?... მაგრამ ბუნება თითქოს განგებ მასინ უფრო დიდებულად სჩანს, როდესაც კაცი სწუხს და სურს დაინახოს ბუნებაში თვისდამი სიბრალული.

როგორც ბუნებას ისე კაცთა ნათესაობასაც მოკერებუ-
ნა უფრი და გულ-გრილად უყურებდა აზგენტინის ხალხის ტან-
ჯვას.

უველასაგან დავიწყებულნი ხალხი ნათლად სედაგდა თავის
მდგომარეობას და გული ეუბნებოდა, რომ განუკითხველი ხე-
ლი მტარვალისა მალე ისეთს თავს-ზარს დასცემდა, რომელიც
უველა წინანდელს თავ-ზარ-დაცემას აღემატებოდა, თვითონ
ხალხს კი არა ჭკონდა შეძლება აცდინა ეს თავიდან.

პანიკური შიში — ეს შსამიანი სენი, დამამდაბლებელი
სულისა და დამახლუნებელი აზრისა, — ეს ყოველს ჭირსედ
უსასარესი, თან-და-თან ყოველს სასაღობას ედებოდა. მს-
მებს შეილებისა ეშინოდათ, მეგობრებს მეგობრებისა, უველანი
ეკვიბო. უტყუროდენ ერთ-ერთმანერთის ნაბიჯის გადადგმას და
მოქმედებას.

უველა გულში ლოცულობდა განმათავისუფლებელთა გა-
მარჯვებისათვის; მაგრამ ის ფიქრი, რომ მტარვალის უკანას-
კნელნი კვეთებანი იქნებოდენ ქალაქში მცხოვრებთათვის მო-
მაკვდინებელნი, — ეს სასარელი ფიქრი იქამდის აშინებდა მთელს
საზოგადოებას, რომ ყოველი მტერი მართებლობისა ნატრუ-
ლობდა ანაზღაურად სიძარტის გამარჯვებას, რომ მით მტარ-
ვალს აღარ ჭკონოდა დრო ჯვარის ამოყრისა.

იმ დროს, როდესაც ლაჟვარდ ცაზედ ცისკარი კაშკაშებ-
და და ქალაქის მყუდროებას სოფლიდან შემოსულის ურძების
ჭრიალი ძლივს არღვევდა, გამარჯვების ქუჩაზედ მიდიოდა
ერთი ჯოხიანი კაცი, მალაღის ტანისა, რომელსაც სასეზედ
ეტყობოდა, ორმოც-და-ათის ან ორმოც-და-თხუთმეტის წლი-
სა უნდა ყოფილიყო. ამ სუფთად ჩაცმულის კაცის გულს ჭე-
დერადის ნიშანი ამშვენებდა. ბოლოს ეს მოსუცი შესდგა იმ

სახლის კარებთან, სადაც ჩამდენიმე საათის წინად დანიელ შევიდა. მოხუცმა ჯერ აქეთ-იქით მიიხედა ქუჩებში და მერე კარები დაუკაკუნა.

თავი მეცხრე.

ანგელოზი და საჯანა.

ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ მკითხველის ცნობის-მოყვარეობას, რომელიც ადგუძარით ამ მოთხრობაში სახლის პირის გამყოფანით. ჯერ-ჯერობით თავი დაკანებოთ ამ მოხუცებულსაც და ამ დილასაც ღ მივუბრუნდეთ იმ შუადღის ამბავს. გამოვუდგეთ უვითვლ კარეტას, რომელშიაც ორი შავი ცხენი იყო შემული და რომელმაც დასტოვა მანსილის სახლი და მორბის პორტოზის ქუჩაზედ. ამ კარეტის კუთხეში მიმჯდარიყო ერთი ქალი და იმაღავდა თავს გამეღელთაგან.

ეკიპაჟმა შეუხვია ქვის ქუჩისკენ ღ შესდგა ერთის სახლის წინ, რომლის კარებსაც შეგვიძლიან სამართლიანად «ჯოჯოხეთის კარები» ვუწოდოთ, რადგანაც იმის სიწითლე ადგზნებულ საკინის ტეტხლის სიწითლეს არ ჩამორჩებოდა.

ეკიპაჟიდან გამოვიდა, ანუ უკეთ კსთქვათ, გადმოტქრიალდა უმაწვილი ქალი, რომელიც იზნებოდა ჩვიდმეტისა ანუ თერამეტის წლისა; ის იყო მშენიერი, როგორც... მომხიბლავი, როგორც... როგორც პირველი სხივი დილის ცისკრისა. ხშირი, ოქროს ფერი თმები ეთამაშებოდენ იმის ღაწკებს, თითქოს სინაზისა და ელფერის მოზარკას უზირებდენ. ბრტყელი შუბლი, წყლიანი მოღურჯო თვალები წვრილის გადაჭიმულის

წარბებით, ცოტათი მოხრილი მშვენიერი ცხვირი, რომელიც ნიშანია გრძნობისა და ნათელის გონებისა და ჰაწია კარდის-ფერი ტუჩები,—აი, რაც შეგვიძლიან მივუმატოთ ამ ქალის სურათს, რომლის უოკელი ნაკეთი ამხელდა მასში კეთილ-შობილურს სულს და წმინდა გრძნობას.

ამ ქალს ფარჩის ტანისამოსი ეცვა და მხრებზედ გადავლებული ჭჭონდა თეთრი ქიშმირის ფარჩიანი შალი. უმაწვილი-ქალი შესდგა სახლის დერეფანში და ეძებდა გზას რომ გაეტანებინა იმ ხალხისათვის ღ შინაურის პირუტყვისათვის, რომელითაც სავსე იყო ეს სახლი. ამ სახლში იდგა დონა მარია-ხოზევა ესეურა, რომელი დონ-ხუან მანუელ რომასისა. ამასთან მოვიდა ესლა ჩვენი უმაწვილი ქალიც.

— დონა მარია-ხოზევა შინა ბძანდება? იკითხა უმაწვილმა ქალმა.

— შინ არის, მაგრამ არა სცაღიან, მიუგო ერთმა კაცმა.

უმაწვილი ქალი ცოტა ხანს შესდგა, მაგრამ მერე გააღო ქუჩის ფანჯარა და დაუძახა თავის ლაქიას: ის მამინვე მოვიდა. უმაწვილმა-ქალმა უთხრა:

— დაანაკუნე კარები და იკითხე დონა მარია-ხოზევა არ მიიღებს ფლორენსია დიუზასკესა-თქო.

ცოტა ხანს უკან გამოვიდა სუფთად ჩაცმული მოახლე ღ სთხოვა ფლორენსიას ცოტა მოეცადა. სხვა იქ მდგომს ქალებს კი უთხრა, რომ ქალ-ბატონი საღამომდის ვერ მივიღებთო. ფლორენსია სრულიად მარტო დარჩა.

ამ დროს დონა მარია-ხოზევა სხვა ოთახში ელაპარაკებოდა ორს ქალს და თან ალაგებდა სტოლზედ მიღებულს არჩებს, რომელნიც იმ დღეს მიაწოდეს და თანაც მოუყვანეს საჩუქრად ბატები, ქათმები და სხვ. ეს არჩები უნდა წარდგო-

ნილიყო წინაშე აღმადგინებელის როზასისა დონა მარია-სოფიის ხელით. როზასის რძალი სანქაროდ აღაგებდა ქალადებს, რომ მალე მიეღო ფლორენსის დიუშასკე, რომელიც შორეულ ნათესავად მოსვდებოდა როზასის გვარს.

დონა მარია-სოფია მარჯვენა ხელი იყო როზასისა. აწავინ ისე ერთგულად არა შეელოდა როზასს ბოროტებაში, როგორც ეს ქალი. ის იყო დაუძინებელი მტერი და მღევნელი უნიტარებისა.

ბოლოს გაიღო ოთახის კარი და გამოვიდა დონა მარია-სოფია ფლორენსიასთან. ეს ქალი სამოცის წლის მეტისა არ იქნებოდა.

— აა, ფლორენსია, რა სასწაულმა მოგიუგანა!.. რაღამ დონა მარია ილადა კა აღარ მოვიდა? ჰკითხა მან და მოუხვდა გვერდით ფლორენსიას.

— დედას ცოტა არ შეუძლიან, მაგრამ მოკითხვა კი შემოკითვალათ და ძალიან სწუხს, რომ ვედარსადა გნახათ.

— მე რომ დონა მარია ილადას და იმის სახლობას კარვად არ ვიცნობდე, ვითვიქრებდი, რომ ისიც უნიტარი გამხდარა; ესლახომ დეილად ეტუობათ უნიტარების ქალებს. გარეთ არ გამოდინან, სულ შინა სსუდან. იცი რისთვის არ გამოდინან გარეთ?

— მე? არა, არ ვიცი. ან საიღამ მეცოდინება!

— ისინი იმისთვის იმალეებიან, რომ ჭედერაციის ნიშნის გაკეთება არ მოუნდეთ, რადგანაც ნაბძანებია რომ უკვლამ უნდა გაიკეთონ. შენც, ფლორენსია, ფედერაციის ნიშანი ისე არა გაქვს გაკეთებული, როგორც რიგია.

— გაკეთებული ხომ მაინცა მაქვს.

— გაკეთებული ხომ მაინცა მაქვს! ისე გაქვს გაკეთებული,

რომ გინდა გქონია, გინდა არა. ეგრე ხომ უნიტარების ქალებსაც აქვთ გაკეთებული. თუმცა ფრანცუზის ქალი ხარ, მაგრამ მაინც ისე უწმინდური არა ხარ, როგორც ისინი. შენ ატარებ ნიშანს, მაგრამ...

— ჩემთვის ეგეცა კმაჩა, ქალ-ბატონო, უთხრა ფლორენსიამ და გააწვევტინა ლაშარაკი. ფლორენსიას უნდოდა სხვა მიმართულება მიეცა ლაშარაკისთვის, რომ ეგებ მოკვდა გული ამ მუნწის ქალისა.

— მე ვატარებ ნიშანს, განაგრძო სტუმარმა, — და თანა მიჰქვს ეს მცირედი შესწორავიც, რომელიც დედამა გთხოვით გადსცემთ ღარბ ქალთათვის დადგენილს კასაში, რადგანაც, როგორც გავიგეთ, ეს კასა თურმე სამწუხარო მდგომარეობაშია.

ფლორენსიამ ამოიღო ჯიბიდან ჰატარა ქისა, რომელშიაც იყო ოთხი ბანკის ბილეთი და მისცა დონა მარია-სოფიას. ფლორენსიამ ცოტა კიდევ მოატყუა და უთხრა, რომ ეს ფული იმ ფულებიდან გადავანარჩუნე, რომელსაც მამა-ჩემი მამლევდა ქველის საქმისთვის, როდესაც თოთხმეტის წლის შევსრულდიო.

მასპინძელმა გაშალა ბილეთები და დაჭყიტა თვალები, რა დანახა ათ-ათ თუმინანი ბილეთები.

— აი ასე იტყვიან ნამდვილი ფედერალები! დედა-შენს უთხარი, რომ ამ კეთილს საქმეს ხუან-მანუელს შევატყობინებ და ფულებსაც ხვალვე გადავსცემ კასის ხაზინადარს ხუან-კარლოსს. თანაც ბილეთებს ხელს უჭერდა, რომ მართლა ხაზინადართან არ გაქტეულიყვნენ.

— დედამა გთხოვთ, რომ ეს საქმე არ გამოქვეყნდესო, რადგანაც ამისთანა კეთილი საქმე იმის სინიღისის მოკალეობა არის. ამისთანავე გუბერნატორს არა აქვს დრო ამისთანა

მცირე საქმეებს მიაჭციოს უფრადღება. ის სულ ატეხილს ომიანობაზედ ფიჭრობს, და თუ თქვენა და მანუელიტა არა ჭყოლოდით—გერა მგონია მარტო გასძლოლოდა ამდენს საქმეს.

პირ-ფერობა ხშირად უფრო გულით უწმინდურთ ჭხიბლავს, ვიდრე კეთილთ. ფლორენსიამ სრულიად მოხიბლა გული თავის მასპინძლისა.

— რა ვუყოთ, უნდა ვუშველოთ საწყელს, მიუგო იმან და მიესვენა დივანზედ.

— მანუელიტას უჭეიფობა გავიგე. ამბობენ, ამის მიწისი თურმე ის არის, რომ ღამე არა სძინავს. ეს ხომ უფრო ავად გახდის, სთქვა ფლორენსიამ გულ-მტკივნეულობით.

— ავად გახდება, სწორედ ავად გახდება. მაგალითებრ წუხელის დილის ოთხს საათამდის არ დაუძინია.

— ოთხ საათამდის?

— დიაღ, უფრო გვიანამდინაც.

— რათა? ქალაქში ესლა ხომ მშვიდობიანობა არის.

— აბა რას ამბობ? გეტყობა შენ პოლიტიკას თვალ-უურს არ ადგენებ. კიდევ ესლა გემარტებს ქალაქში სიფთხილე, აი.

— მართლეს ბძანებთ. მე არ ვიცი ის საიდუმლოებანი, რომელნიც თქვენა და მანუელიტამ იციან. მე მხოლოდ ვფიჭრობდი, რომ რადგანაც ომი ჩვენზედ შორს არის, ქალაქში უნიტარებისა არ უნდა გვეშინოდეს მეთქი.

— საწყალო! თქვენ მხოლოდ კაბებზედა და შლიაპებზედ ფიჭრობთ. იმაზედ რაღას იტყვი რომ აქედამ უნიტარები მიდიან ღავალესთან?

— მაგის ადკრძალვა როგორღა შეიძლება! წყლის ნაპირი დიდა, სადაც უნდა გაუღენ.

— რაო, რაო, ადკრძალვა არ შეიძლებაო!...

— მე ეგრე ვფიქრობ.

— მერე რათა ფიქრობ აგრე, ჭა, ჭა, ჭა! გაიცინა ბებერმა ჯოჯოხეთის სიცილით, — იტი რამდენი დაიჭირეს წუსელის?

— არა, არ ვიცი, მიუგო ფლორენსიამ.

— რთხი, ჩემო სულა.

— ვითომ?

— დიად, რთხი ვაყ-ბატონი.

— ესლა ხომ კელარ გაიჭყვიან, რადგან დაჭერილები იქა-
ნებან.

— რომ კელარ ჭაიჭყვიან — მაგაში თაკდება მე დაგიდგუ-
ბი, ამისთვის რომ დატუსაღებაზედ უფრო ცუდი საქმე და-
მართათ.

— მართლაც? უთხრა ფლორენსიამ ეშმაკურის გაკვირვებით, თითქოს არაფერი იცის დახორცილებისათ. ფლორენსიას მანსი-
ლიასაგან უკელა ეს შეტუბილი ჭქონდა, როდესაც ამ ერთი
საათის წინად იმასთან იყო, თუძცა იმ უნიტარზედ კი არა-
ფერი იცოდა, რომელიც გაჭყუელიყო.

— მე გუბნები, რომ დატუსაღებაზედ უარესი დაქმართათ
მეთქი! დაარწმუნა ბებერმა, — ჩვენმა კარგმა ფედერალებმა ისი-
ნი... დახორცეს.

— დახორცეს!

— კარგადაცა ჭქნეს; ეს ჩვენთვის საბედნიერო საქმეა, თუ-
ცა ცოტა უხეიროდ კი მოიქცნენ.

— ცოტას არა უშავს-რას; ცოტა უხეირობას ყურადღება არც
კი უნდა მიაქციოთ, ქალ-ბატონო.

— ერთმა იმ საძაგელთაგანმა მოასწრო დამადგა.

— მაგას შეიძლება ეშუკლოს, რადგანც, როგორც ვფიქრობ,
პოლიცია გულ-მოადგინედ იჭყვას.

— ვერა, ვერ იქცევა გულ-მოდგინედ.

— ამბობენ რომ ვიქტორიკა ამისთანა საქმეებში ტენიოსიაო, უთხრა დანიელის მოწაფემ, რომ მოსაუბრის თავ-მოყვარეობისათვის ცოტა ეგებინა.

— ვინა, ვინა, ვიქტორიკა? თუ ღმერთი გწამს მაგისთანა სიცრუევს ნუ ამბობ! მე, მხოლოდ მე ვაკეთებ საქმეს და სხვა არავინ.

— მეც თვითონ აგრე ვფიქრობდი და დარწმუნებულნიც ვარ, რომ ამისთანა დროს თქვენ უფრო კარგად იმოქმედებთ, ვიდრე ბატონი ჰოლიციის უფროსი.

— დიაღ, სწორედ რომ აგრეც არის; მაგაში თქვენ არა სცდებით.

— ესეც არის რომ სხვა-და-სხვა საქმეები, რომელნიც თქვენ ვალად გადავთ, დაგიშლიან...

— სულაც არა, სულაც არ დამიშლიან. თვითონ მეც არ მესმის, როგორ ვუძღვები ამოდენა საქმეებს. ერთი საათი არ არის რაც ხუან მანუელასგან დავბრუნდი, მაგრამ გაქცეულის უნიტარის ამბავი მე უფრო ვიცი, სინამ უკვლასგან ნაქებმა ვიქტორიკამ.

— ნუ თუ?

— სწორედ.

— მიკვირს... რის საათში... თქვენ ქალი ხართ!

— მე მართლაც გეუბნები, უთხრა მარია-ხოზიევამ, რომელსაც უყვარდა კეხნა და ვიქტორიკას დამტყობდა.

— მჯერა, ბატონო, მჯერა, განაგრძო ფლორენსიამ.

— მაგას რაღა დაუარაყო უნდა.

— ვინ იცის რამდენს კაცს უბძანეთ, რომი გაქცეული უნიტარი ეპოვნათ.

— სულაც არა! რასაჭირთა აყალ-მაყალი! მე მერლას დავუძახე, რომელმაც ისინი დააბეზლა ჩვენთან, მაგრამ იმ ვიწრო გაქცეულისა არც სახელი იცოდა, არც სხვა რამ ნიშანი. მაშინ სალდათებს დაუძახე, რომელნიც ამ საქმეში დაესწრენ. აგერ ამი ოთახში არის ერთი სალდათი, რომელმაც კარგი ნიშნები მითხრა გაქცეულისა. კამილო! დაუძახა ბებერმა, და სალდათი შემოვიდა.

— გვითხარ, კამილო, რა ნიშნები აქვს იმ წუწეს უნიტარს, რომელიც დაიძალა?

— ტანზედ კარგი ნიშნები აქვს ჩემის სანჯღლით დასმული და ერთი ჭრილობაც ერთს ვაი ალაგასა აქვს, მიუგო სალდათმა კმაყოფილებით.

— რა ალაგას? ჭკითხა კუდიანმა ბებერმა.

— მარცხენა ფეხზედ,

— მას დაჭრილი არის?

— დიაღ, ხმლით. ძალიანაც არის დაჭრილი.

— სწორედ იცი?

— მას არ ვიცი! თვითონ მე არ დავსჭერი.

ამის გაგონებაზედ ფლორენსისა დივანზე მიესვენა.

— რომ ნახო სახესუდ იცნობ? ჭკითხა მარია-ხოზეფამ.

— არა, ბატონო, მაგრამ ხმაზედ ვი ვიცნობ.

— კარგი, წადი, კამილო.

— გაიგონე? უთხრა მარია-ხოზეფამ ფლორენსისას, რომელსაც არც ერთი სიტყვა კამილოსი უუუარადდებოდ არ დაუგვდიო, — ხომ გაიგონე? ფეხშია დაჭრილი! ეს ძვირ-ფასი ნიშანია, შენ როგორ-ღა ფიქრობ?

— მე არ მესმის, რა მნიშვნელობა აქვს, რომ გაქტეულნი უნიტარი მარცხენა ფეხშია დაჭრილი...

— მაშ კერ მიმხვდარხარ?

— კერა. ესლა დაჭრილი, როგორც ვიფიქრობ, ან თავის სახლში იწვევა ან სხვისაში და აბა ჭრილობებს საიღამ დანინახავთ?

— რა გულ-წრფელი რამა ხარ! უთხრა სიტყვით დონა მანია-ხოზეფამ, — როგორ ვერ მიმხვდარხარ!... ეს დაჭრილობა მე სამს გზას მიჩვენებს იმის საზოგადოდ.

— ვითომ?

— სწორედ. აბა მე ბებერს, უური დამიგდე: ექიმები სწამლობენ ავად-მოყოფს, ავთიანქიღამ აძლევენ ჭრილობების წამაღს; ამასთანავე შეიძლება მოსამსახურებიც მოვიშველიოთ, რომ შეგვატყუობინონ ვინ გახდა უეტრად ავად.

— კარგი იქნება, თუ ეგ საშუალება გამოდგა, მაგრამ არა მგონია ვი მაგით გაიგოთ რამე.

— თუ არ გამომადგება, მაშინ ერთი საშუალება კიდევ ვიცი.

— ერთი საშუალებაც კიდევ?

— დიაღ, დიაღ, ერთი საშუალება კიდევ. რა საშუალებაც მე ჩემოვთვალე შირველში, დღესა და ხვალ გამომადგება, მაგრამ სამშაბათს ვი იმ გაფერენილის ჩიტის— უნიტარის ერთი ფრთხ მანც მეჭირება ხელში.

— მე ვი მგონია, რომ იმის ფრთის ფეხსაც ვერა ნახავთ, უთხრა ფლარენსიამ საუბრის გასაგრძელებლად.

— თქვენ აგრე გგონიათ?... მაშ კარგი, სამშაბათს ნახავთ.

— სამშაბათს რისთვის და არა სხვა დღეს?

— რისთვის? შენ როგორ ფიქრობ, კოპწია ქალა, უნიტარებს სისხლი დასდით ჭრილობიღამ თუ არა?

— რასაკვირველია, დასდით, როგორც სხვა კაცს, ე. ი.

უნდა დასდიოდეთ, წადგანაც მე ჯერ დაჭრილი ვატი არ მი-
ნახავს.

— ნუ დაივიწყებ, ხეივან კარგო, რომ უნიტარები კაცები არ
აჩიან.

— როგორ თუ კაცები არ აჩიან?

— დიად, კაცები კი არა, ძაღლები აჩიან, და მე დიად
მოსარული ვიქნებოდი, რომ იმათ სისხლის ჭაობში გამეარა.
უმადვილი ქალი კანკალმა აიტანა, მაგრამ მაინც კარგად
შეიმაგრე თავი.

— მაშ ხომ იცო რომ იმათ ჭრილობებიდან სისხლი გად-
მოსდით? ჭკითხა კიდევ დონა მარია-ხოსეფამ.

— დიად, ბატონო, გიცი.

— ისიც ხომ იცო, რომ საცვალი სისხლით გაისერება?

— დიად, ეგეც გიცი.

— გაისერება ჭრილობების შესაკრავებიც?

— ეგეც მართალია.

— ჩაქსავიც?

— ეგეც იქნება.

— პირსახოციც, რომლითაც ავად-მყოფის მომკვლელები ხე-
ლებს შეიწმენდენ?

— არც ეგ არის შეუძლებელი.

— მაშ უკვლავ ეს იცო რაღა?

— დიად, ბატონო, მე ყოველი ეს მჯერა და გეთანხმები,
მაგრამ მაინც ვერ გამოვიარა მნიშვნელობა აქვს მაგას ამ საქ-
მეში. მართლაცა და ფლორენსია ვერ მიხვდა, თუ ამ ლაშა-
რაკს რა ბოლო მოსდევდა.

— ჭმ, ვერ მიმხვდარხარ... ერთი მითხარ როდის მიაქვთ
მრეტსაკვებს ჭუჭყიანი საცვალი?

— ჩვეულებრივ ორშაბათობით.

— დიაღ, ასე დილის რვა, ან ცხრა საათზედ და მოდიან წყალზედ გასარეცხად, — ესლას ხომ მიხვდი.

— დიაღ, ცოტათი მივსკდი, უთხრა ფლორენსიამ, შეძრწუნებულმა იმის ჯანმრთელობის ჭკუით.

— მრეცხავი არ დაქვამაგება უნიტარებს ღ თუ გინდ დაქვამაგოს კიდევ, მაინც ხომ სხვა მრეცხავებთან ერთად უნდა გარეცხოს საცვალე. მეც ჩემს განკარგულებას მოვასდენ ამის შესასვებ.

— ახ, რა კარგი პლანია! უთხრა ფლორენსიამ და თან მალავდა თავის აღელვებას, რომ არ შეეძინია ამ ბებრეცხუნას, რომლის სუნთქვაც მომწამვლელი იყო კაცისა.

— მას კარგია? თქვენი ნაქები ვიქტორიკა ხომ ერთ წელიწადსაც ვერ მოიფიქრებდა ამას.

— შესაძლებელია.

— ის ძველსაა უნიტარები ხომ რაღას მოიფიქრებდენ და ჭიფიჭრობენ კი, რომ ყოველიფერი იცინან.

— მაგას რაღა თქმა უნდა, უთხრა ფლორენსიამ ისეთის სისწრაფით და გრძნობით, რომ სხვას ვისმეს ეგონებოდა, ეს ქალი თანაუგრძნობდა უნიტარებს, რომლებთანაც მართლად და კავშირი ჰქონდა.

— ჩემო ფლორენსია! უნიტარი არ შეიერთო! გარდა იმისა რომ ისინი მყვალები არიან და სამაგლები, ამასთანავე ისეთი თვკვედები და უნაჭონიც არიან, რომ უკანასკნელი ფედერალი სჯობს იმათ. მართლად, ქორწინებაზედ მომავლანდა: დანიელ როგორ არის? დიდი ხანია აღარსადა სჩანს.

— კარგად გახლავს.

— ძალიან მოხარული ვარ შენ ზმას თავი არ დაანებო, ნუ მოეშვები, დამიჯერე.

— რად დავანებებ! უთხრა ცნობის-მოყვარე ფლორენსიამ.

— რათა?... ეს შენც კარგად იცი. შევეკრებულნი ვეველა-ფერს მალე მიხვდებიან.

— რას უნდა მივხვდე?

— ჭმ... შენ ხომ გიყვარს ჭაბუკი ბელო?

— ბატონო ჩემო!

— თუ ღმერთი გწამს ნუ მიმაჯაკ, მე ვეველაფერი კარგად ვიცი.

— თუ იცით...

— ვიცი, რომ გუებნები, ანაფერში მოსტყუვდე მეთქი. შენ ისე მიუვარხარ, როგორც ღვიძლი შვილი.

— მე არ მოვსტყუვდე! ვისგან? გარწმუნებთ, რომ ანაფერი მესმის, უთხრა ფლორენსიამ.

— ვისგან უნდა მოსტყუვდე, თუ არ დანიელისაგან?

— არა, ეგ შეუძლებელია, დანიელ მე არ მომატყუებს.

— მეც დღევანდლამდის ეგრე მეგონა, მაგრამ ესა საბუ-
თები მაჭკს.

— საბუთები?!...

— დიაღ, საბუთები... შენ გიფიქრნია როდისმე განმარ-
ტობულს ქალაქის ნაწილზედ? გამიგონე, მადი გულ-გალსნი-
ლად დავიწყოთ ლაშაჩაკი; ჩემი მოტყუება ხომ იცო, ძნელია.

— მე ბევრჯერ მილაშაჩაკნია დანიელთან განმარტობულს
ქალაქის ნაწილზედ, მაგრამ ღმერთსა ვფიცავ ეგრე მივმხდარვარ,
ეს ქალაქის ნაწილი მე რას შემესება.

— შენ ცოტათი შეგვსება, დანიელს კი—უფრო ძლიერ.

— თქვენ აგრე გგონიათ?

— მარტო მე კი არა მგონია, ასე ჭგონია ვილაც ამალია-
საც, დანიელის გულის სატროფოს; აგრეთვე ერთ ქალსაც, რომ

შელსაც ფლორენსიას ეძახიან. ახლა ხომ მიხვდი, ჩემო უზა-
კველო მტრელო? უთხრა სიცილით ბებერმა და თან ხელს უს-
კამდა მსრებზედ ფლორენსიას.

— ცოტა არ არის რომ მიხვდი, მაგრამ მე მგონია თქვენ
სცდებით, უთხრა ფლორენსიამ ვითომ და დამშვიდებით, მაგ-
რამ გული კი შეუშოფოთდა; რომელი ქალი არ იჯერებს, რო-
დესაც ეუბნებიან, რომ გულის სატრფომ გიღალატაო!!

— უგაცრავად, ქალ-ბატონო, მე სრულიადაც არა ვსცდები.
ვისა ნახულობს ამაღია—ეს სათნოიანი ქვრივი, რომელიც გან-
მარტოვებით სცსოვრებს თავის სასლში? მხოლოდ მარტო და-
ნიელს. რად დაიარება უმაწვილი და ღამაში დანიელ ამაღიას-
თან? მე ვკონებ არა იმიტომ, რომ თმები გაუსწორებს. რათა
სცსოვრებს ამაღია მარტოდ-მარტო? დანიელმა ეს კარგად
იცის, რადგანაც მარტო ის დაიარება იმასთან. რატომ დანიელ
ესლა აღარა სჩანს ხოლმე საზოგადოებაში? იმისთვის რომ ის
ყოველ ღამეს თავის ამაღიასთან არის და შემდეგ დრო აღა-
რ აქვს შენთანაც მოვიდეს. აი როგორნი არიან ესლანდელი
უმაწვილი გაცები: ჰუბულებივით ერთი უკავილიდამ მეორეზედ
დაჭფრინავენ! მაგრამ... რა დაგემართა? რაზედ გაუკითლდი?

— ეს არაფერი, ბატონო, უთხრა ფლორენსიამ, მართლაც
და გაუკითლებულმა, ამისთვის რომ მთლად სისხლი გულზედ
მოაწვა.

— აჰ, საწყალო, ჰა, ჰა, ჰა!... გადისარსარა მარია-ხოზე-
ფამ,—მე ჯერ კიდევ უკვლა არ მითქვამს... რა მგრძნობიარე-
ნი არიან ეს საწყალი უმაწვილი ქალები!

— ჯერ კიდევ უკვლა არ გითქვამს?! უთხრა ფლორენ-
სიამ.

— არა, არა, მე არ მინდა უსიამოვნობა მივაყენო ვისმე,

სტკვა ბებერმა და თან სარსარობდა და სიამოვნებდა იმ ტან-
ჯვით, რითაც ფლორენსიას გული ეტანჯებოდა.

— მამ მშვიდობით, ბატონო, წაიღუდღუღა ფლორენსიამ
და მთლად აკანკალდა.

— საწყალო! კარგად გაუწიე იმას უურები! ნუ მისცემ მოტ-
უუების ნებას.

ბებერი ისევ დივანზედ იჯდა და სარსარობდა.

— მშვიდობით ბმანდებოდეთ, უთხრა კიდევ ფლორენსიამ
და ჩამოართვა სელი იმას, რომელმაც დაურღვია მას სულის
მშვიდობა და ეჭვი შეატანინა თავის გულის სატრფო კაცზედ.

— მშვიდობით, სულა-ჯან, მშვიდობით! ჩემს მაგიერად დე-
დას შოკითსვა მოასსენე, უთხარი მალე მონჩეს, რომ მალე
ვნახოთ ერთმანეთი. გაუფთხილდი შესს დანიელს, ჭა, ჭა, ჭა!

სარსარითა და სიცილით გააცილა ფლორენსია კარე-
ბამდე.

საწყალი ემაწვილი ქალი ჩაჯდა თავის ეკიზაუში და იმუ-
ლებული იყო კორსეტი გაესსა, რომ უფრო თავისუფლად
ესუნთქა და გული არ წასვლოდა. ემაწვილს ქალს ათასი ფიქ-
რები აერია თავში და არ აძლევდა მოსვენებას.

— მართლაც, ამბობდა ფლორენსია თავის-თავად, — დანიე-
ლი სშირად ცხენით სადღაც დაიარება და დღევანდლამდის არ
ვიცნოდი, თუ სად იყო ღამ-ღამობით. რამდენჯერმე, — მაგალი-
თად, წუხელის, — ის ჩემის სახლიდამ ცხრა საათზედ წავიდა.
არას დროს არ უთქვამს, რომ ამალიას გაგაცნობო. იმ ბებერ-
მა ქალმა, ვკონე, ისიც კი იცის, რაც ზღვის ძირში ამხავია.
იმან იცის ყველა, რაც ხდება და რაზედაც ლაპარაკობენ ბუე-
ნოს-აიჩესში. მან დარწმუნებით მითხრა, რომ საბუთებიცა
მაქვსო. მე ის რად მომატუეებს?! ოჰ, ღმერთო ჩემო,

დემეტო ჩემო, მამ ეს მართალი უნდა იყოს! მწარედ კენესოდა ფლორენსია და იფანკავდა თვალებზედ სელებს. თავი საკსე ქქონდა სხვა-და-სხვა მოგონებებით, ეჭვით და ძალა კი არ ქქონდა მოეშორებინა ფოკელივე ეს თავიდამ, რადგანაც გრძნობა სძლედა იმის ჭკუა-გონებას.

საწყალი, აღშფოთებული ქალი, ფლორენსია იგონებდა, რომ დანიელ სშირად ელანკაკებოდა ამალიაზედ, აქებდა იმის სიმშვენეირეს და გონიერებას. ამ ფოფით მივიდა ფლორენსია შინ ორის ნასეკარზედ და გადასწყვიტა შეეტყობინებინა დედისთვის ფოკელივე, რაც შეიტყო, რადგანაც დედაზედ უპეტესი მეგობარი იმას ესტა აღარაინ ეგულებოდა. საბედნიეროდ დედა შინ არ დასვდა, დაჯდა მარტოკა ზალაში ღ ივიქრს მიეტა. ის კი აღარ აგონდებოდა, რომ ახლოკდებოდა დრო, რადგანაც დანიელ უნდა მისუღიყო იმასთან, რეგორც დილით წერილით აცნობა.

თავი მეთე.

როგორი აგენტები ჭყავდა დანიელს.

დიდის ხის საათზედ დანიელ იცვამდა ტანთ თავის ერთ-გულის მსახურის იეკმინის დახმარებით, რომელსაც უგვე აესრულებინა თავის ბატონის ფოკელივე განკარგულება-

— ყვავილები თვითონ ფლორენსიამ გამოგართვა? ჭკითხა დანიელმა თავის მსახურს.

— თვითონ იმან, ბატონო.

— წერილიც?

— დიად, წერილიც.

— კერ შენიშნე, კმაყოფილი იყო თუ არა?

— კგონებ რომ კმაყოფილი დარჩა. მაგრამ ქალ-ბატონს გაუგვირდა, როდესაც წერილი მივეცი. მკითხა ჩხალი ამბავი ხომ არა მომხდარა-რათ.

— საწყალი! აბა მიაძბე, როგორ იყო ჩაცმული, ყველაფერი დაწვრილებით მითხარ. ჯერ ეს მითხარ, რას აკეთებდა, როდესაც მიხვედი.

— ყვავილებ შორის დაიარებოდა და ისწორებდა თმებს.

— თავის მშვენიერს თმებს. განაგრძე, განაგრძე, უთხარ: დანიელმა და მოიხვია ველზედ შავი აბრეშუმის ველსახვევი.

— სხვას არაფერს აკეთებდა.

— მე შენა გკითხე, როგორ იყო ჩაცმული მეთქი.

— თუთრი კაბა ეცვა მწვანის ლენტებით მორთული და წინ გახსნილი.

— მშვენიერად კი ამიწერე, შენის თავის მზემ! მაგას, ჩემო მეგობარო ფერმინ, დილის ტანისამოსს ეძახიან. რა მშვენიერი რამ იქნებოდა. სხვა?

— სხვა არაფერი.

— შენ სწორედ ტუტუცი ხარ.

— რათა ბატონო? სხვა არაფერი ეცვა და რა კქნა.

— ფეხებზედ ბათინგები ხომ ეცვა, მხრებზედ ხომ შალი ექნებოდა გადადებული, ლენტი რამ ხომ ექნებოდა წელზედ შემოკრული. ყველა ეს, ჩემო ბიძია, კარგად უნდა დაგეანას.

— რა დრო მქონდა მაგების დათვალიერებისა! მიუგო მოსამსახურემ.

— ერთის სიტყვით—ტუტუცი ხარ! ესლა შენ ეს მითხარ, აქ ვინ არის?

— ის ქალი გასლავთ, რომლის დამსხვებაც თქვენ მიბძანეთ და კიდევ დონ-კანდინო.

— აა, ჩემი წერის მასწავლებელი! რად მოსულა? არ იცი, აერმინ?

— არა, არ ვიცი, ბატონო. იმას მითხრა რომ შენს ბატონთან სათქმელი რამ მაქვსო. დიღეს ექვს საათსედეკე აქ ყოფილა მაგრამ კარები დაკეტილი დახვედრია, ესლა შვიდ საათსედ მოსულა კიდევ და მას აქეთია აქ იცდის.

— რა საკვირველი კაცია ეგ ჩემი მასწავლებელი! კიდევ ვერ დაიშალა უბრალო საქმისთვის ჩემი შეწუხება; ეტუობა, უნდა მეც ექვს საათსედ ადგომა მასწავლოს.— ჩემს კაბინეტში შეიყვანე და იქ მომიტადოს, ვიდრე დონა მარსელინა წავიდოდეს. ის ქალი გი ესლავე აქ შემოიყვანე, უთხრა დანიელმა და ჩიცქა თაგვის ფერი კურტკა.

— მას მიბძანებთ შემოიყვანო, ბატონო?

— ავი გითხარ შემოიყვანე მეტქი. როდესაც ის ქალი ჩემთან შემოვიდეს, კაბინეტის კარები მაგრად მიხურე.

რამდენიმე წამს შემდეგ დონა მარსელინაც შემოვიდა, მისაკის ფერ ფანჩის კაბით და სხვა ქალის სამკაულებით მორთული; მის სასუში ყველასედ კარგი იმის შავი თვალეები იყო, რომელნიც უმწვილობის დროს უფრო მშვენიერნი იქნებოდენ, მაგრამ ესლა გი მარსელინა რომოცის წლის იყო და იმის მშვენიერ თვალეებს მიმზიდველობა დაჭკარვოდათ.

— აი სწორედ თქვენი ხახვა მინდოდა, უთხრა დანიელმა და სთხრავა დამჯდარიყო სკამსედ. თვითონ დანიელ გი დიანსედ იყო გადაწოლილი.

— მე ყოველთვის თქვენი მონა და მოსამსახურე გახლას-

ვართ, ბატონო დანიელ, მიუგო სტუმარმა ქალმა და ჩამოჯდა სკამზედ.

— ჯერ ერთი ეს მითხარი, როგორ ბძანდები შენის სახლობით? ჰქითსა დანიელმა.

— ძალიან ცუდად, — ბუენოს-აირესის ესხანდელი ცხოვრება თვით ცოდვილსაც კი გაჭკუენადა ცოდვათაგან.

— ეგ უფრო კარგი თქვენთვის.

— თუძცა სხვები უფრო ცოდვილები არიან, ვიდრე მე, მაგრამ ისინიც კი განიკუენებინ.

— მაგალითად?

— მაგალითად რომელთაც თქვენც იცნობთ.

— სწორე გითხრა, მე გუელ-მაგიწეი ვარ.

— მე კი ვეკლა მასხოვს და ორასი წელიწადიც რომ ვიცოცხლო მაინც არ დამავიწუდება, რაც მე იმათ საქმე მომაყენეს.

— ეგ კარგი არ არის. სასარება გვიბძანებს, რამ მიუტყვეთ მტერთა თქვენთაო.

— მიუუტყვეო? შემდეგ იმისა, როდესაც მე მათ გამაუზატიურეს, შემიგინეს სახელი და როსკივ ქალებს დამადარეს? თავის დღეშიაც არა!

— შენ მეტის-მეტად აზვიადებ ამ საქმეს, ჩემო მეგობარო.

— როგორ თუ აზვიადებ! როსკივთა რიცხვში ჩამთვალეს, ბუენოს-აირესიდან ჩემი გაგდება უნდოდათ, — და განა ეს აზვიადება არის? ნუ იფიქრებ, რომ ამის ბრალი ჩემი ყოფა-ქცევა ყოფილიყოს; არა, თავი და თავი მიზეზი ის იყო, რომ ჩემთან იკრიბებოდნენ საუკეთესო უნიტარები, ჩემთან დადიოდნენ მინისტრები, იურისტები, პოეტები, დოქტორები, ლიტერატორები, — ერთის სიტყვით მარტინი ზენის ქვეყნისანი იმ დროს, როდესაც მე როსკივთა რიცხვში ჩამთვალეს და

ეველას ითხოვდენ ქალაქიდაძე, იმ ბებერს მოქრთამე ქალსე გამოსთქვეს ეს დასაცინი ლექსი:

შენ ქვეყანას თვალს რად უბამ...

— კარგი ლექსია, დონა მარსელინა, ძალიან კარგი.

— მშვენიერებია, ეს იმაზედ გამოსთქვეს 1833 წელს. მე მაშინ იმიტომა მდებრიდენ, რომ ლიტერატურის მომსრე ვიყავი და ამ მტარვალს ეველა ლიტერატორი ეკავებოდა და მრავალნი განდებნა ქალაქიდაძე.

— დიად, დიად უსამართლოდ მოგექცნენ, უთხრა დანიელმა და თან გულში იცინოდა.

— სწორედ რომ უსამართლოდ მომექცნენ!

— მეტე ამ უსამართლობას ხომ გადაწიით თქვენის მეგობრების წყალობით.

— დიად, დიად, მე ერთმა ჩემმა კეთილის მსურველმა გადამარჩინა, რომელიც ჰატევისა მცემდა იმასთვის, რომ ჩუხსოს თსულებებს კვითხულობდი.

— ესლა რაღა წიგნებსა კითხულობთ, დონა მარსელინა?

— ესლა კვითხულობ «კარნავალის შვილს» და სხვა ამისთანა წიგნებს.

— კარგი წიგნებია! ვინ გაძლევს მაგისთანა კარვ წიგნებს? ჭკითხა დანიელმა და დაამტკრდა.

— მე არავინ მაძლევს, ეს წიგნები მღვდელს გაეტეს მოაქვს ჩემის დის-წულისთვის.

— მღვდელს გაეტეს! უთხრა დანიელმა და გელარ შეიმაგრას სიცილი.

— მე ძლიერ მადლობელი ვარ იმ მღვდლისა, რომ ამისთანა წიგნების კითხვით ჩემს დის-წულს კარვსა და ავს აგებინებს.

— ეგ უკვლავ კარგი, მაგრამ არ მესმის თქვენის აზრების პატრონი როგორ დაუშვებდით იმისთანა მღვდელს, რომელიც ქედრაციის დამამშვენებლად ირიცხება.

— მეც თვითონ უოკელ დღე გეჩხუბები მაგისტრის.

— და ისიც თქვენს ჩხუბს ეურს უბდებს?

— თითქოს გაიცინებს, მიბრუნდება და შევს ხოლმე ღვრტრუდიტას ოთახში.

— ღვრტრუდიტას ოთახში? მას უკვლავ შინა გყავს ის ყმაწვილი ქალი?

— ის ჩემი ძმისწულია; ორი თვეა, რაც ჩემთან არის.

— დემეტო შემიწყალო!... შენ უფრო ბევრი ძმისწულები და დისწულები გყოლია, ვიდრე ადამს შვილის-შვილები.

— რა ვუყო, ჩემი თვისა და ტომის არიან, რაც შემოდინა უნდა დავესმარო.

— გახსოვს მღვდელი გაეტე პირველად რომ მოვიდა შენთან დუგლასის რეკომენდაციით, რა იქნებოდა რომ იმისაღ ის ენასა თქვენს სახლში, რაც მე ვნახე?

— დემეტო ჩემო, მაშინ სრულიად დავიდუბებოდი! მაგრამ მღვდელი გაეტე გონებ ისე ცნობის-მოყვარე არ არის, როგორც პატონი დონ დანიელ ბელო, უთხრა მარსელანამ საეკლესიოს კილოთი.

— ეგ მართალია, მაგრამ არც მე ვარ დამნაშავე. იმ დროს მე თქვენ წერილი შემოგიტანეთ, რომელიც უნდა დანიშნულებისამებრ გადაგეცათ. მე გთხოვეთ საწერ-კალამი გონვერტზე წასაწერად. უნებ ვიღამაც დაარასუნა კარები. თქვენ მითხარით საწოდს ოთახში დავმალევიყავ. მე იქ საწერ-კალამს დაგუწვეე ძებნა, მაგრამ ვერ ვიპოვე, მერე გავაღე ყუთი და...

— შენ არ უნდა წაგეკითხა ის წერილი, უთხრა ტობილის

ხმით მარსელინამ; რომელიც კვლავც ტებილად დაიწყო და სოლმე ლაშარაკს, რომელსაც კი ამ წერილზედ ჩამოვარდებოდა საუბარი.

— მაშ როგორ დამეკმაყოფილებინა ცნობის მოყვარეობა? მონტეკედილოდამ გასეთები და ჟურნალები...

— ისინი ჩემმა შვილმა გამომიგზავნა, როგორც მაშინც გითხარ.

— ეგ კარგი, მაგრამ წერილი!

— მართლა, წერილი! იმ წერილისათვის მტარვალები სმის ამოუღებლად დამსკრეტამდენ. რა გაუფთხილებელი ვიყავ! რა უფავ ის წერილი, ჩემო სიტოცხლეკ, — შენახული სომ არა გაქვს?

— თქვენა სწერდით, რომ რომელსაც ლაკალე შემოვა ქალაქში, რომასის მომსრე ქალებს ეველას თავებს დაკარსამო, — იცი ეს რა შეურაცხ-ყოფა!

— რას იზამ! თავის-უფლების სიყვარულმა მიყო, და კიდევ იმან რომ შეურაცხ-ყოფა მომაყენეს! რა სიამოვნებით ავასრელებდი ჩემს მექარას!... მაშ წერილი კიდევ შენა გაქვს, შე ეშმაკო?

— აკი გითხარ, რომ ის წერილი იმიტომ წავიდე, რომ განსაცდელიდამ დამესხენ.

— უნდა დაკესია.

— ეგ ჩემის მსრევ დიდი სიტუტუტე იქნებოდა.

— მაშ რად ინახამ იმ წერილს?

— ის საბუთია ჩემთვის, რომ თქვენი ჰატრიოტობა შეკატეობინო ეველა ჩვენს მომსრეებს, რომ შენ მიიღო დირსეული ვილდო ჩემის დახმარებისათვის.

— მსოლოდ მაგისთვისა გაქვს შენახული!

— თქვენ ჩემთვის დღევანდლამდის ისეთი არა გავყენინე-

ბიათ-რა, რომ ის წერილი ბოროტად მოვისმარო, უთხრა და-
ნიელმა.

— არცაას გაწეუნიხებთ! უთხრა საწყალმა ქალმა და ძლიერ
თავისუფლად ამოისუნთქა.

— მჯერა. ესლა საქმეზედ დაგიწოთ ლაშარაკი. შენ რა.
დის ნახე დუგლასი?

— ამ სამის დღის წინად.

— ძალიან კარგი. ის დღესაც უნდა ნახოთ.

— დღეს?

— თითქმის ამ საათშივე.

— ბატონი ბმანდებით.

— დანიელ შევიდა სამუშაო კაბინეტში და გამოიტანა სა-
წერლის ქვეშ დამალული წერილი, რომელიც წინა ღამეს დას-
წერა. მერე ჩასდო კონკერტში, აიღო კალამი და გამოვიდა ისევ
მარსელისთან.

— წაწერეთ ამ წერილის კონკერტს.

— მე?

— დიაღ, შენ წაწერე: «ბატონს დუგლასს

— სხვა არაფერი?

— არაფერი.

— მზად არის, სთქვა მარსელისამ, როცა გაათავა წაწერა.

— შენ წადი ესლავე დუგლასთან და შენის ხელით გადაე-
ცი ეს წერილი.

— მესმის.

— გულთან დამალე.

— დაკმაღე. ნურაფრის გეიქრებათ.

— ესლა სხვა რამეზედ მინდა მოგელაშარაკო.

— თქვენი მონა და მოსამსახურე განლაგართ.

— მე მინდა შენს სახლში მოვიდე სვალ, ან ზეგ დამით, მაგრამ ისე კი მოახერხე, რომ იქ არავინ იყოს.

— როდესაც გნებავდეთ. მე ქალებით სასეიწნოდ წავალ, მაგრამ გასაღებს რაღა ვუყოთ?

— დღესვე გააკეთებინე შეიძლება გასაღები, რომ სრულიად თქვენს გასაღებსა ჰგავდეს და გამომიგზავნე სვალ დილით. ისიც შემატებინე რა დღეს და რომელ საათზედ გასვალთ შინი-დამ. კარგი იქნებოდა თუ ამას ლოცვების დროს მოახერხებთ, ამისთვის რომ მაშინ ვერაინ დამინახავს.

— ფიქრი ნურასი გაქვთ, ჩვენი ქუჩა მიუწვდებოდა ქუჩაა.

— მე მინდა ავრეთვე, რომ ყველა ოთახების შიგნითა გა-რებები სრულიად დიანი იყვნენ.

— ბატონი ბძანდებით.

— ავრეთვე ვითხოვ შენგან სიჩქარეს და სიფრთხილეს, მტი-რედი გაუფრთხილებლობა ძვირად დაგიჯდება, მე კი არაფერი არ მომივა.

— ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელშია, ბატონო დანიელ და თუნდაც ასე არ იყოს მე მზადა ვარ დავდო თავი ჩემის უნი-ტარისათვის.

— აქ ლაპარაკი უნიტარებზედ არ არის და არც როდისმე მითქვამს შენთვის მე უნიტარი ვარ, თუ ვინა ვარ, — ხომ ყვე-ლაფერი გაიგე?

— დმერთს ჩემთვის კარგი მესხაერება მოუნიჭებია, სთქვა მარსელისამ, რომელიც დანიელის უგანსაგებლის სიტყვების კი-ლოზედ ცოტა არ იყო შეკრთა.

— მაშ ეხლა კი უნდა გავშორდეთ ერთმანეთს.

დანიელ შევიდა თავის კაბინეტში, გამოსწვია სტოლის უჯრას და ამოიღო ორმოც-და-ათ თუმნიანი ბანკის ბილეთი.

— აჭა მორე გასაღების გასაკეთებელი და თქვენი ძმის-
წულებისათვის სიღის ფასი.

— ძვირფასო ვმარჯობა! გულმხურვალედ წარმოს-
თქვა მარსელინამ, — თქვენ ინტერესი არა გაქვთ-რა და უფრო
გულ-უსვი სარტ, ვიდრე ძველი გაცტე, რომელმაც ჩემს ძმის-
წულს ღერტრუდას მთელის თავის განმავლობაში არაფერი არუქა.

— თქვენ კი იმას მაინც თავიდან ყრ ეშორებით. ესლა კი
მშვიდობით.

— მე ყოველთვის თქვენი მონა და მოსამსახურე გასჯავარ,
ბატონო დანიელ, უთხრა მარსელინამ თავის დაკვრით და გა-
მოვიდა ოთახიდან.

თავი მეოთხემეტე.

მკითხველი ჯონიანს კაცს შეხვდება.

როდესაც დონა მარსელინა წავიდა, ფერმინმა თავის ბა-
ტონის კაბინეტში შეიყვანა ის მოხუცი, რომელიც დღეს სის-
ხამს დილას ქალაქის ქუჩებში მოდიოდა.

ეს კაცი, შემოსვლის უმაღლესი, გაეშურა დანიელისკენ სწ-
ლის ჩამოსართმევლად.

— გამარჯობა, ჩემო კეთილო და პატივ-ცემულო დანიელ-
დღეს მე ძლიერ მიხდა შენთან მოლაპარაკება, მაგრამ, თითქმის
განგებ, ბევრი დაბრკოლება შემსგდა.

— თქვენ სომ იცით ბატონო, რომ მე ჩვეულებისამებრ
ადრე არა ვსდები.

— შენ ყოველთვის კვ ჩვეულება გქონდა. და როდესაც წე

ჩას გასწავლიდი, ხშირად იძულებული ვიყავ მამუხმარების მკაცრი საშუალებანი, რომ გაგვეთილებო არ გაგეშვა.

— ჩემდა სამწუხაროდ, თქვენ მაინც ვერ მასწავლეთ რეგია-
ნი წერა, ჩემო ძვირფასო დონ კანდინო.

— და ჩემდა სასიხარულოდ.

— ნუ თუ?! მას თქვენ გიხარიათ, რომ კარგი წერა ვერ
ვისწავლე?

— რც-და ათის წლის განმავლობაში, რომელნიც შეესწი-
ნე ამ წმინდა საქმეს—წერის სწავლებას, მე დავრწმუნდი, რომ
მხოლოდ სუსტის ტყუილსანი სწავლობდენ კარგ წერას, ხოლო
ფხიზელის გონებისანი კი, როგორც შენ, ვერას დროს ვერ
ისწავლიან რეგიანს წერას.

— ქებისათვის გამადლობთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ კარ-
გი წერა რომ მცოდნოდა, ანაფერს მაწყენდა.

— უველა ეკ მაინც არ დაგიშლის ჩემს პატრიის-ცემას.

— რასაკვირველია, არა; მე თქვენ ისევე მიყვარხართ, რო-
გორც სხვანი, რომელნიც ჩემს სიყმაწვილეზედ ზრუნავდენ.

— და შენც დამეხმარები, თუ რასმე გთხოვ, არა?

— დიდის სიხარულით, თუ კი შემეძლება. გულ-ახსნილად
მელაზარაკეთ.

— ნებას მაძლევ?

— ეხლა ძლიერ გაჭირდა ცხოვრება. გთხოვთ შემატყობი-
ნოთ თქვენი გაჭირვება, უთხრა დანიელმა, და თუ შემეძლება
დიდის სიამოვნებით დაგეხმარებით.

— არა, მე ფულს არ ვსაჭიროებ. ჩემის ანგარიშისანი ცხოვ-
რების წყალობით ცოტადენი ფული მაქვს და იმის სარგე-
ბელი მეოფნის გაუჭირვებლად ცხოვრებისათვის. მე სხვა რამ
მინდა გთხოვოთ, რომელიც ჩემთვის უფრო საჭიროა, ამ

ცხოვრებაში ბევრჯერ ცუდი დრო გვიდგება, როდესაც კაცის სიცოცხლე განსაცდელშია. ამისთანა დრო იმ ქარიშხალსა ჰგავს, რომელიც ნავს ასწრობს ზღვაში და დანთქმას ემუქრება...

— უკაცრავად კი ნუ ვიქნები და ვგონებ თქვენის საუბრის საგანს ძლიერ გაშორდით, შენიშნა დანიელმა, რა კი იცოდა, რომ დონ კანდინოს ბევრი ლაპარაკი უყვარდა და დიდ ხანს ვერ გაათავებდა თავის საუბარს, თუ ლაპარაკის ნება მიეცა.

— უკაცრავად, უკაცრავად, ესლავე საქმეზედ დაგიწუბო ლაპარაკს. მე შენ გასწავლე წერა, მიყვარდი, როგორც შვილი, შენის ცუდების, მხიარულის, მოძრავის...

— მადლობელი ვარ, მადლობელი, ბატონო. მაგრამ ერთი მიბძანეთ, რა გნებაუთ ჩემგან, ჰკითხა დანიელმა, რომელსაც სახესუდ არ ეტყობოდა კაჯავრება, მაგრამ გულში კი ჯავრობდა.

— მე მინდა, რომ შენ ერთს საქმეში დაიქნებარო.

— კვ აკი წელანაც მითხარით.

— ნუ ჩქარობ, საუვარელო, დალაგებით გაილაპარაკოთ.

— როგორც გინდა ისე ილაპარაკე, მხოლოდ დროით შე-
მეტყობინე შენი სათხოვარი.

— შენ ბევრს დიდ-კაცებს იცნობ?

— დიად, ბატონო.

— გავლენიანს კაცებს?

— დიად, ბატონო.

— შენ ვიქტორიკასიც მეგობარი ხარ?

— დიად.

— მაშ იცი რა, დანიელ, მიშუამდგომლე...

— რაზედ.

— გეკედრები, დანიელ, თუ ცოტადენი ჩემი ჰატივის-ცემა გაქვს, მიშუამდგომლე.. აქ მარტოკანი ვართ?

— დიაღ, მარტონი ვართ, მიუგო გაკვირვებულმა დანიელმა, რადგან დონ-კანდინო თან-და-თან ყვეთლდებოდა, რამდენიც უასლოკდებოდა თავის სათხოვარის საგანს.

— გაფიცებ ყველას, ვინც გიყვარს, მიშუამდგომლე..

— მითხარ, მითხარ, დროით მითხარ, რა გინდა, თუ ღმერთი გწამს.

— მე მინდა, რომ ციხეში ჩამსვან, ჩემო მეგობარო დანიელ, უჩუჩუა ყურში შემკრთაღმა დონ-კანდინომ თავის უწინდელს შეგირდს.

დანიელს ეს მეტად გაუკვირდა და დასტკეირდა თავის მასწავლებელს, ჭკუასეად ხომ შეშლილი არ არისო.

— გიკვირს დანიელ? განაგრძო დონ-კანდინომ, — წმინდის გულითა გთხოვ, რომ ეს თხოვნა შემისრულდ და მით საუკუნოდ დამაჯალო.

— რად გინდა ციხეში ჩაჯდომა? უთხრა დანიელმა და თანაც კიდევ ჰკვირობდა მასწავლებლის საქციელს.

— რად მინდა? ჰმ... მინდა ვიცხოვრო მოსკვენებით, უშფოთველად, შეუძრწუნებლად, კიდრე ეს საშინელი დრო თავს გადგვივლის.

— საშინელი დრო?

— დიაღ, საშინელი დრო, სასწარელი... შენ ჯერ კიდევ არ იცი, თუ რაგორ უფრო საშინელი დრო მოგველის. 1820 წელს, იმ სასწარელს დროს, მე შეცდომით ორჯეღ დამატუსადეს, და ესდა ხომ ამ 1840 წელს, დატუსადებს ვიღა ნადვლობს, შეცდომით თავის მოჭრისა მეშინიან. მე ყველა ეს კარგად ვიცი და მინდა რომ სამოქალაქო დანაშაულობისა-

ჩვეს ჩამსვან ციხეში და არა პილიტიკურის დანაშაულობისათვის.

— მე რე რათა? ჰკითხს დანიელმა.

— როგორ თუ რათა? განა შენ არა კითხულობ «გაზეთს» რომელიც ავსებულა მსეცურის მუქარითა.

— ას მუქარა უნიტარებს შეესება და არა თქვენ, რომელიც უნიტარების რიცხვში არ ურეკიხანთ.

— ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ვაი თუ მეც გამჩინონ უნიტარებში. მტარვალებს ცოტა რამ მიხესი ეყოფათ. იგინი დროს ელოდებოდენ ჯავრის ამოსაყრელად და აი ეს დროც დაუდგათ.

— რა იცით, რომ დაუდგათ?

— ეგ ჩემი საიდუმლოებაა, რომელიც ხახვალზედ უარესად მიგოდავს გუფს.

— გიმეორებთ, ბატონო, რომ თუ ყველაფერს არ მეტყუით, იმულებული ვიქნები დაგანებოთ თავი და წავიდე.

— არა, არა, შენ ვერ წასვალ. ჯერ მომიხმინე სათხლავარი.

— აბა სთქვით-რადა.

ღონ განდინო ადგა, დათვალე რა ყველა კარებები და რა დარწმუნდა, რომ არავინ იყო. მოვიდა დანიელთან და უთხრა ყურში:

— ლა-მადრიდი თავის ჯარით რომასს გადაუდგა! დანიელ სინარულით შესტა სელზე; სინარულის დიმილმა გადაჭყნა სახეზედაც, მაგრამ მალე შეიმაგრა თავი, რომ არ შესტყობოდა.

— თქვენა ბოდავთ, ბატონო, უთხრა მან და ისევ დაჟდა სელზე.

— მართალს გეუბნები, დანიელ, ისე მართალს, როგორც

ესლა მე და შენ მარტონი ვართ და ვლამარაკობთ; ჩვენ ესლა მარტონი ვართ, არა?

— დიაღ, ბატონო, მაგრამ თუ თქვენ ვეკლავთ და ჩვენ ვეკლავთ, მასინ სუმრობად მივიღებ თქვენს ღამარაკს.

— არა, ბატონო დანიელ, მე რა სუმრობისა მცხვლა. სომ დი, რომ მე პატარა სახლი ვიყიდე. სახლის მეთვალყურედ ერთი ხნიერი დედა-კაცი დავაყენე. ძალიან კარგი დედა-კაცია...

— სად დედა-კაცი და სად გენერალი და-მადრიდი?

— ვერ გამოგონე. ამ დედა-კაცსა ჭყავს ერთი შვილი, რომელიც ტუგუშანის ჯარში იმყოფება; კარგი შვილია მე და ჩემს დემეტრეს: ნახევარს თავის ჯამაგის დედას უგზავნის. უფროსი ხომ მიგდებ, დანიელ?

— უფროსი გიგდებთ, ბატონო.

— ესლა კი გეტყვი, თუ ეს საქმე მე როგორ შემეხება. ჩემს სახლს კარები ქუჩაში გამოდის. ჭო, ავი დამავიწყდა, მთქვა, რომ ამ დედა-კაცის შვილი წარსულს წელიწადს მოვიდა აქ, გეტყობა?

— განაგრძეთ, განაგრძეთ, მე ვეკლავთ და ვეკლავთ.

— ამ ბოლო თვეებში ბუენოს-აირესის მცხოვრებლებს შინის ზარი დაგვეცა; მე სრულიად ატანა მშინავს არც დღე, არც ღამე. წინად სშირად დავდიოდი ქალაქის სათამაშოდ ჩემს მეგობრებთან, რომელთაც არ უყვარდათ ესლანდელს ცუდს მდგომარეობასედ ღამარაკი, ესლა კი აღარც იმათთან დავდიოვარ; დაღამდება თუ არა, შევიკეტამ კარებსა და ვზივარ მარტო.

— თუ დემეტრე გწამს, საქმეზე იღამარაკი ქალაქის სათამაშობას აქ რა ხელი აქვს.

— მოიცა, ესლავე გეტყვი მაგარად.

— რაზედ, ქალღმადის თამაშობაზედ?

— არა, იმაზედ...

— გენერალ ლა-მადრიდაზედ?

— დიაღ.

— დიდება ღმერთსა!

— დღეს დილის ოთხს საათზედ... მე ჩვეულებრივ არ მუძინა... უტბად მომესმა იგების სმა ცხენისა, რომელიც ჩემის სასლის წინ შედგა. სმლის ჩხარა-ჩხუკედ მივსვდი, რომ ის გაცი ან ოჭიტყვი იქნებოდა, ან სალდათი. სმლის ჩხარა-ჩხუკის გაგონებაზედ ძლიერ შექეშინდა, — და საშიშარიც არის, არა?

— განაგძკო, თუ ღმერთი გწამთ, განაგძკო.

— ესლავ, ესლავ, უური დამიგდე. ცხენიანმა ჩემს მოსამსახურე დედა-კაცს ნიკოლასას დაუგაგუნა ფანჯარა, იმანაც, რა კი გაიგო ვინც იყო, გაუღო კარები. მე ჩემად გამოვედი გარედ და ჟუჟუტანიდამ შევიხედე დედა-კაცის ოთასში და რომ გონივრულად ვინ დავინახე?..

— ჟერ მითხარ და მეტე მეტოდინება, ვინც დანახე.

— შეილი დედა-კაცისა, რომელიც გულში იკრავდა მას. დედა ეუბნებოდა, ღოგინს დაგიგებო, მაგრამ იმან უთხრა, დასაწოლად არა მცადიანს, გუბერნატორთან უნდა წავიდე, რომელსაც ამ რამდენიმე წამის წინად ტუგუმანიდამ გამოგზავნილი ქალღმადები ჩავაბარე.

— განაგძკე, განაგძკე, ბატონო, ვეკლავიერი სთქვი, რატომ კი საქმეს შეეცება.

— შეილმა უთხრა დედას რომ ის ქალღმადები ტუგუმანის მდიდრებმა გამოგზავნეს გუბერნატორსა და ატყობინებენ, რა საქმეც ჩაიდინა გენერალმა ლა-მადრიდასა; დედამ ჭკითსა

რს საქმეო და იმანაც უთხრა, რომ როდესაც ლა-მადრიდა შე-
მოვიდა ტუგუმანში, გამოაცხადა, რომ ამ დღიდან მე როზა-
სის წინააღმდეგ ვიმოქმედებო. ხალხმა დიდის სისარყულით მი-
იღო ის და მთელი იქაურ ჯარების სარდლად დანიშნაო. წარ-
მოიდგინე რა გავლენას მოასდგენდა ეს ჩემზე...

— განაგრძე, განაგრძე, თუ დემოკრთი გწამს, სთხოვდა და-
ნიელ, რომელმაც სისარყულით არ იცოდა რა ექნა.

— სხვა საუფრადლებო აღარა უთქვამს-რას. უთხრა კანდი-
ნომ.

— ეგ უკვლა კარგი. მიუგო დანიელმა, — ვსთქვათ, რაც გე-
ნებად ლა-მადრიდაზედ ითქვა, სრულიად მართალია, მე მაინც
ვერ მივხვდარვარ აქ შენ რა შუაში ხარ.

— მე ისე ვარ შუაში, რომ შექმდე ლა-მადრიდას გადად-
გომისა, გუბერნატორი ძლიერ განჩინსდება და გაურჩევლად
დაუწყებს ხალხს სოცვას და ვაი თუ მეც შეცდომით მომ-
კლან.

— არა, ეგ როგორ იქნება.

— რომ იქნეს მერე?

— მაშ რა ვქნათ, აბა მითხარი?

— აი, გამოგონე, როდესაც მე ციხეში ჩამსმენ გუბერნა-
ტორის ბძანებით ვი არა, იმის მოხელის ბძანებით, მაშინ გუ-
ბერნატორი, რა ვი ვერ გაიგებს ჩემს დატუსაღებას, რადგან
პოლიტიკურის დანაშაულობისათვის არ ვიქნები დატყევილი,
ჩემს წინააღმდეგ მკაცრ საშუალებებს აღარ იხმარებს. მთლად
დატუსაღებულთა ამოყვლა კი, იმედი მაქვს, არ მოხდება.
მე ციხეშიც ისე ბედნიერად ვიცხოვრებ, როგორც ჩემს სახლ-
ში, როდესაც არაფერი მაწუხებს.

— ეგ უკვლადგერი იქნება მართალი იყო, მაგრამ მე რა-

გორ მოკახერსო, რომ შენ ცისეში დავიჭირონ, ბატონო კანდინო? რა მიხედა მოვიგონო?

— მაგახედ ადვილი. რაღას! ესლავე წადი ვიჭტორივასთან და უთხარი რომ მე თქვენ პირადი შეურაცხ-ყოფა მოკახერსო და სთხოვეთ, რომ საქმის გაჩეკამდის ცისეში დამიჭირონ. მე მაშინვე წამაკლებენ ხელსა და წამიფანენ ცისეში. ვიჭნები იქამდის, ვიდრე გამოშვებას არა გთხოვ.

— ეგ ვეკლა კარგი, მაგრამ პირადის შეურაცხ-ყოფისათვის ესლა პოლიციას არ აწუხებენ. მაინც უნდა მოგიხერსო რამ; განაგრძე დანიელმა.

— მე ვიცი, რომ ვეკლაფერში დამკესმარები, ჩემო კეთილო, საყარელო, დანიელ.

— ვეცდები. გინდა იმისთანა პირთან სამსახურად გიმოხონ, რომელთანაც უნიტარობას ვეღარავინ დაგწამებს?

— ეგ ჩემთვის დიდი, უდიდესი ბედნიერება იქნებოდა. მე თავის დღეში ჩინოვნიკი არა ვუოფილვარ, მაგრამ სხვებს კი არ ჩამოვარსები, თღონდ ჩინოვნიკობის ადგილი მიშოვნე და უჭამავიროდაც ვიმსახურებ.

დონ-კანდინო მხურვალის გულისთ მოხვია დანიელს.

— ესლა წადი შინ. ბატონო დონ-კანდინო და სვალ ვიდრე მნახე.

— უსათუოდ, უსათუოდ!

— იმედი მაქვს, რომ კიდევ დილის ექვს საათზედ არ მოხვალთ.

— არა, შვიდ საათზედ მოვალ.

— ეგეც ადრეა. ათს საათზედ რომ მოხვიდეთ, უფრო კარგი იქნება.

— კარგი, სწორედ ათს საათზედ მოვალ.

— ერთს რასმეს ვიდევს ვთხოვთ: არსად არც სთქვამთ, რაც ლა-მადრიდაზედ მითხარით.

— მე გადავწყვიტე ამაღამ არ დავიბნო, რომ მიღშიაც ვიწახაფერი წამოვროშო მაგაზედ. გუფიტები, როგორც პატიოსანი კაცი.

— აქ ფიცი რა საჭიროა, ბატონო, — ხვალამდის მშვიდობით, უთხრა ღიმილით დანიელმა, ჩამოართვა ხელი და გააწილა კარებამდის თავის მასწავლებელი.

— მშვიდობით საყვარელო, კეთილო, დანიელ, ხვალამდის ჩემო მეგობარო, შეილო და მოეკრელო.

დონ-კანდინო გამოვიდა სახლიდან, მაგრამ ისე სიფთხილით ვი აღარა, როგორცის სიფთხილითაც შევიდა, ამისთვის რომ ის მალე იქნებოდა სამსახურში ერთ დიდ პირთან.

— ესაა თორმეტი საათია, ფერმინ, მომიტანე ჭრავი, ან სხვა რამ, მხოლოდ ჩქარა ვი! უთხრა დანიელმა მოსამსახურეს, რომელიც იმავე წამს შევიდა კაბინეტში, რა წამსაც დონ-კანდინო გაუიდა.

— ზოლოვნიკ სოლომონს ბიჭი გამოეგზავნა, უთხრა ფერმინმა.

— წერილიც მოიტანა?

— არა, ბატონო, პირად მითხრა, რომ ზოლოვნიკმა სოლომონმა შემოუთვალა შენს ბატონს, რომ დღეს ოთხს საათზედ იქნება კრება და სთხოვე მოზმანდესო.

— კარგი, მას დროით ჩამაცავი.

თავი მეთორმეტე.

ფლორენსია და დანიელ.

ჰერ მარი საათი არ იყო, როდესაც დანიელ გამოვიდა გარკვეულ საქმეთა მინისტრის დონ-ფილიპე აჩანის სასიძლამდე წავიდა სამსრეთისკენ.

მინისტრთან თავის მეგობარ ედუარდოსად ვერაფერი შეიტყო. დანიელს უფრო უსაროდა, რომ მინისტრმა აჩანამ აჩაფერი იცოდა, თუმცა ის გუბერნატორთანაც ყოფილიყო ამ რამდენიმე საათის წინად და ძლიერად ცდილობდა ვიქტორიკასად ადრე შეეტყო რამე დამალულ უნიტარსად.

დანიელმაც იმიტომ მისწერა წერილები და გაუკეთა მინისტრს ვიზიტი, რომ უნდა დატეხილიყო ვიქტორიკა — იცოდა, რომ რამე ედუარდოსად თუ არა.

დონ ფილიპე აჩანა ძლიერ პატივს სცემდა დანიელის ნიჭიერებას და სწორად მიმართავდა ხალხს მას, როდესაც რამე ქალაქის დაწერა უნდოდა, ან ფრანცუზულიადმ გადამოთარგმნა.

დანიელ შევიდა რეკონკისტის ქუჩაში, სადაც იდგა იმის გულის დიქტო ქალი.

ფლორენსია უკვე რეკალს სტოლს და მოჭმუსვნილის სახით დასცქეროდა ყვავილების კონას. მაგრამ იგი ყვავილებს ვერა ჰხედავდა, არა უნდა იმას სუნს და სულ დონა მარია-სოსეთან სიტყვებსად ჰფიქრობდა. ამასთანავე იგი ჰფიქრობდა ამალიანად, რომელსაც ესლა თავის მეტოქედ რაცვდა.

ფლორენსია ისე იყო გართული ფიქრებში, რომ ვერ შე-

ნიშნა შესვლა დანიელისა, რომელიც მას უცებ თავსედ წაადგა; იმის შესვლა მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც მარცხენა სელსედ აკოცა დანიელმა.

— დანიელ! შეჭყვირა ქალმა და დაიწია უკან. იმის სახეს კვლავინდებურად აღეცისიანობა აღარ ეტყობოდა და ზიზღით უყურებდა დანიელს. იფლავრენსიას სახეს, ნაცვლად მარცხობის სიწითლისა, როგორც ჩვეულებისამებრ მოსდიოდა ხოლმე ამისთანა დროს, სიყვითლე დაეტყო. მან ისე შეაძრწუნა დანიელი, რომ რამდენსამე ხანს გაშეშებულ იდგა.

— კაბალერო,*) დედა ჩემი შინ არ არის, სთქვა ფლორენსიამ დამშვიდებულის ხმით.

— კაბალერო! დედა შინ არ არის! გაიმეორა დანიელმა დასაძრწუნებლად, რომ ეს სიტყვები წარმოსთქვა იმის გულის საყვარელმა—ფლორენსიამ. მე არ მესმის შენი ღაზაზაკის კილო, უთხრა დანიელმა.

— მე თქვენ გითხარით, რომ მარტოკა ვარ და გთხოვთ ისეთის პატივის-ცემით მომეპყროთ, რა პატივის-ცემითაც კაცი ქალს უნდა მოეპყრას.

დანიელ ყურებამდის გაწითლდა.

— ფლორენსია, ან ხუმრობ, ან მე ჭკუა-გონება დამიკარგავს.

— არა, ჭკუა-გონება კი არა, მაგრამ სსკა რამ დავიკარგავთ.

— სსკა რამ?

— დიად.

*) სიტყვა კაბალერო ცივგულობის ნიშანია და ეუბნებიან უცნობ კაცს ანუ ცოტათი ნაცნობს.

— ახა რა, ფლორენსია?

— ჩემი პატრივის-ცემა, ბატონო.

— შენი პატრივის-ცემა, — მე?

— დიად, შენ, ახა რაღას აქნევ ჩემს პატრივისცემას? უთხრა ფლორენსიამ მტირედის ღიმილით და ზიზღით.

— ფლორენსია! მსურვალედ უთხრა დანიელმა ღ მიიწია წინ.

— გთხოვთ ნუ გავიწუდებათ, კაბალერო! უთხრა ქალმა და არ დაიძრა ადგილიდან. თავი ძალდა ეჭინა ამხანტავნულად და ხელი დანიელისკენ გაეშვირა. დანიელმა უკან დაიწია და მარცხენა ხელით დაეჭვინა სელსა, ფლორენსია კი პატარა რგვალ სტოლზედ იყო დაბჯენილი.

წახსუბებუდი შეუვარებულნი რამდენსამე ხანს გაჩუმებულნი შესტყეროდენ ერთმანერთს და ერთი მეორისგან ელოდასაუბრის განახლებას.

— ნება მიბოძეთ, ბატონო, გვითხრეთ, რა არის მიზეზი ამ უბედურებისა, უთხრა დანიელმა.

— მე მაგის ვასუსს არ მოგცემთ, უთხრა ფლორენსიამ.

— მაშ გავიბედავ ღ გეტყვი, რომ ეს წრეს გადასული სუმირობა საშინელი უსამართლობაა, ციკად უთხრა დანიელმა.

— რაღ არის, ეგ არის...

დანიელ განწირულებას მიეცა.

— ფლორენსია, თუ გუშინ ცხრა საათზედ წავედი, ეს იმისთვის, რომ ერთი საჭირო საქმე მქონდა.

— თქვენ ნება გაქვთ, ბატონო, რა დროსაც გინდათ შემოხვიდეთ აქა და რა დროსაც გინდათ წახვიდეთ.

— მაგისთვის გამდლობთ, უთხრა დანიელმა და ტუნზედ იკბინა.

— ნება მიბოძეთ მეც გადავიხადოთ მადლობა, კაბალერო.

— რისთვის, ქალ-ბატონო?

— თქვენის ჰატროსანის ქცევისთვის?

— ჰატროსანის ქცევისათვის?

— თქვენ დღეს როგორღაც კარგად არ გეუწრებათ, კახალერო, ჩემს სიტყვებს იმეორებით, თითქმის მათი დახსომება გინდოდეთ, უთხრა დაცინკით ფლორენსიამ და ზიზღით შეხდა.

— ზოგ სიტყვებს გამეორება ეჭირვებათ, რომ მათი აზრი გავიგოთ.

— აქ გამეორება აწაფერს გიმეკელით.

— რატომ?

— იმიტომ რომ, ვისაც თვალები აქვს, ყურები და ჭკუა, უნდა გაიგონოს, რასაც ელაჰარაკებინან, ყრუს კი...

— ფლორენსია! გააწვევტინა დანიელმა გაჰყვარებულის ხმით, აქ რაღაც უსამართლობა იმალება და გიბძანებთ, რომ ამის-სნათ.

— რაო, რაო, მიბძანებ?

— დიად, ქალ-ბატონო, გიბძანებ.

— ახა ერთიც გაიმეორეთ ეგ სიტყვა.

— ფლორენსია!

— ბატონო?

— ეგ მეტის-მეტია!

— თქვენ აგრე გგონიათ?

— მე გგონია, ეს ან შეუსაბამო სუმირობაა, ან გინდათ ჩხუბის მიზეზი იშოვნოთ, არც ერთი კი თქვენ არ გეკადრებათ. სამის წლის სიყვარული ნებას მამლეკს გკითხოთ, რა არის მიზეზი თქვენის ამ გვარის საჭციელისა.

— ჭოო, მას თქვენ აღარ მიბძანებთ, არამედ მთხოვთ, არა?

გვ სხვა საქმეს, ბატონო, უთხრა ფლორენსიამ და კიდევ ზის-
ლით შესედა დანიელს.

დანიელ გაწითლდა. თავ-მოყვარეობა, პატიოსნება და ყო-
ველნი კეთილშობილურნი თვისებანი აქმლურნენ მას, როდესაც
ფლორენსიამ ზისლით შესედა.

— კიბძანებო, თუ გთხოვთ, გვ რაგორც გნებავდეთ ისე
მიიღეთ, მხოლოდ მე მინდა — გვეურებათ ქალ-ბატონო თუ
არა? — მე მინდა გამაგებინოთ თქვენი დღევანდელი საქცი-
ლი.

— ნუ ჯავრობთ, ბატონო, ყველას გაიგებთ. თქვენთვის
გარკვი სმა საჭიროა და ეგრე რომ ყვირით, სომ სმა წაგვივათ.
გთხოვთ ნუ დაივიწყებთ, რომ ქალს ელაპარაკებით.

დანიელ შეკრთა. ეს მოგონება იმისთვის ყველა ფლო-
რენსიას სიტყვასევე უფრო გულ-მოსაკლავი იყო.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მას მე ჭკუასევე შევ-
შლილვარქ!.. დაიკვნესა დანიელმა, ჩაღუნა თავი და თავლებზედ
სკლები მიიფარა.

ზალაში კიდევ სინუძე ჩამოვარდა. ბოლოს ისევ დანიელს
მა დაიწყო პირველად ლაპარაკი.

— გამიგონე, ფლორენსია, ეგრე უწყალოდ რაზედ მტან-
ჯავ ეჭვიანის ლაპარაკით. ნუ თუ მე ვასუხის მოთხოვნის ნე-
ბა არა მაქვს?

— ვასუხისა? რა ვასუხისა? ჩემის უსამართლობის ვასუხისა?

— დიაღ, დიაღ, სწორედ შენის უსამართლობისა.

— გარკვი, მაგრამ ამაზედ ვასუხის მოტემა სომ სისულელე
იქნება, კაბაღერო! ჩვენს დროში უსამართლობა ყველგან სდე-
ბა, მაგრამ უსამართლობით დატანჯულნი კი ვასუხს არავის
სთხოვენ...

— ებ ეგრეა პოლიტიკურის საქმეების შესახებ, მაგრამ მე მგონია, რომ ესაა...

— რა გგონიათ?

— რომ ჩვენ პოლიტიკაზედ არა ვლაპარაკობთ.

— სტდებით.

— როგორ?

— რასაკვირველია, სტდებით. მე და თქვენ მხოლოდ პოლიტიკაზედ შეგვიძლიან ლაპარაკი; თუ თქვენ არა, მე მაინც ასე ვფიქრობ, რომ თქვენ მხოლოდ პოლიტიკურის საქმეებისთვის დადისათ ჩემთან.

— აქამდის მე მეგონა, წარმოსთქვა ცივად დანიელმა, რომ ფლორენსია დიუზასკე მცირედაც არის თანაურებინობდა დანიელ ბელოს ბედს და ყოველისივეს მოიქმედებდა, რაც კი საჭირო იქნებოდა იმის მეგობრების სიტყვებისთვის და იქნება თვით იმისთვისაც.

— ფლორენსია დიუზასკე ყოველ მაგისტრის მხედ არის.

— არ მესმის!

— მას აქეთ, რაც ფლორენსია დიუზასკემ გაიგო, რომ თუ ბატონს ბელოს გაუჭირდება რამ, იგი ყოველთვის იზონის სახლს, სადაც თავს შეაფარებს და იქნება ნეტარებაში და განცხრომაში...

— მე?

— მგონია თქვენ გელაპარაკებიან.

— ვიზონი სახლს, სადაც ვიქნები ნეტარებაში და განცხრომაში, იმეორებდა დანიელ.

— თქვენ ხომ არ გნებავთ, ბატონო, რომ ეს ყოველივე ძრანდრუსულად გითხრათ, რადგანაც დღეს თქვენ ესპანიური ცრატა არ გეუყრებათ? დიაღ, ესპანიურად გეუბნებით, რომ

თქვენ გიპოვნიათ სახლი მზგავსი სამოთხისა, სამეოფელი ჭე-
იებისა: არ იცით, ბატონო ბელო, სად არის ეს სამოთხე?

— საშინელებაა...

— ზირიქით, სასიამოვნოა. მე იმაზედ გელაზარაკებით, რაც
თქვენს გულს იამება.

— ფლორენსია, თუ ღმერთი გწამს!

— თქვენ არ მოგწონთ, რომ თქვენი თავ-შესაფარი ადგი-
ლი სამოთხეს დავამსგავსებ?...

— თუ ღმერთი გიუყვარს, მითხარი სად არის ეს ადგილი,
ან რა ერთობაა მე და იმ ადგილში?

— თქვენ წრფელის გულითა მკითხვეთ მაგას?

— ფლორენსია, მოთმინება აღარ შემძღიან, საშინელებაა.

— ზირიქით, მშვენიერებაა.

— რა?

— მე სამოთხეზედ გელაზარაკებით. ვინ იცის რა მშვენიერ-
ი ბაღებია იქ, ბედნიერი ხარო თქვენს!..

— სად არის ეს, სადა?

— ქალაქის გარეთ, — ამ სიტყვებზედ ქალმა ზურგი შეაქცია
დანიელს და დაიწყო ოთახში სიარული, ეჭვიანობა კი, ეს სა-
შინელი სენი ტრფიალებისა, უთუთქავდა ფლორენსიას გულს.

— ქალაქ გარეთ! შეჭვივრა დანიელმა და წავიდა ფლორენ-
სიასკენ.

— განა რომ შენ იქ იპოვნე განსასვენებელი ადგილი? უთ-
ხრა ქალმა, მაგრამ გაუფთხილდი კი რომ არ დაგტყრან და არ გა-
მოაშვარავდეს შენი თავ-შესაფარი ადგილი ხიზურებისა, აფ-
თიექებისა და მრეცხავის დედა-გაწყობისაგან.

— ქალაქ გარეთ! დაჭრილობა! მე სული ამომივსა, თუ ვარ-
გად არ შემატყობინებ ამ საქმეს.

— ანა, ან ამოგივა სული. ენადე მანც რომ ან მოკვდე ამ შენთვის საუკეთესო დროს. მე სრულადაც ან შეეშინდები, რომ შენ მარტყენა ფეხში დაიჭრა; საშინელი ჭრილობაა ხმლით დაჭრილობა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ისინი დაიღუპნენ, სწორედ დაიღუპნენ!.

ორთაშუა კიდევ სინიჟე ჩამოვარდა. თუმცა ისე უყვარდათ ერთმანერთი, რომ მეტი სიყვარული შეუძლებელი-და იყო, მაგრამ ერთმანერთს მანც შეუბრალებლად სტანჯავდენ და ამის მიზეზი წყეული მარია-ხოზეია იყო.

სინიჟე დიდ ხანს ან გაგბძელდა. დანიელმა დაუხრქა ფლორენსიას წინ და მოხვია ხელები წელზედ.

— თუ ღმერთი გწამს, ფლორენსია, შეჭვირს დანიელმა და უფურცბდა საყვარელს ქალს თვალებში, თუ შენი თავი გიყვარს, რომელიც ანის ჩემი ზეტა, ჩემი ღმერთი, ჩემი ქვეყნა, — გამაგებინე ეგ საიდუმლო სიტყვები... მე შენ მიყვარხარ, გაღმერთებ შენ. ჩემო სიტყვებზე, ჩემის გულის უკვდავების წყარო, მეწმინდე რომ ჩემო სიყვარული ისე გეკუთვნის შენ, როგორც გეკუთვნის შენი სული. შენზე უძვირფასესი აღარა-ვინა მყავს ქვეყნაზედ. მაგრამ... მაგრამ... განა დრო ანის ესლა სიყვარულზედ ღაზაზაკისა, როდესაც ბეკრს მართალს კაცს სიკვდილი თავს ადგია და იქნება თვითონ მე! მაგრამ ან გეგონოსა კი, რომ ჩემს სიტყვებზედ ბეკრსა ვთქვამდე. დიდი ხანია ჩემი თავი გამიწირავს, დიდი ხანია მომაკვდინებელ ბრძოლას ვუწევ ჩემს მოწინააღმდეგეს, რომელიც ჩემზედ ბევრით ძლიერია. გამიგონე, ფლორენსია, გამიგონე, ამისთვის რომ შენი სულიც სრულად მე შეეკუთვნის, და მე, როგორც ღმერთს ღოცვას, განდობ ჩემს საშინელს საიდუმლოებას: ესლა განსაცდელშია ეღუარდოს და ამალიას სიტყვებზე. მაგრამ

იმათი სისხლი მხოლოდ მანძინ დაიდურება, როდესაც ჩემიც დაიდურება, და სანჯალმა, რომელმაც უნდა გაჭტომიროს ედუარდოს გული; უნდა გაჭტომიროს ჩემი გულიც.

— დანიელ! წამოიძახა ფლორენსიამ და მოესვია დანიელს; თითქოს ეშინოდა, რომ სიკვდილმა არ გამომტაცოს სულიდა-მალ. ფლორენსია განთავისუფლდა ეჭვისაგან.

— დიად, განაგრძო დანიელმა და არ უშვებდა სულიდამ ფლორენსიას წელს, — დღეს ედუარდო უნდა მომკვდარიყო და მე ის ძლივს გადავარჩინე, თუმცა ძლიერ დაჭრილი ვი არის. ის უნდა დამემალა სადმე, რადგანაც მკვლელები რომსის აგენტები იყვნენ, მაგრამ არც ჩემთან და არც იმის სახლში ედუარდოს დამალვა არ შეიძლებოდა.

— ედუარდო დაჭრილია!... ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა ცუდი დღე გამოიქნა! სომ არ მომკვდარა?

— არა, ჯერ განსაცდელს გარეთ იძეოფება. მაგრამ გამიგონე... ის უნდა დამემალა სადმე და წავიყვანე ამაღიასთან. მარტო ამაღია-ლა მყავს დედი-ჩემის ნათესავი და ის არის ერთადერთი ქალი, რომელმაც შენს შემდეგ მიყვარს, — მიყვარს როგორც და, როგორც კეთილს მამას უყვარს თავისი ქალი. ღმერთო ჩემო, მე ის განსაცდელში ჩავაგდე, ის, რომელიც ისე მშვიდად და ბედნიერად სტროვრობდა!

ღავსო, რომ კაცს მარტო გონებას უბნეკს. თუ დაჭსტინის
რასმე, ან ვისმე აქ ბ. ყიფშიძე, მარტო საკუთარ უმეტრებას
და თავის-თავს დაჭსტინის და აი რისთვის. მართლაც რომ იმას
ესმოდეს ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა, როგორ გა-
ბედავდა და შეურაცხ-ყოფით მომისკენებდა იმას, რაც კი შე-
ადგენს უმთავრესს კაცობრიობის ჭეშმარიტებას, მის უკეთესთ
წარმომადგენელთა და გენიოსთა ნაღვაწევს. იჭნება ბ. კრიტი-
კოსს ჭგონია, რომ აწინდელი მეცნიერული ფილოსოფია სჭრ-
ლასტიკების ყბედობას ჭგავს და, როგორც ეს, ისე უნაყო-
ფო, უნიადაგო არის. თუმცა კი რა საკადრისია ამისთანა ტი-
ლი შეაწამოთ იმისთანა ვეამსა, რომელსაც თითქმის ყოველი
სიტყვა კონტის, ბოკლის, კრუკისის სასულით მოჭყავს, მაგრამ
მანც სწორედ ასეა. თუ არა და რა გააბედვინებდა მეცნიერო-
ბის გაკიცხვას, განდექნას.

რომ მართლაც ეს ასეა, უფრო ბეჭითად გვიმტყვიტებს ის,
ასე ვთქვათ, დედა-აზრი კრიტიკოსისა (თუ საერთოდ რამე

დედა-აზრის ამ ნაწიქში); რომ ჩვენმა ახალ-გაზდობამ უნდა
 დაანებოს თავი თეორიული განვითარებას და ეცადოს სამ-
 შობლოში დაამყაროს ეტნოგრაფიული, ეკონომიური და სო-
 ციალური მეცნიერება, შეისწავლოს თავის ქვეყნის ხსენებულთა
 მხარეთაგან. კეთილი და პატიოსანია ეს უგანსკენელი მოსაზ-
 რება მცოდნე გონიერის კაცის ხელში. მაგრამ როცა ამასვე
 გვაუწევებს ის გვაძი, რომელსაც იმავე დროს თითქმის სამ-
 შობლოს დალატობად მიანჩნია თეორიული განვითარება, მა-
 შინ ჩვენ შემო-მოუყვანილი სიტყვები მარტო მასლათის მასა-
 ლად მიგვანჩნია, მარტო უმეტეს კადნიერებად ვრაცსავთ. მარ-
 თლაც მსოფლოდ ვის შეუძლიან ამ მეცნიერებათა დაფუძნება
 სამშობლოში? ნუ თუ იმას, ვისაც თავის სიცოცხლეში გაუ-
 გონია ერთად-ერთი მოსუტებულ შაჰისა და სოფლის ჩანჩნავ
 მამა-ბებრთაგან ნამბობი «გმირის ვრკვეს ლაშქრობა», ვისაც
 «ესატება გონებაში მისი(?) ჯანვით სავსე მსაჯული ლეონიძე,
 მდევი დავით აღმაშენებელი, ბრძენი თამარი, დიმიტრი თავ-და-
 დებული» და ვისაც მარტო ამითი «უველაფერი გაუგია... სუ-
 ველაფერი უგრძენია, თვალები აუსკლია» (იქვე, გვ. 98). აი,
 მკითხველო, თურმე რა უოფილა ჩვენის გონების გასახსნელი
 განმავითარებელი საგანი; აი თურმე ის, რის მეორებითაც შე-
 იძლება დაფუძნება სოციალოგიისა და სხვა მეცნიერებისა. რად
 გვინდა ჩვენ «დამშალის ეკროპის» განვითარება, ჩვენთვის სრუ-
 ლიად სამოოფია გადაურეებულ შაჰების დედა-ბებრების უურის-
 გდება—ისინი გვასწავლიან უველაფერს: ჭკუასაც ისინი გაგვი-
 ვითარებენ, ეთნოგრაფიასაც, სოციალოგიასაც, ისტორიასაც—
 ისტორიას ხომ რაღა ლაშარაკი უნდა—ისინი ჩავგავგონებენ.
 მსოფლოდ ერთი მაკვირვებს, რატომ კრიტიკოსს აქვე არ ჩა-
 ურთვია «ყარამიანი» და „ამირანიანი.“ „აქ უნდა კალამი შე-

„კახელო“, განაგრძობს ბ. უიფშიძე, „რადგანაც ჩვენ იქ ხელი არა გვაქვს, სწამს პოეტების შეფობა იწყობა. შევჩერდებით ღმერთსკელთან ვი ბოდიშს მოვითხოვთ, თუ იგი ვერ მიხვდა ვიდეო, რას ვეძახით ჩვენ მშობლიურს, ღვიძლს სტიქიონებს“ (იქვე). თუმცა სასირცხვილოა მიუსხედრებლობა, მაგრამ რასა იქ: ჩვენ გულ-წრფელად ვაღვიარებთ, რომ სულაც ვერ მივხვდით ამ პოეტურის აღწერის შემდეგ, რა არის «მშობლიო სტიქიონები,» და როგორც რომ ავიცდინოთ ეს არა სასიამოვნო ეპიტეტი, მოვძებნოთ ჩვენის კრიტიკოსის წერილში სხვა ნაწილებიც, რომელნიც უფრო აშკარად, ჩვენდა გასაკებლად, აგვიხსნიან ავტორის აზრს.

«მშობლიურს სტიქიონებს ჩვენ კერძოდ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, მაგრამ ხათხათა ის არის, რომ ეს ერთი იმ საგნთაგანია, რომლის წარმოდგენა უხეიროთა გვაქვს გამოხატული, მხოლოდ ვგრძნობთ ვი ძლიერ. ისე რომ მეცნიერული ღვწავა თითქო არ ეკარება ამ საგანს... უკვლამ იცის ამ მხრივ მეცნიერებამ რაც გამოიკვლია.» (იქვე 95—96).

რის სავარგისია ეს უაზრო სიტყვის ხროვა, რა ასხნა მითი ავტორმა? მარტო ერთი: სტიქიონების წარმოდგენა უხეიროთა გვაქვს გამოხატული, მხოლოდ ვგრძნობთ ვი ძლიერაო. თუ თითონაც არ იცის სტიქიონები რა ხილია, მაშინ ვამ გაბედვინა მას ზემო-მოყვანილი თამამური დაცინვა იმ პირთა შესახებ, რომელნიც ვერ დაკმაყოფილდნენ ბ. კრიტიკოსის მრავალ სიტყვიანის ახსნით. უპირველესად ბ. უიფშიძეს თავის-თავთან უნდა მოეხადნა ბოდიში და სხვების მაგიერ თავისი-თავი წარმოედგინა მიუსხედრებლად. «ვგრძნობთ ვი ძლიერად», — იმას ვი აღარ ჭკითხულა, სხვანიც ისე ძლიერად გგრძნობენ, როგორც ბ. კრიტიკოსი, თუ არა. რასაკვირ-

ველი, ეს სხვანი დავაგუენი არიან სამშობლოსათვის, მაგრამ რატომ ბ. უიფშიძე არ ეცადა და არ მოიპოვა წაწმენდილი სული მათი მამულისათვის. აქ ავტორს კაი შემთხვევა ჰქონდა ცოტადენით მაინც შესწევნოდა თავის ნაციონალურს მეცნიერებას და გამოერკვივნა მეითხველისათვის „მშობლიური სტიქიონები“; ბევრიც ეცადა, მაგრამ მეცნიერული რომ ვერა მოასერსა-რა, ხეპრულის რუსულის ანდასით ისინა თავი ამ გაჭირვებიდგან: Что для нѣмца (нѣмцу) здорова(о), то для русскаго (русскому) смерть. ახა როგორ კადრება გონის, ბოკლის, სპენსერის მასსენებელს ამისთანა ველური სიტუვები; მაგრამ რასა იქ: რა უნდა ეკითხოს იმ კაცსა, რომელსაც რიგინანდ არა უსწავლია-რა, არა გამოუგვევია-რა, რომელსაც ხეპრული ანდასები და მეცნიერული ტემპმარტებანი ერთმანერში დომსალივით აურკენა.

ამითი მინდოდა გამეთავებინა ბასი ბ. უიფშიძესე, მაგრამ ორიოდ მაგალითს კიდევ მოვიყვან „თავიდან თუ ბოლოდგან“-ის ავტორის უთავ-ბოლოობის დასამტკიცებლად; ეს მაგალითანი ამოიგრიფებინ წერილის იმ ნაწილებებიდგან; რომელნიც შეეხებინ სტუდენტობას:

1) სტუდენტობას სურვილი აღძვრის და სული-მწარით მოუნდომებია შესწავლა საქართველოსი, მისი ისტორიული ცხოვრებისა და აწმყო კვონომიური, ეტნოგრაფიულ და სოციალური მდგომარეობისა“ (გვ. 86).

2) ახა ახლა გადაკავლოთ თვალი ჩვენ სტუდენტობის მდგომარეობის სურათს, წარმოგვიდგენს თუ არა იგი ამ ხანს (ესე იგი მამულისათვის მსრუნველ) მიმართულებას, მიდრეკილებას და დტოლვილებას. ამ კითხვაზე, საუბედუროდ, დაბეჭდილებით ვერ იტყვი ჰოვო“ (გვ. 90).

3) მე მწამს რომ სტუდენტობა საზოგადოდ აღარ აღ-
გას თავის ქვეყნის შესახებ უმეტრების გზას და ეს ისეთი
წიშანია, რომელსაც გულის ძეგრით და აღტაცებით უნდა ვე-
გებებოდეთ» (92) და

4) «ახალ-გაზდობა საზოგადოდ და სტუდენტობა გერ-
მოდ, გარყვნილი აღზდისაგან, იუბ-ქვეშ უამიხს ნიადაგს მოკ-
ლებული, თავის დღეში ვერ შესძლებს შეასრულოს თავის მო-
ვალეობა სამშობლოს წინაშე. უცხო სიყრასში და უცხო სტი-
ქონების გავლენის ქვეშ აღზდილს, მას შეაქვს მშობლიურ
ცხოვრებაში განხეთქილება და უბედურობა, ლიტერატურაში
წვრილმანობა და მონური მბამკელობა» (გვ. 117). — ესვე გას-
ლავსთ ბ. უიფშიძის დედა-აზრი, მის წერილის დაბოლოები-
თი დასკვნა. ამ შემთხვევაში გიტატებს არავითარი დამა-
ტება, ახსნა არ უნდა. მართლ ერთი გვაკვირვებს: რატომ ბ.
კრიტიკოსს და მის მგზავსებს აქამდის თხოვნა არ შეუტანია
მთავრობასთან, რომ აეკრძალოს ქართველებს სწავლა გიმნა-
ზიებში და უნივერსიტეტებში — თორემ სომ სულ დაიდუშა
სამშობლო.

II. ეკონომისტი. «ერთი ჩვენი ლარიზობის მიზეზი»
მის. გურგენიძისა. «იმედი» 1881 წ. № 1.

ეს წერილი ზორობით, გარეგნობით სრულიად სხვაა ბ.
უიფშიძის წერილთან შედარებით: იქ შინაარსის დედა-აზრის
ხელში ჩაგდება ფრად ძნელი იყო, აქ უადვილესია; იქ უკვლავ
სიტყვის საფანჯად უცხო-ენური ანდაზები მოზღვედა, აქ ყო-
ველთავის გასაგები, უმზაკვრო ბჭობაა; ვერც ავლომერატებს,
ვერც eo ipso-ებს ვერ იზოვის ვადი ამ ეკონომიურ ტრაქტატ-
ში. მაგრამ სიმართლეა რომ ყოველთავის ღირსება არ არის;

ღირსებად ის მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა რამე ძნელად შესათვისებელი მეცნიერული ჭეშმარიტება ყოველად გასაგებ ადვილის კილოთი გამოითქმება. თუ არა და კაცს რომ სათქმელად უნდაღეს რაჟერ რაი ოთხიანა, ან წელიწადს ოთხი დროთა განყოფილება აქვსო—აბა აქ რა ღირსება უნდა იყოს. ბ. გურგენიძის თხზულებას სწორედ ამ გვარი უგუთქმითი ღირსება აქვს. კაცი რომ კითხულობს, ვთქვათ, მისუან ჩვენის ქვეყნის ბუნების აღწერას და იქვე ჩართულ ჭეშმარიტებებს, როგორ წარმოადგენს, რომ ეს ნაბღაჯნი სრულის წლოვანისა და არა უსუსურის ბაღლისა, რომლისათვისაც მასწავლებელს თქმად მიუცია ბუნების აღწერა. აი რაიოდე შეუღარებელი მაგალითი ამისი:

1) «შესდეთ მთებს და ჭალებს: იქ სედავთ მოუღეველს სე-ტყეს და ხშირად ამ სეებში (?) ნაყოფიერს მცენარეებს, რომლებიც არ ითხოვენ...» (გვ. 63). 2) წელიწადსა აქვს ოთხი დრო: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.» (გვ. 64). 3) «ყველა სიკვდილის შვილები ვართ და კვდებით, ამ განსხვავებით მხოლოდ, რომ ზოგი ადრე კვდებით, ზოგი გვიან.» (გვ. 73). 4) «ბუნებამ თავისი ჭქნა: ცოლ-ქმარს დაებადა შვილი.» (გვ. 66). მაგრამ ამ უმანკო ჭეშმარიტებებს რომ თავი დავანებოთ და თითონ თხზულების შინაარსს რომ მივხედოთ, რა საშინელს უმეცრებას, სიბრძივეს შევხედებით! წარმოსადგენი არ არის, საღის ტვირის პატრონმა ეს საზოცარნი, ახირებულნი, ვითომ ეკონომიურნი ჭეშმარიტებანი როგორ უღვიარა ჟერ კიდევ არ შეშლილს მკითხველს. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, კუმ იყენი გამოჭყეო: მეც ნახირ-ნახირა. ღიეტრატრობის სახელი ძალიან სასაქადულოა, მეტადრე იმისთანა ზღუდეში, როგორც ეკონომიური მეცნიერე

ბაა, და აბა ბ. გურგენიძეს როგორ გაეშვა ხელიდან შემთხვევა და სახელი თვისი არ განეძლიერებინა ქართველთა მკითხველთა-შორის — თითქო «იმედის» რედაქტორობა საძეოფი არ იყო იმის გასათქმელად. ამასთანვე ბ. გურგენიძეს გაუძაძღარი სურვილი ჰქონია, საქართველოს კეთილის-მყოფელების სახელიც დაეირქვაო. ბევრი უფიქრია ღ ერთს, სწორედ სომხურ, გაჭრულ ზომიერებასედ შემდგარა. მოდი და ხაღხს ფულის შექმნის საშუალებას ვაჩვენებო, რომლის მეოხებითაც მის ჯიბეში დაჩნება... შვიდი მილიონი და სუთას-ათასი მანათი (7,500,000 მან.) არც მეტი და არც ნაკლები. რა ეაი ფულიაო, აღტაცებით გასძახის ბ. ეკონომისტი. აბა, მკითხველო, მართლა რომ ვინმემ ერს ამოღენა ფული შესძინოს — ქვეყნის კეთილის-მყოფელი არ უნდა დაეჩქვას! შენც, რასაკვირველია, მასთან გეჭაშნიკებოდა ეს უჩარ-მასარი თანხა და დიდის ინტერესით იკითხავ, რა უჩინ-მანინას ქედია ეს საშუალებაო? ვერაფერი ხერხინი, მასვილი მოგონილება ბ. ეკონომისტის წინადადება და დაწმუნებული ვარ, რომ მკითხველი მის ნაწერისა უფრო მეკვასედ, ქართველად შემოგობს ავტორს, მაგრამ რასა იქ, რატა კაცმა რაიმე მოვლენის გაჩხრეკა იკისრა, უნდა დაბოლოვოს კიდევ. მეორეს მხრით, საინტერესოა ჩვენება იმ გაუწოდმელის სიბრიყვისა, სადამდისაც მიაღწია ბ. გურგენიძის ახირებულმა ეკონომისტობამ. საქმე ის გახლავს, რომ რაიმე ძალით მოაშლევიონოს გლეხობასაც და «კეთილშობილთაც» ნათლობა, ქორწინობა, ხაღხის დღეობა, მეკდრის დამახვა — თვით წესი კი არა, მხოლოდ ის ნადიმობა, ღხინი, თამაში, რომელიც მოზდეკს პირველ სამ ჩვეულებას და მიცვალებულის რიგსაო. რად უნდა, რომ ტუეილად მხიარულობს, თამაშობს, ბღღამუნობს, სიმღერას გასძახისო, ეს ხომ სულ

ფულეი ღირსო. რამდენი ღობიო იჭმევსო, ჭურჭელი იმტრეკა, სტაქანი ილეწებაო — მერე ამ ძვირობაშიო. ეს ამოდენი ხარჯი რომ იცილოსო, რამოდენა სიმდიდრეს შეიძენს ჩვენი დაჯარდნილი სამშობლოო.

საკვირველია, რომ ბ. გურგენიძეს ის ვი აღარ ვამოუხებარი შევბია, რამდენი ძარღვის ძალა ეკარგება თვითთულ მოღსინეს ამ სიმღერაში, სადომობაში. ეს ძალად რომ ჩვენ ეგონომისტს ფულად გადაექცია, ერთი სამი მილიონი მანათი კიდევ მოემეტებოდა ზემო-მოუვანილ ჯამს; და რამდენი ჭკვიანი მამულის შვილი ვაიზდებოდა ამ სასსრით, როგორ გამრავლდებოდა ჩვენი იმედნი და რა რიგად ადომინებდენ ნაციონალურ ნიადაგს. რასაკვირველია ეს მეცნიერებით შეჭურვილი გვამნი საღხს იმასაც აუწუებდენ, რაც ბ. გურგენიძეს დაიწყოება; მაგალითებრ, რამდენი ფეს-და-ტან-საძმელი უფუჭდება მას ჭიდაობაში, სირბილში, ტეკვაში და სხვ. უეტკელია, რომ მამინ კაცი უსარგებლოდ იქნება აღარ გადასდგამდა; აღარც გაიცინებდა, აღარც სიმღერას შესძახებდა; ფოკელს სიტუევას ბაჟი დაედებოდა — აქაო და ძალა მაკლდება, ხარჯი მომდისო. მაგრამ ხუმრობას რომ თავი დავანებოთ და დალაკებით ეკითხოს ბ. ეკონომისტს, რაღას უჩვენს ის გლეხ-კაცობას სასინარულოს, სანუგეშოს. ბ. გურგენიძის წინადადება რომ ასრულდეს როგორმე, რილათი უნდა განსხვავდებოდეს მამინ ეს ჯაფის მონა თავის საქონლისგან, თთხ-ფესის ზირუტყვი ხაგან? მაგრამ იქნება არც კი ღირს ამ მონაზე ლაპარაკი. იქნება მართლად ღმერთს გლეხ-კაცი იმიტომ გაუჩენია, რომ სხვა და-სხვა გვარ ხალხის მომღვრებს გაუსუქოს მუდგელი, გაუმხოს ჯიბე, მისცეს მათ შეძლება შეიღებოთ მეცნიერად აღზარდონ. სწორედ ასე ფიქრობს ბ. გურგენიძე, სწორედ ხალხი

კრძნობელი, უგულო მსუცხი ყოფილა, თორემ რა ეშმაკი და
 აწი დააწერიებოდა ბ. ეკონომისტს შემდეგ სიტყვებს: «ჩვენ
 სძლივად გიციოთ, რომ აწამც თუ ნაწნობები და მეგობრები,
 რამედ თვით სათესავებიც გაუბედურებულის ოჯახისა ქველსში
 კოფნას აძლევენ ხოლმე «თვალ-წყალის დაღვეინებას», «თვა-
 ლის გასკლის» მნიშვნელობას... — არც შებრალება და შეცო-
 ჳება გაუბედურებულის ოჯახისა, არც სსკა-ფრეივი თანაგრძნობა.
 იერმე არა ჭქონია გლეხობას. ბევრჯერ შეუნიშნავთ შინაურ
 და გარეულ მაიმუნების ცხოვრებაში, რომ როცა მათ შორას
 შეგდება ვინმე, ერთობ საშინელ სიმწუნარეს, ძახილს ასტე-
 ჳენ ეს პირუტყვი; ბ. გურგენიმე ამ ღიწკებასაც კი ართმევს
 ღვეს-კაცს.

აქამდის მოხსენებულადგანაც ცხადადა სჩანს გონებით სი-
 ტაკე ბ. გურგენიმისა, მაგრამ მკითხველი რომ უფრო უსა-
 ლოდ, უეჭველად დარწმუნდეს მის ბავშურს უმეტრებასა, ერთ
 წუთს კიდევ შევჩერდეთ ამ ანგარიშზედ, რომლის შედეგიც
 შემო-მოყვანილი 7,500,000 მანათია. აქ საინტერესო ეს რიც-
 ჳი კი არ არის: შვიდა მილიონი იქნება, თუ შვიდასი — ეკ-
 ულ ერთია — ორთავეში ერთი ბეწვა სამართლედ არ იქნება;
 უფრადდებო ეს არის, როგორ გამოიყვანა ბ. გურგენიმემ
 თანხა. მაგალითად ავიღოთ ნათლობა. ამ წესის აღსრულე-
 შში ჩვენს სალხს ეხარჯება 1,200,000 და აი რა ანგარი-
 შითა:«თავად-აზნაურების, ჩინოვნიკების და სამღვდელთა-
 ის თითო ნათლობის გადასდა ყდება... ოთხ თუმანამდის,
 ღვეს-კაცობის ნათლობებიც არ დაჯდება ნაკლებ ორის თუმ-
 მის თითო. ზედი-ზედ რომ ავიღოთ... თითო ნათლობა
 ყდება სამი თუმანი» (გვ. 68). რასაკვირველია მკითხველი
 თუ ის გონებით ჩვენს ეკონომისტს არ ეშგავსება) უკვე მის-

გვლებოდა ამ ანგარიშის იაღლიშობას, სიფუტქეს: ეს ზედი-ზედ
 ადებს და თითო ნათლობის სამ თუმნად ღირებულა მამის
 იქნებოდა მართალი, როცა ნათლობის რიცხვი გვებსა ჯ სხვა
 წოდებათა შორის თანასწორე იქნებოდა, ესე იგი ბ. გურგენი-
 მისაგან მოყვანილი 40,000 ნათლობიდან რცხ ათასი რომ
 გვებსობის უფილიყო და რცხ ათასი—სხვა წოდებათა. თუ
 არა და პირველ კატეგორიის ათ ნათლობას მეორე კატეგორი-
 რიის ერთი რომ შევხედეს, მაშინ თითო ნათლობა სამი თუ-
 მანი კი არ დაჯდება, არამედ ნაკლები, სახელდობრ 21 მან.
 და 88 კაპ. (ვინ იცის, იქნება ამ რიცხვის მნიშვნელობა
 ესმის ბ. კონომისტს).

საკვირველია, ღმერთმანი, ჩვენს პატრიოტების საქმე:
 როცა ვინმე ეკროპიული დაიწყო სამართლიან ღაპარაკს ჩვენს
 უმეცრებაზე, გაუნათლებლობაზე, მათის რაზმებიდან გამომ-
 მანდობან სოღმე სიამაყით შეჭურვილნი მეომარნი და ქვეყნის
 ღაფს თავზე ასხმენ ამ უბედურ ეკროპიულს. მაგრამ სინდის
 ქვეს რომ ვთქვათ, არა ვართ ღირსნი თვით იმ უცუდისა
 რასაც ჩვენზე ღაპარაკობენ? როცა ჩვენში სხვა-და-სხვა გურ-
 გენიძეები ლიტერატორობენ, ბუტდვენ უურნალებს, ცაღკე წი-
 ნებს, რატომ მიწა არ გასკდება ჯ თან არ ჩაოტანს ჩვენს უ-
 ცარს ამაუობას და ამაუს უმეცრებას!

აქვე მინდოდა ერთი ბელეტრისტიკული მაგალითიც
 შეყვანა, მაგრამ, სუძრობა გაშვებით, მეშინიან რომ მეტწი-
 ლი არ დამემდურკოს—ახალი თქვი რამეო, მაგას ხომ ჩვენ
 ვხედავთო—რა რომანისტიებიც გვეყვანანო. ვხდა თვითონ ჩვენს
 სწორე გითხრათ, არავითარნი სურვილი არა გვაქვს მათზე
 ასის გაბმისა—ოღესმე ამ საგანზედაც მოვიღაპარაკებთ.
 მხოლოდ საერთოდ ის უნდა ითქვას, რომ ჩვენი ახლად

მოჩეული რომანისტები სამინლად დალატობენ სიმართლეს, ცხოვრების სინამდვილეს. აქაც, როგორც სხვა ლიტერატურულ სფეროებში უხეიროდ, მოუხერხებლად ჰბამაკვენ რუსულის ბელეტრისტიკის აწინდელ მიმართულებას. გაუგონიათ და იქნება წაუგითხავთ კიდევ, რომ ხალხი, დაბალი ხალხი, გამსდარს თქმად ამ ქვეყნის უმკვობესთ მომთხრობთა და თითონაც დაუუენებლივ გვიძღვნიან სურათებს ხალხის ცხოვრებიდან; ისეთის დაწვრილებით გვაუწყებენ სოფლელების ცხოვრებას, იმედებს, მიმართულებას, თითქო მთელი გლეხობა ხელის გულზე უყვდეთ მათ. მაგრამ ვისაც კი ცოტა მანც გაუგონია ხალხი, ვინც კი დახსლყოფით იცის,—რას სიფრთხილეს ხმარობს გლეხი არა-გლეხთან ლაშაწაკში, როგორ უკვლავურში ეთანსმება გარეშე პირს,—იმას, რასაკვირველია, სანდოდ არ მიანდება სხვა-და-სხვა შაქროების, მოჩხუბარბეების ნაწარმოები. მერც რას საოცარნი მოძქედნი პირნი არიან გამოხატულნი ამ რომანებში; ავტორის პირველივე სიტყვებიდან ხედავს მკითხველი, რომ ესა და ეს გამოხატული გეამი ბოლომდის უთუოდ კეთილი უნდა იყოს, ესა და ეს უთუოდ ბოროტიო; პირველი ისე ნაბიჯს არ გადასდგავს, რომ კეთილი, მატონსურნი არა მოახდინოს-რას, მეორეს უოკელ სიტყვაში, მოძქედებაში ბოროტობა, კესლიანობა უჩანს. გამოუვანილია, ვთქვათ, პრისტავი—ეს უბედურნი ძალიან ამოჩემებულნი არიან ჩვენის რომანისტებისგან—ის უოკელ ცხოვრების მოკლენას ქრთამით და ამის რადენობით ზომავს. კაცი რომ წყალში იღწრობოდეს ხელს არ განძრევს, თუ გასასაზნავს არ დაჭვირდენ. თუ ვნაისია გამოხატული, უთუოდ ხალხის მცარცველი უნდა იყოს, თუ ვნაყნა—თავ-მსუბუჭი და გლეხთ-მზიზდარი; ამისთანა სურათები ნამდვილის ცხოვრების შესაფერნი კი არ

არის, არამედ უნიადაგო, არა ცხოვრებაზედ დაფუძნებული.

აბა რაღა ღაპარაკი უნდა, რომ ეგრე ამ უმეტეს ლიტერატურის ნაწილში «მოიპოვებს თავსა თავისსა» ჩვენი მართლმადიებელი სახლ-გაზდა. აქ არა თუ უგვდავების წყაროს, არამედ უბრალო წუმპესაც ვერ წაწყდება თავის წუთწვილების მოსაკვლელად. იქნება მწერლობის დანარჩენმა დასმა დაეყნოს ის ნამდვილ გზაზე, უჩვენოს ცხოვრების ღირსეული მიზანი.

საერთოდ რომ ითქვას, ამ დასში მოღვაწეთა პირთა მოსაზრება უფრო რიგიანი, დალაგებულია; მათ ეტყობათ მეტი გამოცდილებაც, მეტი ცოდნაც. მათი დედა-პაპები უფრო შესაწყნარისნი, სამართლიანნი არიან. საუბედუროდ ამ პატრიოსან მოსაზრებას ხშირად ისეთი ცალ-მხრივი გატაცება დაეკრთის ხოლმე, რომ გამოუცდელ მკითხველს ჰგონია, ვითომ მარტო აქ გამოხატულის აზრების განხორციელებაშია ქვეყნის დასხნა, გაბედნიერება, თითქო კაცობრიობაში მხოლოდ ისინი სწარმოებდენ, ბრუნავდენ; თითქო მარტო მათზეა დამყარებული საღისის კეთილ-დღეობა, განთავისუფლება. სწორედ ამ კილოთის დაწერილი «განმარტებითი წერილი» დაბეჭდილი შარშანდელ „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში. უმთავრესი აზრი ამ წერილისა ის არის, რომ ჩვენის ქვეყნის ბედნიერება, წარმატება მარტო სახალხო სკოლებზეა დამყარებული, მარტო ამ საქმის ფრთად განძლიერება ადლორბინებს სამშობლოს, აყვავებს მომავალსაო. სოფლის სკოლის გარეშე შეკლა არ არის, არა თუ მარტო ჩვენის ქვეყნისათვის, არამედ მთელის კაცობრიობისათვისაცაო. ამიტომაც განათლებულმა სამშობლოს მოყვარე საზოგადოებამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმესაო. აბა რაღა ღაპარაკი უნდა, რომ ჩვენ დიდის სიხარულით მიგვიგებ-

ბით ავტორის მიზანტოებას—სასაღსო სკოლას შეეწიეთო, სუ-
ლი გაუმართეთო; მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სკოლა მარ-
თლას იყოს კაცობრიობისათვის ყოველად გამეურნავი უკვდავე-
ბის წყარო, არა, შთაღოდ იმიტომ რომ ცხოვრების წარმა-
ტებაში სასაღსო სწავლებლებს არ უჭირავთ უკანასკნელი აღა-
გი, თუძცა კი არა პირველი. მართლაც და რა შეუძლიან მსო-
ლოდ სკოლას საღსის აღზრდაში? რა შეაქვს კაცის ცხოვრე-
ბაში მას იმისთანა, რომ გადასწავთეროს იგი, გააუმჯობესოს,
ზნეობრივი კეთილშობილება მიანიჭოს? რომ კიდევ წარმო-
ვიდგინათ უმშვენეურესი, ყოველისგანით შემკობილი სასოფ-
ლო სკოლა, რის მეოხებით გამოსცვლის ის თავის მოწაივეე-
ბის სასიათს, მიმართულებას? ყმაწვილის ზნეობრივის აღზრდით?
ყოველად შეუძლებელია ესლა ამ გვარი აღზრდა, იმიტომ რომ
კაცთა ურთი-ერთობა თავის ძალოვნის მაგალითით მეტად
ეწინააღმდეგება ზნეობის პრინციპებს, რომელთაც, სხვათა შო-
რის, ისტორიაში არაოდეს არა ჭქონიათ რაიმე შესანიშნავი
გაკენა. როგორ წარმოსადგენია, რომ ზნეობრივ სიწმინდე
შეიწინოს, ვთქვათ, კეთილად ჩაგონებულმა ასალ-გაზდა
გლესმა, როცა ის ცხოვრების ყოველ ნაბიჯში ჭხედავს მარტო
გლეჯას, ცარცვას, ურთი-ერთის შეუნდობლობას და ვაი იმის
სიცოცხლეს, თუ თითონაც ისე არ მოკვიდება მეზობელს, თუ
კინდ მეგობარსა, ძმასა—ისე გაჭქელებენ, გააბეჩავენ, რომ ღუგ-
მა-ზურის შოვნაც შეუძლებელი გაუსდეს. ამ გვარი ეკონომიუ-
რი სურათები გლეხის ცხოვრებაში ერთობ სასტიკად არიან
გამოხატულნი, ყველასთვის თვალ-საჩინოდ სუფეკვენ და უფ-
რო იმიტომ არიან ადვილად შესანიშნავნი სოფლის საზოგა-
ლო და კერძო ცხოვრებაში, რომ სხვა გვარი სურათებო ძვი-
რი სანასავია. ჯერ სოფელს ღუგმა-ზურის შოვნის მეტი სხვა

ინტერესი არა აქვს-არა. თვით სოფელიც, როგორც დაბალი ღობე, ადვილი გადასალაჭვებელია, მისი დანიშნულება ჭერ-ჭერობით ერთია: «იშოკე და მოიტანე.» მარტო ეს ყოვლად მთელობელი ბძანება ესმის გლეხს ბატონისგანაც, მოხელესგანაც, მღვდლისგანაც. თუნდ ტყავი გაიძროს, უნდა იშოკოს. არც შეწინააღმდეგება, არც ჭრისტიანული სიუვატული. მასთანავე აწინდელი კაცთა ურთი-ერთობა ყოველს წუთს, ყოველს ნაბიჯში მარტო ერთს უმტკიცებს გლეხს: მის მონობას, ყმობას. შეიძლება თუ არა მისი ბაღლი ცხოვრების თვალის დეკნას, მის დაკვირვებას, — ერთად-ერთს შენიშნავს — განუსაზღვრელს დამოკიდებულებას მისის სახლობისას, მუხობლებისას მდიდართან; ღონე-მოსილთაგან. ჭხედავს, რომ არც კაცთა სიუვატული, არც თანასწორობა, დამოუკიდებლობა აქ შუაში არ არის. და კაცი, ამ მშვენიერის თვისებით შემკული, სულ ცოტა რომ ვთქვათ, რიუზე დარჩება.

აი სწორედ ეს არის ცხოვრების სკოლა, რომელსაც თავის ძლიერის გავლენით ხელში უჭირავს ყოველის კაცის ხასიათი და მიმართავს მას დიდის ხნიდგან გაჭრილ, გატკეპნილ გზას — გერძო ინტერესის უპირატესობისას, სხვის დანაგვრისას, გაქვლევისას. ამ გავლენას ჭერ-ჭერობით გერკავითარი სხვა გავლენა ვერ შეედრება თავის სიმძლავრით. თუ სხვა ქვეყნებში ამ საშინელს ძალას ეწინააღმდეგება, ებრძვის რაიმე, ეს უკანასკნელი სახალხო სკოლა კი არ არის, ეს არის ის აზრნი, ნაღვანნი თვითყულთა გენიოსთა, რომელნი აზრნიც ამ ასის წლის წინად კაცთა პატარა დასის სამკვიდრებელი იყო, და ესლა კი მოეფინნენ მთელს განათლებულს ქვეყანას. აქ უადგილო იქნება იმის გამოთქვება, რის მეორებით გაგრცლდენ ეს აზრები, იდეები; მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ სახალ-

ხო სკოლებს არაკითარი მონაწილეობა არა ჰქონიათ ამ გა-
ვრცელებაში.

აქვე ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: ჩვენ „სახალხო სკო-
ლებზე“ ვლანაზრავობთ და არა ხალხის განათლებაზე. ეს ორი
ცნება დიდად განსხვავდება ერთმანეთში. ხალხის განათლება
საერთო, საზოგადო ცნებაა; ის შეიცავს საერთოდ ყოველ იმ
ელემენტებს, რომელნიც საზოგადო ცხოვრებას დასაწეისიდე-
განვე კაცობრიობას წინ აღმეკვინებდენ ფეხს, ავანტირებდენ
მას, უხსნიდენ თვალს ყოველ ბუნების მოვლენას, უადგი-
ლებდენ ცხოვრების ტვირთს, განუგეთესებდენ მუშაობის ია-
რადს; ერთის სიტყვით, «ხალხის განათლება» და «კაცობრი-
ობის ცივილიზაცია» ერთი და იგივეა, ერთისა და იმავე ცნე-
ბის აღმნიშვნელი სიტყვაა. «სახალხო სკოლა» კი კერძო გან-
საზღვრული აზრია, «ხალხის განათლების» ერთი ელემენტთა-
განია. ამ ორის ცნების განსხვავება, სხვათა შორის, იქიდგა-
ნაცა სჩანს, რომ სახალხო სკოლის წარსული ისტორია ადვი-
ლად შესადგენია, მაგრამ ხალხის განათლების ისტორია კერძო
არა აქვს კაცობრიობას. მართო ერთმა მეცნიერმა ივისრა მი-
სი მოთხრობა, მაგრამ პრობლემის მეტის-მეტის სივრცის გა-
მო, იმასაც უნდა შეემცირებინა თავის განზრახვა. საუბედუ-
როდ, უდროო სიკვდილმა არც ამის აღსრულება დააცალა.

ზემო-მოყვანილის წერილის ავტორს «სახალხო სკო-
ლის» დიდება «ხალხის განათლებაზე» რომ გადაეტანა, ჩვენ
სრულიად დავეთანხმებოდით მას; ის აღტაცებითი დიდება კი
რომელსაც უძღვნის სახალხო სკოლას ჩვენ შეცდომად მიგვან-
ნია. თავის დედა-აზრის დასამტკიცებლად—სახალხო სასწავლე-
ბელს უმთავრესი გავლენა ჰქონდა ერთა წარმატებაშიო—ავ-
ტორს მოჰყავს მაგალითებად წარსული და აწყო ინგლისისა,

შოტლანდიისა, საფრანგეთისა, შრუსიასა და სსვა ქვეყნებისა. ამ მაგალითებით ავტორი ცდილობს უჩვენოს მკითხველს, რაოდენად აღოცმინდენ ის ქვეყნები. რომელთაშიაც სახალხო სკოლები ვრცლად და მკვიდრად გამრავლებულნი იყვნენ; და რაოდენად იზარალებს იმ ქვეყნებში, საცა ეს საქმე ცუდად იყო დადგენილი. ჩვენ ყველა მაგალითის განხილვას ვერ გამოვუდგებით, განვიხილავთ მხოლოდ ორს მათგანს—საფრანგეთს და შრუსიას.

ავტორის აზრით, საფრანგეთის უბედ-ილობა იქიდან წარმოსდგება, რომ ამ ქვეყანაში დაბალი სალხო არ იყო განათლებული, სახალხო სკოლებს *) არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მთავრობა, რომლისთვისაც შესარგებლო იყო ეს უმეტრება. შრუსიაში კი სულ სსვა იყო: იქ წარსულის საუკუნის მეორე ნახევრიდგან კანონად დაიდვა სასოფლო სკოლების გასსნა, გლეხთა უმაწვილების ძალა-დატანებით აღზდა: ვინც არ გაეგზავნიდა სკოლაში თავის შვილს, მას დიდი ჯარიმა, დატუსალება და სსვა გადასახადი მოელოდა. გლეხს ნება-უნებლიედ უნდა გაეგზავნა შვილი და ესწავლებინა... და ასწავლიდა კიდევ. ამ წესდებულებამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ ესლა ევროპაში არ არის იმისთანა პირველ ხარისხის სასკოლშიყო, რომელშიაც ისე გავრცელებული იყოს წერა-კითხვა, როგორც შრუსიაში; ისე რომ ას. სკოლის—წლოვან უმაწვილში მხოლოდ, თუ არა ვცდებით, ექვსმა თუ შვიდმა არ იცის წერა-კითხვა.

*) საუბედუროდ, ჩვენი ავტორი არა საზღვრავს. ამ ორ ცნებას; მისთვის «ხალხის განათლება» და «სახალხო სკოლები» ერთი და იგივეა, ეს შეცდომა ჩვენ უკვე ვაჩვენეთ. ამიტომაც შემდეგში ნება გვაქვს საცა ავტორი «ხალხის განათლებაზე» ლაპარაკობს, სახალხო სკოლა ვიგულისხმეთ.

ჩვენის ჯგუფის აზრი რომ მართალი იყოს, მაშინ პრუსია უნდა წარმოადგენდეს აწვავებულ ბედნიერ ქვეყანას; მისი გონებითი და ზნეობითი მდგომარეობა ერთობ მიუწოდებელ სიმაღლეზე უნდა იდგეს, სხვათა ხალხთათვის ეს სამეფო სანატრელი, სალოცავი რამ უნდა გამხდარიყო. მაგრამ ამას ვი ვსკვდავთ მერე! ისე უმეტარი, ამაყობით დასშული ხალხი, როგორც პრუსიელები, სხვა ძვირად მოიპოვება. მთელის ქვეყნისთვის აწინდელი პრუსიის საფთხობელად გასდა, ყველას მისი ეშინიან, ყველა იჭვიანობს არ ჩაგველახოს; თვით მისი შთამომავლობით მოძმენი შორდებიან მას, პირს უბრუნებენ; უმეტესმა მათმა ნაწილმა გულთ შვიდულა ეს სამსედრო ბანაკი. 1870 წ. მთელს პრუსიაში ერთი პროტესტი არ მოიხმა საფრანგეთთან ომის გაგრძელებაზე სედანის აღების შემდეგ, არ გამოჩნდა იმისთანა კაცთ-მოყვარე, გამბედავი პირი, რომელსაც მოეგონებინა პრუსიელებისთვის მათის მეფის ვილჰელმის სიტყვები: «მე გავილაშქრე არა საფრანგეთსე, არამედ ნაპოლეონსეო.» ეს უგანასენელი დაიმსო, მაგრამ ომიანობა გაგრძელდა, პრუსიელებმა საფრანგეთი ააოსრეს, იავარ ქვეყეს, წაჭგლიჯეს მას ორი პროვინცია, რომელთა მცხოვრებთ ძალადატანებით აპრუსიელებენ. დაუმეტეთ ამსვე სხვა ხალხთათკილი, შეურაცხ-ყოფა, რომელსაც ბისმარკის ქვეშევრდომებო წამ-და-უწუმ აცხადებენ თავიანთ ამყის დევიზით: «სად არის გერმანიელის სამშობლო? საცა ვი მისი ენა ისმისო—და თქვენ საკმაოდ წარმოგიდგებათ ამ ხალხის ზნეობითი სურათი.

როგორი-ღაა მისი მატერიალური მდგომარეობა? ძალიან ცუდი. ამის დასამტკიცებლად იმ ჭაჭტის მოყვანაც სამეოფიოა, რომ გერმანიაში ყოველ წელს არა 200,000 კომლზე ნაკლე-

ბი ანებებს სამშობლოს თავს და სასწალებს სსკა ქვეყნებში; უგანსკენელ ომიანობის შემდეგ ეს რიცხვი ერთბაშად ერთი-ორად გადაიქცა; არც ფრანტუზების ხუთმა მილიარდმა უშეკლა.

სულ სსკა სურათს წარმოადგენს საფრანგეთი. თუმცა აქ გუშინდლამდის სასაღმრთო სკოლები ძალიან ნაკლებად იყო — ისიც იესუიტების სკოლაში — თუმცა არც ძალა-დატანებითი აღზდა სიუიკდა, მაგრამ თითქმის თავის ისტორიის დასაწყისიდანვე ქვეყნის წინა-მავალი იყო. რაც კი რამ ძვირფასი შეუძენია კაცობრიობას: ძმობა, თავისუფლება, კაცთ-მოყვარეობა — უოკელისფერი ჯერ საფრანგეთში განხორციელებულა და მერე სსკაგანაც მოყენილა; მთელს მკითხველს ქვეყნას დღევანდლამდისაც ამ ხალხს უჭირავს თვალი, მისი ინტერესები საქვეყნო ინტერესებზე გამხლარა, მის სკვდებს კაცობრიობის გონიერი ნაწილი თავის სკვდებზე რაცხავს. მართალია, წერასკითხვის ცოდნა ძალიან სუსტად არის აქ გავრცელებული, მაგრამ განათლება ხალხისა, მეტადრე ქარხნის მუშაკთა, ბევრით მაღლა სდგას, ვიდრე სსკაგან; და ეს მართო იმიტომ, რომ საფრანგეთის უგანსკენელი ასის წლის ისტორია დიდად ნაყოფიერი, ჩამატონებელი, აღმზდელი იყო მის ხალხისთვის. სასაღმრთო სკოლა აქ არაფერ შუაში ყოფილა, მაგრამ თითონ საზოგადო ცხოვრება, ძველის ბობოლვების განდევნა, კერძთა ჩანგრეკა, ქვეყნისათვის ისეთს განმავითარებელს სასწავლებელს შეადგენდა, რომ მას არავითარი სკოლა არ შეედრება.

ამასადაძე აქამომდის სასაღმრთო სკოლას არა ჰქონია ისეთი გავლენა საზოგადო ცხოვრებაზე, როგორსაც «განმარტობითის წერილის» ავტორი ანიჭებს მას. და არც შესაძლებელი იყო, რომ ჰქონოდა; იმიტომ რომ სკოლის შინაარსი, მიმართულება თითქმის ყოველს ქვეყნაში ბევრს უგარგისს, არა სა-

ნატრელს მოკლენას წარმოადგენდა და წარმოადგენს კიდევ სიტყვა «სკოლა» მართლ სასულია და ეს უკანასკნელი განვითარებისათვის ბევრჯერ კბილ-მოსასწრელი ყოფილა; სამეოფიან იესუიტების სკოლების მაგალითად მოყვანა გუშინდელ საფრანგეთში და მეტადრე ჰანგკაიაში (სამსრეთ-ამერიკაში), სადა ამ საშინელის ორდენის აღზღამ იქაური ხალხი გონებით და ზნეობით მიწასთან გასწორა, პირუტყვს დაამზავსა. თუმცა ამისთანა ზომა-გარეთ გადამატულება არა სუიუკვს აწინდელ დასაწყისს სკოლაში, მაგრამ მისი ჰროგრამა ისეთი შევიწროვებული და მარტივია, ისე ცოტას აუწყებს მომხდოთაობას, რომ თითქმის არავითარ მტკიცე კვალს არ აჩენს მის გონებაში და ამ ცოტაშიც ბევრი გამოუსადეგარი და თითქმის მავნებელიც რამ არის.

რასაკვირველია, სკოლას მრავალი დიდი ღირსებაცა აქვს; უმთავრესი მათგანი არის წერა-კითხვის, ანგარიშის სწავლება, აღსნა ბუნების მარტივ მოკლენათა. ჩვენს უვარგისს დროს, როცა პატიოსან ახალ-გაზღას უჭირდება კეთილის, ქვეყნისათვის გამოსადეგის საქმის შოვნა, სახალხო სკოლის წინამძღოლობა წარმოადგენს უმჯობესს ნიანდაგს, რაშიც ღირს რომ კაცმა თავისი შრომა დასთესოს, ღვაწლი დასდოს. ნათქვამით მუ მართლ ერთი მინდა დამემტკიცებინა, სასულდობრ ისა, რომ აქამდის სახალხო სკოლას არა ჰქონია ის მნიშვნელობა, რომელსაც ზემოსსენებულის წერილის ავტორი აწერს.

ორიოდ სიტყვა კიდევ იმ ურთი-ერთობაზე, რომელიც აწ სუიუკვს დაბადის ხალხისა ჭ დასაწყისის სკოლის შორის. ბევრჯერ საზოგადოებაშიც გაკვირვონია და მწერლობაშიც ამოგვიკითხავს, რომ ჩვენი ხალხი დიდის მოწინავეთ, სიუვარულით უცქერის სახალხო სკოლასა, ცდილობს მის გაუმჯობ-

ბესობას, განვითარებასაო. საუბედუროდ, ნამდვილი ამას სრულადაც არ ეთანხმება. ჩვენის სამშობლოს ბევრ ალაგებში, მართლში, გარე და შიდა-გასეთში ერწო-თიანეთში გლეხების გახურებულ ბასის დროს სშირად გაგვიგონია შემდეგი მკვასე სჯა სკოლებზე და სწავლასზე: «ჩვენი ნება რომ იყოს, სკოლებიდან ქვას-ქვასედაც არ დავაყენებთო...» «დაიწვევლოს ის წუთი, როცა ჩვენ სული მოგიწივრეთ და სასწავლებლად გაგზავნეთ; ისწავლით და ჩვენს საუბედუროდ ბრუნდებით აქვეო.» ამ უკანასკნელის სიტყვებით ხალხის საყვედური, მიუნდობლობა ადვილად აისხნება: ჯერ-ჯერობით გლეხობაში ვინც კი სწავლობს, «ნათლდება», ადრე თუ გვიან ისევე სოფელს აკდება კისერზე. მკვდელია, თუ მოსკლე, თუ განდ უბრალო სასამართლოს მწერალი, უველა გლეხს აწუხებს, ატყუებს; ჰაწაწინა საჩივარის დაწერაში მანათს ჭკლეჯენ, სასლის განათვლაში მთელი დღე ეჭვობან, აწვალბენ. აბა რასაკვირველია, რომ სწავლის ამისთანა ნაყოფი ვერ მიიზიდავს გლეხის გულს, ვერ წააქეზებს სკოლას დაესმაროს, კეთილის თვალთ უტქიროს.

თუ ამ საქმის ვერც თეორეტიულის მნიშვნელობით, ვერც აწინდელის მდგომარეობით ვერ მიიღებს სრულს კმაყოფილებას ჩვენი სიმართლის-მეძიებელი, მაშ სად მოძებნონ ეს უკანასკნელი? იქნება აწინდელ ჰატრიოტულ მოძრაობაში? ეს ისეთი მძიმე საგანია, რომ ორიოდ სიტყვით ვერ აიცილებს მას კაცი თავიდან, თუმაც ესლავე კი წინა-უფსწრობ მკითხველს რომ ვერც აქ იპოვის, რასაც ეძებს. «მაშ სადაო?» გაჯავრებით მკითხავენ. ჩემის აზრით, მარტო ერთში: ვრცელ, საფუძვლიან შეთვისებაში ევროპიულის მეცნიერებისა, მის მეთოდისა. თუ ჩვენი მოსწავლე თაობა მართლა რიგანად, გონივრულად შეიკავშირებს მეცნიერებას და იმის მეთოდსა,

მაშინ რა მდგომარეობაშია ც უნდა ჩავარდეს, უკვალოდ არ და-
 იღუპება, მაინცა-და-მაინც ჯეროვანს სარგებლობას მოუტანს
 თავის სამშობლოს. ზოგს მამულისათვის გულ-შემატკივარს
 ეშინიან, მეტნიერებს რომ გამოუდგეს ახალ-გაზღობა, თავის
 ქვეყანას, მამულს დაივიწყებსო. უსაფუძვლო შიშია: თუ გაცს
 გულში ქვეყნის სიყვარული უღვივის, არც სამშობლოს დაი-
 ვიწყებს, არც უნიადაგო, საფსისათვის გამოუყენებელ საგანს
 გამოეკიდება.

ქვეყნის მდგომარეობაზე
 უკეთესი დანახვა 16. ხუდადოვი.

მთლიანად არის დასრულებული

*
* *

(მიმგზავსება პუშკინისა).

რა მზე დასავალს ჩაესვენება
და ცას ამოვა სრული მთოკარე,
და მას ჭკვეუნა მიესალმება
მის ელკარებით ტურფად ელვარე;
რა ცას ვარსკვლავნი ანთებიან
და ცის ლაყვარლით გამოჭკრებიან,
მაშინ ჭკვეუნა ცისა დიდებას
გაუდუმდება ვით დიდს ღვთაებას;
სიჩუმე ტკბილი მოიცვავს მთა-ბარს, —
კაცი ტრფიალით შესუდავს ცის კარს
და მიეტმა ტკბილს განსვენებას, —
მე ჩემსა მწარეს ვერ ვძლევ ოცნებას;
ჩემთვის არ არის კაცთ ტკბილი ძილი,
მათ განსვენება, ზმანება ტკბილი;
არა! არ სძინავს ჩემს მწარე ფიქრსა!
ის საიდუმლო სიჩუმე ცისა
უფრო ძლიერად ჩემთ ფიქრთ აღელვებს
და გულს ცხოველად მამხელს, მაგონებს
ჩემთ წარსულთ დღეთა, უვარგისს წარსულს,
ასე უგონოდ ჩემგან დადუმულს.

ილევა ღამე და განსვენება
 ჩემს გულს, სინიდისს ან ეკარება.
 ფიქრნი მწარენი მათ ესვევიან,
 სტანჯვენ და სწერტენ, ან ეშვებიან.
 ვცდილობ დაკდიო, მაგრამ წუეული,
 ჩემთ უნაყოფოთ დღეთა რვეული
 ჩემს ფიქრს წინ უშლის თვისთ ბნელ ფურცელთა
 და რა კვითხულაბ მის ტრიქონთ გქელთა,
 ვძრწვი, ვიწვევლები, ვაფრქვევ ცხარე ტრემლთ;
 მაგრამ ველარ გული მათ ტრიქონთ ჩემ მკვლელთ.

3. ო.

აღგომბა.

ქრისტე აღდგა! მოგილოცავ,
ჩემო ტკბილო საქართველო!
შოკს ვარ, მაგრამ სულით, გულით
შენთან დაკავშირდი, ჩემო მწველო.

დღეს ყოველი მსიარულობს—
აგერ ჩიტინ დაფართხალებს!
მე კი ჩუმად სის ძირს მჯდომსა
შენზე ფიქრი მიღებს ალებს.

ამ დღეს წინედ მე შეესტრფოდი,
მწადა გულით გატარება:
კვერცხი, ბურთი, სტუნვა, ცეკვა
ჩემთვის იყო ნეტარება.

.

მაშინ გინდ ძლივს დაფოთხავდე,
შავი ღერიც ან მერიოს,
იმ წამს შევიქ ბუქნას: ვფიცავ—
სიბერე ვერ მომერიოს!

მხოლოდ მამინ მიაშება
შე ქრისტეს დღის გატარება:
ქრისტე აღდგა, კვერცხი, ბურთი—
ყმაწვილური ნეტარება!

სილოვან.

პეტერბურლი. აღდგომას. 1882 წ.

წერილი ივრის-ხმოზიდაძე.

რას უნდა მოველოდეთ გამსესხებულ-შემნახველ და დამზოგველ ამხანაგობათაგან? — ერთი ამ გვარი ამხანაგობათაგანი. — სარეჯოს ბანკი და დეპო ამათი ნაყოფი.

ჩვენს საქართველოში, სოციეტოს ქალაქებში, მაზრებში და სოფლებში დაიწიეს გამსესხებულ-შემნახველ ამხანაგობათა დაარსება. გაჭირვებამ და მოთხოვნილებამ დაარსებინა ხალხს ივრის დამზოგველი ამხანაგობაც, რომლის მიმბაძენი სხვაგანაც გამოჩნდენ.

ჩასაკვირველია ამ ამხანაგობათა მნიშვნელობა ბევრმა კარგად იცის, მაგრამ ბევრს არ ესმის ესა და უცქერის მათ როგორც უბრალო, უმნიშვნელო მოკლენას. ჩემის აზრით ამ ამხანაგობათა გავრცელებას და კეთილად წაყვანას საქმისას ბევრად დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლიან ჩვენის დავრდომილის და დაჩაგრულის ხალხისთვის, როგორც ეკონომიურად, ისე ფსიქოლოგიკ. მე მოგიხსნობთ მაგალითად მხოლოდ ივრის-ხეობის მიმინებულის ხალხის გამოფხიზლებას და ბიჯის გადადგმას ბანკისა და დეპოს ექვსის წლის დაარსების შემდეგ. ავიწყოთ, თუ რა იყო ხალხი ზემო აღწერილ ამხანაგობათა დაარსებამდის და რა არის ეხლა, დაარსების შემდეგ, როგორც კიდეზოდ და უცქეროდა თავის ნაწარმოებს უწინ და როგორც უცქერის ეხლა.

პირველად, ვიდრე ამხანაგობა დაიწყებოდა, ივრის ხეობის ხალხი დაშორებული იყო ერთი-ერთმანერთს, არას დროს არ იკრიბებოდნენ ერთად სხვადასხვა თავის გულის პასუხის გამოსათქმელად. თუ ვისმე გულში კარგი აზრი ან ლტოლვილება ებადებოდა, სხვისდა განუზიარებლად გულშივე უკვებოდა. ხალხი მხოლოდ სადღესასწაულოდ, ეკლესიასთან იკრიბებოდა, ან სადმე ქორწილში, ან მიცვაულებულის პატრონთან. აქ სრულებითაც არა ჭჭონდათ დრო ერთი-ერთმანერთში სსკვადა-სსკვა აზრების გადაცემისა და ერთი-ერთმანერთის გამხსენებისა. ეს დრო იყო და არის საქეიფო ან სამწესარო, ამის გამო ხალხი წარმოგვიდგენს დაჩაგრულს, უქრო არსებას, რომელიც არ არის მიჩვეული სამსჯავრო ლაშაჩაკასა და ჩჩეკას.

პირველი ყრილობა ივრის-ხეობაში მცხოვრებთა ბანკის დაარსების თაობაზედ მოხდა სოფელ ხაშმს, განსვენებულის სახალხო სკოლების დირექტორის ბესარიონ ლოლობერიძის განკარგულებით. ლოლობერიძემ ჩააგონა ხალხს ბანკის საარსებლობა და ხალხმაც გამოუცხადა სურვილი ივრის ბანკის დაარსებისა. სსკვა წოდებათაგან დაშინებული და დაჩაგრული ხალხი მაინც ეჭვით უცქეროდა ბანკის გასსნასა და ასე ჭიფიჭობდა: განა გლეხების სასარგებლოდ გასსნიან რასმეო? რასაც იგონებენ, სულ თავიანთ ჯიბის გასასუქებლად. ჯერ არ ყოფილა მაგალითი რომ ჩვენს სასარგებლოდ გააკეთებინოთ რამე და თუ ეს ღვთისნიერი კაცი გაუკაბდნიერებს, მაღლობს გადაკუხდითო.

ყველამ კარგად ვიცით, რომ გლეხ-კაცობა ძალიან ეჭვით უყურებს უოკელს სსკვა წოდების პიჩს და ისიც ვიცით, რისთვისაც: გლეხ-კაცობას ამისთანა პიჩი თავის გამკრავ-გამგლეჯად მიანჩია და მორიდებით ეკიდება უოკელს მისგან დაწ-

უობილს საქმეს. როდესაც ივრის ბზნკი დაარსდა, ამხანაგად მხოლოდ ორმოც-და-თორამეტო უჯტი შემოვიდა; რომელთა რიცხვში რამდენიმე აზნაურნი და სამღვდელოც ერია. დანარჩენნი გლეხნი ისევე სოფლის მოსელებნი და გაჭრები იყვნენ. ღარიბი, ღატაკი გლეხ-გატობა არსდა სხანდა. ბანკის მოქმედება ას-ოცის თუმხით დავიწყეთ. გლეხ-გატობა სრულებით ასლო არ გვეკარებოდა. თუ ვისმეს მათგანს დასჭირდებოდა იფული, ისევე ვაჭარს მიმართავდა. ვაჭარს მოჭყავდა ბანკში, სექსუელად იფულს, როგორც ამხანაგი და ჩვენს თვალ-წინვე აწერდა გლეხს თუ მანხედ სარგებელს ერთ საშალე ლინდს, ანუ ორ კოლ პურს. აი ასე ესმოდათ ბანკის დაარსება და მისი მნიშვნელობა. ამანვე დაარწმუნა გლეხ-გატობა, რომ ბანკი არსებობს იმით საუკლეფად და არა სასარგებლოდ.

1876 წელს, სექტემბრის 14-ს, მოვასდინეთ ბანკის საზოგადო ყრილობა. ამ ყრილობაზედ შეიქმნა ბანკი და სჯა, თუ როგორ გაგვეადვილებინა გლეხებისთვის ბანკში ამხანაგად შემოსულა და იფულის ჰესხება. აქ ერთ-ხმად გარდასწყვიტეს რომ ყველა ცოტა წილის მქონეს ჭქონდეს ნება საზოგადო ყრილობის თავდებობით (და არა მარტო კერძო შირიქსა, როგორც უწინ იყო) ისესხოს ბანკიდგან ერთის მანათიდგან ორ თუმხამდის, რადგან ეს იფული საწყალს გლეხ-გატობას სშირად უჭირს მუშა-საქონლის უიღვის დროს. ამ დადგინებით გაესხნათ გლეხებს გზა და განთავისუფლდენ კერძო თავდებების გაკრა - გაგლეჯისაგან. ამ დღიდგან გლეხებმა ატრმნეს რომ მათ მოშორდათ ის უღელი, რომელიც უძიებებდა ბანკში ამხანაგად შემოსულას და ამ დღიდგანვე ასობით და ორასობით ამხანაგად ჩაეწერნენ. მათ დაინახეს, რომ ნახესხედ გადასდილი სარგებელი წლის ანგარიშის შემდეგ, მათ

წილსედე უჩივლებათ. ბეკმა ამ ექვს წელიწადში სრულს წილად შესრულა თავის ნაკლები წილი და ასლა თითქმის პენსიასავით იღებენ ყოველ წლივ ბანკიდგან მონაგებს. რასაკვირველია, ბეკრი ამითი ისარგებლებს და სახელმწიფო სარჯის მოკრეუის დროს გაიტანს ბანკიდგან მონაგებს და სარჯს მოიშორებს.

ამ გარემოებამ ძალიან გააფხინლა სალსი და ასლა ბანკში ითვლება 598 ამხანაგი. ბეკთ მოხუცებულთ შემოაქვთ ბანკში თავიანთი სამკვდრო ფული, რომელიც წინად მონაგებში ჰქონდათ გამოკრული და სადმე კუთხეში მიმაღული, — რომ საკვდილის ჟამს ნაღდად და დაუბრკოლებლავ მიეტოვებინათ ბანკიდგან და მრავალნიც იღებენ სოლმე გაჭირებაში. ესლა ყოველი გლეხი, ვისაც ბანკიდგან სესხება სურს, შემოიტანს თორმეტს აბაზს წილის ფულად და შემდგომ სესხულობს ორ თუმნამდის. თორმეტის აბაზით ამას ბანკში უჩნდება თანხა და შემდეგ ყოველ წლივ უმატებს ზოგს მოკუბიდგან, ზოგს თავის ნაშრომიდგან და ასე სდება სრული მოწილე. როდესაც და რა დროსაც დასჭირდება ფული, თითქო თავის ჯიბეში ჰქონდეს შენახული, მოდის ბანკში და სესხულობს და არც ყოფილა მაგალითი, რომ ბანკს უფულობისა-გამო უარე ეთქვას მესხებლისათვის.

ბანკის დაარსებამდის როგორ-და იმართავდა გლეხ-კაცი ხელსა? დასჭირდებოდა ფული თუ არა, რასაკვირველია მივიდოდა ფულიან ვაჭართან, მოუხდიდა ქუდს ღ ღრეჯით შესთხოვდა. იმ დროს არა სდებდა იგი ფასს თავის ნაწარმოებს, ოღონდ კი ფული ეშოვნა. ვაჭარმაც იცოდა ამისი ყოველივე გარემოება, უჩქარებლავ აუთქვამდა ფულის შოვნას, თუ რიგიან სარგებელს მისცემდა ნაწარმოებიდგან. თუმცა ფული ჯიბეში ჰქონ-

და, მაგრამ რამდენჯერმე მიიყვანდა და მოიყვანდა. ბოლოს ჩამოართმევდა პირობის ბატონს, ჰურისას, ღვინისას, ანუ სსკა სსკონლისას და შეამოწმებინებდა სოფლის სასამართლოში. გლეხა ყველაზე უფროდ თანხმდებოდა, თუნდა უმათაც დაეწერათ, ოღონდ გაჭირებაში ფულით სული გაემართნათ. ყველა ფულიანი კაცი და ვაჭარი ამ სოფელში (საგარეველში) გლეხების ბატონი იყო, როგორ შეემლო გლეხს იმათ წინ სმა ამოელა და დიდ ღირსებადც მიანხდათ, თუ ვისმე სადილად ეწვეოდა მ. რ — შეილი და მის მსგავსი ფულის ბობოლეები. ამიტომაც ხშირად ნასვდით ამათ ქორწილებში, წირვებში და ქელებებში თავს წამოსკუბულებს. ისეთი გაგლენა ჰქონდათ ამათვე მოხელეებზედაც, რომ რომელი მოხელე ან მამასახლისი ნიხიების და ფულების საჩუბლების მოკრეფაში არ დაესმარებოდა და არ დაუბრებდა გლეხს, — ერთს თვესაც არ დააყენებდენ; მოაგროვებდენ საამქროდ ფულებს, წარუდგენდენ მამარის უფროსს და ის სსკა-და-სსკა მისეზის მოდებით დაითხოვდა. ამის გამო მამასახლისი და მოხელე ამათი სრული მონა იყო და ამათის ბძანების აღმასრულებელი. ამ გვარად საგარეველში გამოსცვალეს მამასახლისი გიორგი მკანტალაშვილი და ამის შემდეგ სსკა მამასახლისები დიდს ერთგულებას უჩენდენ.

ახლა, მონობის ნაცვლად ვხედავთ რომ ყოველივე მოხელე გლეხი თავის-თავს უტყერის, როგორც ადამიანს, თავის ნაშრომს ალარაგის ხელში არ აგდებს და ალარც არავის მუხლმოდრეკით ექცევა. რასაკვირველია ეს მრავალთ სალხის ტვირის მწუნწავათვის შესამჩნევი და აუტანელია. რასაკვირველია, ესენი ისმარებენ ყოველს ღონისძიებას, რომ აღადგინონ ისევ თავიანთი ძველი უფლება. მაგრამ სალხსაც თავის კაცობრიუ-

ლი თავ-მოყვარეობა, თავის ნაწარმოების დათვისების გრძნობა გაეხსნა საზოგადო ყრილობების წყალობით. სწინად ყრილობებზედ ყოფილა გასურებული ბასი, — თუ რა სასარგებლოა ამსანაგობა ხალხის გასაძლიერებლად და მის აღსადგენად და ბევრი კარგი აზრიც დაბადებულა. მაგალითად ბანკის ყრილობაში დაიბადა აზრი დეპოს დაარსებისა, როგორც წინად «დროების» ფურცლებზედ იყო აღწერილი. დეპოს დაარსების აზრი ხალხმა აღტაცებით მიიღო და იმ წელსვე დააარსა. უწინ გლეხები ვაჭრებს შეუვაჭრებლავ ნისიებში უკვეთამდნენ თავიანთ ყოველს ნაწარმოებს და ესლა კი დეპოდამ ჰყიდულობენ ყოველ-გვარს სავაჭროს. ბანკის ყრილობაშივე გადასწევითეს ივრის ხეობაში ექიმის მოწვევა და კიდევ მოიწვიეს. ბანკის ყრილობაშივე გადასწევითეს ცენტრალურის მალაზიის დაარსება და კიდევ დააარსეს. დეპოს ყრილობაში დაიბადა აზრი რომ შიმშილობის დროს 1878 წ. მიმართონ მთავრობას, რათა ამსანაგობას გადმოსცეს რჩი ათასი ჩეთვერი პური სასუქმწითო ფასით დამპყუელის ხალხისათვის. ეს პური კიდევ მიიღო ამსანაგობამ და სასუქმწითო ფასითვე აძლია ხალხს. თუმცა მასანდა ფუთი სამი მანათი იყო, მაგრამ ჩვენს მსარეში მანათ-ნახევრად ისუიდებოდა. ბევრი ვაჭარი დაჩნა ხასამშრალი, რომელსაც წინადვე ჰქონდა შემზადებული პური გასასუიდად და ელოდა გლეხების ვაჭირების დღეს, მაგრამ კვლარც ფულით და კვლარც პურით კვლარ იგდეს გლეხ-კაცობა ხელში. ამით უმეტესად იგრძნეს გლეხთა სრული განთავისუფლება ვაჭრების ხელიდან. ბანკის ყრილობაზედ, წრეულს, იანვრის 24-ს, დაიბადა აზრი ხალხშივე დაარსდეს დეპოს მახლობლად კვირახობით იარმუეობა, რადგანაც ბევრს გლეხსა სურს თავის საქონლის გაყიდვა და ბევრ-

საც უიღვა და ერთი-ერთმანერთისა არა იცინან-რა. გლეხები აჭამდის ერთი-ერთმანერთისაგან კერას უიდულობდენ და ხშირად იმათი ნაწარმოები მანც კიდევ ვაჭრების ხელში გადადიოდა, იმათგან უიდულობდა ისეკ გლეხ-კაცობა და ამ გვარად ერთი-ორად უკვდებოდა. ეს აზრიც დიდის თანავგრძობით და აღტაცებით იყო მიღებული ბანკის ურთილობაზე და დიდ-ძალი სალხა სინარულით და კიყინით ითხოვდა იარაღ-გობის დაწესებას. ერთის სიტყვით ამ ექვსის წლის განმავლობაში იერის-სეობის ხალხს დიდი წარმატება და ნაბიჯის გადადგმა დაეტეო, თუტა ყოველსავე მის გონივრულს განზრახვას სხვა-და-სხვა თხუნელა უჩნდება და ცდილობენ ნახტომი შეუშალონ, მაგრამ ხალხი მაგარს ნიადავსედ დადგა და ყოველს თავის მოწინააღმდეგეს მხნედ ებძვის. თხუნელები მიწაში შეძვრენ ჭ იჭიდგან ჭყრიან მიწას და კენჭებს, ხალხისაკენ მიმართულებს, მაგრამ ხალხი ამას კარგადა ჭხედავს, ურიდება იმ გზას, იმ ორ-ღობეს საითაც თხუნელები ბუდობენ და თუ შეამჩნია მათგან ნაყარი მიწა და კენჭები, სორობაში საბოლოებებს უკეთებს და შიგ ადრჩობს. ხალხი მიხვედრილია და თხუნელების მოჭმედებას არავითარი გავლენა აღარ აქვს მის ზნეობაზედ. ხალხმა დააფასა ის სიკეთე და სარგებლობა, რაც ამ ექვსის წლის წინად არ მოიპოვებოდა. ესეა იგი ხშირად იერიყება ერთად, ლაპარაკობს საზოგადო საჭიროებაზედ და მასში იბადება გამბედაობა, რომელიც იერად საჭიროა მისთვის.

ახლა გავსინჯოთ, თუ რა სარგებლობა მოუტანია ამ ამხანაგობათა და მოუტანს კიდევ ეკონომიურად. აქ მოვიყვან სტატისტიკურ ცნობას ბანკისა და დეპოს ანგარიშებიდან, რომელზედაც იჭნება დაფუძნებული ჩემი ბასი.

ბანკს გაუესესებია გლეხობაზედ დაარსებიდგან ფული:

1876 წ. 2063 მ. 90 კ.

1877 წ. 6981 მ. 80 კ.

1878 წ. 9265 მ. 76 კ.

1879 წ. 7839 მ. —

1880 წ. 8353 მ. 50 კ.

1881 წ. 6424 მ. 15 კ.

სულ— 40,921 მ. 11 კ.

ბანკის ამხანაგობას ამ ექვსის წლის განმავლობაში გაუესესებია ოთხი ათას ოთხმოც-და-თორმეტი თუმანი ფული. ბანკი რომ არა ყოფილიყო, ამ ფულს გლეხ-კაცობა, რასაკვირველია, ვაჭრებისაგან აიღებდა. ამის სარგებლად თუმანზე გადაწვევითლი ქქონდა ორი კოდი პური, ანუ დაკვეთით ერთი საშალზე ღვინო. თუმცა ჩვენს მხარეში აღარ არის ეს წესი, მაგრამ შიგნითა კახეთში და ქართლში ისევ არსებობს და აქაც სანდისსან თუ ჩიიგდეს რომელიმე უმეტარი გლეხი, იმასაც ამოდენა სარგებელს გამოაჩთმევენ. რომ ვიანგარიშით შემომოყვანიდის ფულის სარგებელი— რვა ათას ას ოთხმოც-და-ორ კოდს პურს (8182 კოდი) შეადგენს. კოდი ღირს სამი მანათი, მაშასადამე გლეხ-კაცობის ხელიდგან უნდა გადასულყო ვაჭრების ხელში ფულის სარგებელში 24,552 მან. თუ ღვინოს მისტომდა, კიდევ უფრო ძვირად დაუჯდებოდა. ახლაც რასაც სარგებელს ამღევს ბანკში, ისევ თითონვე უბრუნდება ანგარიშის დროს. ეს ყოველმა გლეხმა იგრძნო და უცქერის ბანკს ისე, როგორც თავის საკუთრებას, თავის ჯიბეს.

აი კიდევ სტატისტიკური ცნობა დეპოს ვაჭრობისა, თუ რომელ წელიწადში რამდენის საქონელი გაუყიდნია.

1877 წელსა	17,266 მან.	94 კ.
1878 —	16,447 —	45.
1879 —	19,030 —	30.
1880 —	17,350 —	30.
1881 —	12,109 —	11.

სულ — 82,203 — 90.

ყველა ეს არის გაყიდული დეპოს მასხანდით, მაგალითად, ჰური 1 მ. 50 კ. ფუთი, იმ დროს კი ვაჭრები ჭყიდდენ 3 მანათად ფუთსა, ბრინჯსა, შაქარს, მარღის, წვრიმალს და ფარჩეულობას თითქმის სამის ზომით მეტადა ჭყიდდენ ვაჭრები. ბევრჯელ ყოფილა შემთხვევა რომ დეპოდგან ყველიერებში ჩუმად, მოტყუებით ნაცნობებისათვის ვაჭრებს ეყიდვინებინათ საქონელი, გამოეღიოთ დეპოში და შემდეგ ორ ზომად მიეყიდნათ ხალხისათვის. თუ ვაჭრები როგორც და რა ფასად ჭყიდდენ და ჭყიდინ საქონელს, ამას თავი დავანებოთ; აქ მოვიყვანთ მხოლოდ ცნობას იმაზედ, თუ ამ ოთხის წლის განმავლობაში რამდენი საქონელი გაუყიდნია დეპოს ამხანაგობას და ვიტყვი კიდევ, როგორც სსსარგებლთა ხალხისათვის ამ გვარში ვაჭრობა:

ხალხი ყიდულობს საქონელს კარგსა, ნაკლებ ფასად, წონაში, ზომაში და საწუაოში არავინ ატყუებს, როგორც ატყუებდენ ვაჭრები და თუ რაიმე მოგება რჩება, კერძო ვაჭრის ხელში კი არ გადადის, არამედ მთელ ხალხს—ამხანაგობას ურიგდება. ზოგჯერ საზოგადო კეთილ საქმეებადც ხმარობენ ამ მოგებას. ბევრნი დეპოების დაარსებას არაფერ მნიშვნელობას არ აძლევენ, მაგრამ ძალიან შემცდარნი არიან. თუ სადმე დეპოების საქმე ცუდად მიდის, ის კი არ არის მიზეზი, რომ მასი მიზანი უსარგებლო იყოს, არა, ამას ნურავინ

იფიქრებს: დეპოს კარგად სჯიმის წაყვანა უნდა, რძი-სამი მანტ თავისუფალი კაცი, რომელნიც თითქმის თავ-განწირვით უნდა შრომობდენ. უკეთუ ყველა გლეხი ანუ მცხოვრები გახდა ამ-ხანაგი, — ეს კიდევ უფრო სასარგებლო იქნება. ზვილთ საგარეჯოს დეპო. საგარეჯოში სცხოვრობს გლეხი და თავის-უფალი ხალხი ზვასი კომლი. ყველანი რომ ამხანაგად გას-დნენ, ზვასი თუძანი თანსა შესდგება დეპოსი და ამ იუულით შეიძლება პირდაპირ საქონლის მოტანა მაკარიდგან და აქ იმ ნაკლებ ფასად შეიძლება მისი გაყიდვა, როგორც თვი-თონ ჩვენ კვიდულობთ ქალაქის ვაჭრებისაგან. რაც მოგება დარჩება გლეხ-კაცობას, შეიძლება ეს მოგება პირდაპირ სა-სულემწიფო სარჯებში აძლიონ და ამით აიცალონ ის აწიოკე-ბა, რომელიცა ადგიათ სასულემწიფო იულის მოკრევის დროს. ეს აზრი 1882 წ. იანვრის 14-ს ბანკის ყრილობასედ იერ წარმოთქმული და აღნილი ხალხში. ხალხმა ძალიან სასარგებ-ლოდ დაინახა ღ ერთ-სმად გადასწევიტა, — ვიდრე ყველა გლეხ-კაცობა დეპოში მონაწილე გახდებოდეს, გადიდვას ბანკიდგან დეპოს გასაძლიერებლად ბანკის სათადარიგო თანსა და სსვა დანარჩენი მოგება და ბანკი ჩაიწეროს დეპოს დავთრებში, რო-გორც ამხანაგი. ამ გეგმად სულ გადასდვა ყრილობამ 550 მან. ჯერ-ჯერობით.

დეპოს ესლა 598 ამხანაგი ჭყავს. მოვა დრო რომ ყო-ველი მცხოვრები პირდაპირი ამხანაგი გახდეს დეპოსი და ყრი-ლობაში წარმოთქმული აზრები ასრულდეს. მაშინ აღარ გაამ-დიდრებენ კერძო პირებს, როგორც აქამდის უძდიდრებიან.

ამ ბოლოს დროს ვაჭრებმა ცხოვრების სახსრად აზაყის ხდა გაიჩინეს: რასაკვირველია, მანტ კიდევ გლეხებისაგან უი-დულობენ ჭაჭა-თსლეს. თორმეტი ქარხანაა გამართული საგა-

რეჟოში და რეგორც მოხაყე მოხელემ გადმოძცა, სავარეჟოდგან არაყის პაყი შედის ხაზინაში 3,000 მანათი. აქედამ სჩანს, რამდენი მოგება უნდა ჰქონდეთ გერძო პირებს. შემდეგში შეიძლება თვითონ სალხის ამხანაგობამ იყიდოს არაყის სასდელი მანათი, ჰხადოს არაყი და რაც მოგება დარჩება, საზოგადოებასვე დარჩეს. ეს ფრად დიდი ჯ სასარგებლო საქმეა სალხისათვის, მხოლოდ საფიქრებელი ეს არის, — ვინ შეუდგება ამ საქმეს, ვინ მოიპოვებს სალხის ნდობას?

ჩვენ შემოდვე ესთქვით, რომ სალხი ისეა დაშინებული, რომ ყოველ ახალ დაწყობილ საქმეს ეჭვით და მოჩიდებით უცქერის. პირველად ვისაც სურს ამ საქმეების დაწყება თავგანწირვით და უსასყიდლოდ რამდენსამე წელიწადს უნდა შეეხებას საქმეს, დაუმტკიცოს სალხს საქმით და არა სიტყვით, რომ ბანკი და დეპო არის სხვათა შორის სალხის გამომხსნელი იმ გაჭირვებიდგან, რომელშიაც ახლა იმყოფება: მათი ყოველივე ნაშრომი — პური, ღვინო, საკლავი და სხვანი უშრომლად გადადის ვაჭრების ხელში. გლეხები მუდამ მშვიკები მუშაობენ და ვაჭრები უშრომლათაც მუდამ მამღრები არიან.

ა. ძაეთელი.

1882 წ. თებერ. 18-ს.

ნახული და ბაზონილი.

(მგზავრის უნიშვნები).

მგზავრობა მტკვრის აყოლება.—ბორჯომის ხეობა—კარი სამცხე-საათაბაგოსი.—უწინდელი ციხე-სიმაგრეები—ბურჯანი ქრისტეანობისა და თავისუფლებისა.—აწყური, ახალციხე და სერთვისი.—ვისი იყო სამცხე-საათაბაგო და ვისია ეხლა?—ოდნავ-მხუცავი ქართველობა.—ქართველები ასე მალე რამ გაამაჰმადიანა?—სკოლები მართლ-მადიდებლობის გამავრცელებელ საზოგადოებასა.—გათათრებულ სოფლებში მშვენიერი ხალხი სცხოვრობს და ქრისტეანთა სოფლებში კი ზნეობრივად და თვალ-ჯანადობითაც დაჩაგრული. — ჯავახეთის ბუნება. — ჯავახეთის ახალ-ქალაქი.

ღამის თერთმეტი საათი იყო. ფოსტის ტროიკა მიჩინებდა მშვენიერს გზა-ტკეცილზედ. ფიჭვის ხეების სუნს, მათს სუნთქვას, მთების კალთებიდან ხეობაში უხვად მონახერს, ადვილად გრძნობდა ადამიანი, თითქო გაზაფხულის ჭაქს ამ ბუნების ნებივრებისათვისაც—სამთარ-ზაფხულ მდიდრად შემოსილებისათვის—მეტი სიცოცხლე მიენიჭებინა. ცა იყო უმთავარო, მაგრამ ამ გაზაფხულის ღამეს ვარსკვლავები თითქო მთავარს სინათლით შესცილებოდენ. მტკვარი წუნარად მოდიოდა და მისი შეურყეველი ზედა-პირი ოდნავ-მხუცავ ვარსკვლავებსაც კი უუეროდებოდ არ სტოვებდა და ყველას ანთმევდა.

სარკს — სინათლეს — შეძლების კვალობაზედ. გრილი ნიაკი... მაგრამ განა ღამე ბორჯომის სეობას გრილი ნიაკი მოაკლდება! ვინ ილანაკებს წყლის სისველეს, ჭვის სიმტკიცეს, თუ არ უბედი და მე სრულებითაც არ მინდა, რომ უბედობა დამწამოს ვინმე.

ჩვენ მივდიოდით ბორჯომის სეობაზედ. უკან დაგვიჩნა ბორჯომი, ეს ეკრობიდან გაუვალს ტყეში გადმორგული შენობათა სიმწკვლე, ეს ახალთათახატთა საათახატო და წინ გვედგა ახალ-ციხის მარჯა, ძველებური სამცხე-საათახატო.

თითქმის საშურიდამ მოყოლებული ახალ-ციხემდე ფოსტის გზა მტკვრის მარცხენა ნაპირს მისდევს. ჩინებულთა ეს გზა, მაგრამ დიდი სარკიც დასჭირდებოდა მის გაყვანას. ვინ მოსთვლის რამდენის მთის გაჭრა დასჭირდებათ, ამ მთებისა, რომელთა კალთები მტკვრის ტალღებამდე არიან ჩასულნი და მტკვარი შეუზოვრად ებრძვის მათ, იერიშით მიდის და ყოველს მისვლაზედ რამდენსმე კენჭს, მიწას და სანდისსან დიდს ღოდებსაც ატლის. ესლა კი კაი გზაა გაყვანილი, მაგრამ უწინ, სამცხე-საათახატოს და ათახატების დროს ეს გზა ძნელად გასაყველი უნდა ყოფილიყო. გზის უქონლობამ და ამ ქვეყნის მივარდნილობამ ჩაგონა ალბად სამცხე-საათახატოს მთავრობას, — გასდგომოდენ საქართველოს მეფეებს და ეძიათ თავისუფლება. სადაც ბუნება არ შეელოდათ, უზარმაზარი ცისებობი ბუნების მაგეობას ჩადიდენ. თავისუფლებისა და უფლების სიყვარულმა გაიტაცა სამცხე-საათახატოს უფროსნი და მეტამეტე საუგუნეშივე სარგის სპასალარმა თითქმის დამოუკიდებლობა მიიღო და იმის შვილის-შვილი სარგის ათახატად დამტკიცა საქართველოს მეფემ გიორგი ბრწყინვალემ.

მაგრამ მარტო საქართველოს მეფეები არ იყვნენ საშიშ-

ნი სამცხე-საათაბაგოს თავისუფლებისათვის, მეორე მხარეს უფრო საშიში მტერი ჭყავდა, რომელიც თავისუფლებას გაქდა საწმინდობასაც ავის თვალით უჭქეროდა. ეს მტერი იყო ოსმალები.

პირველს ხანას სამცხე-საათაბაგოს ისტორიისას — საქართველოს მეფეების სეფილამ განთავისუფლების ძეხნას — მოჭყვავ მეორე ხანაც — განუწყვეტელი ბრძოლა ოსმალებთან თავისუფლებისა და ქრისტიანობის დასაცვლად.

წელანვე ვთქვით, რომ სადაც კი ბუნება მთა-გორებით ვერ იფარავდა სამცხე-საათაბაგოს, იქ ხალხს დიდროვანი ციხე-სიმაგრეები აუშენებია. ბევრგან არის ეს ციხე-სიმაგრეები, მაგრამ უფრო იმისთანა ადგილებშია მოქცეული, სადაც მტერი გზას ვერ აუჭტევდა. ქართლიდამ მომავალს ჯარს შიგ კრიჭაში აქვს ჩადგმული აწუურის ციხე; ჯავახეთიდან მომავალს წინ უზარმაზარი ხერთვისის და ასპინძის ციხე დახედება, სამცხე-საათაბაგოს შუაგულში კიდევ ახალ-ციხის ციხეა მალა აჭიმული.

თუმცა ხალხმა ურიცხვი ოფლი და სისხლი დაღვარა ამ ციხეების აშენებაზედ, მაგრამ მაინც პირველსავე იერიშით მოსულას ოსმალებისას ვერ გაუძლეს. ციხეების ამშენებლებს ზარბაზნების ტყვიის ძალა სახეში არ მიუღოთ და ოსმალებს ზარბაზნებით ძალე დაერღვიათ სამცხე-საათაბაგოს ციხე-სიმაგრეები.

მაგრამ ოსმალები პირველშივე თურმე ასე ბრყუულად არ აქცევოდნენ. ორპირული პოლიტიკა ოსმალების სელობას და ამ გვარი პოლიტიკა სამცხე-საათაბაგოსთანაც ესმართ. 1626 წ. ათაბაგმა ბექა მესამემ უღალატა მამა-პაპის საწმინდობას და გამაჭმადიანდა, მაგრამ უფლებს კი არა ჩამოერთმევია-რა ჯ

თუ ხაზჯს ისდიდა, ამ ხაზჯსაც ნება-ყოფლობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველში ოსმალის ჯარი არ მოდიოდა სამცხე-საათაბაგოში, თუ თითონ ათაბეგი არ მოიწვევდა. ქრისტიანობაც ჯერ-ჯერობით ხელ-უხლებელი იყო და ოსმალის მთავრობა ცდილობდა მხოლოდ ძალად—შეერთებულ ქვეყნის თავად-აზნაურობისა და ათაბეგების შორის შუღლი ჩამოეღო და ამით დაენაწილებინა ოსმალეთის წინააღმდეგ მომქმედი ძალა. ბოლოს, წარსულ საუკუნის ნახევარში, სრულიად ჩამოაწოტა უფლება ათაბეგების გვარსა და მიანიჭა იმ დიდებულ გვართა, რომელნიც გამაჰმადიანდენ და ოსმალეთის ერთგულობას სხვებზედ მეტად იჩენდენ. რასაკვირველია, ოსმალეთის მთავრობა ამ შემთხვევაში იხმარებდა ცბიერის მთავრობის ჩვეულებრივს ღონეს—მახუზლართა და თავის ქვეყნის ორგულთა დაჯილდოებას და მამულის შვილების დაჩაგვრას, დამახუზებას, მამულიდამ განდევნას.

ოსმალეთის მთავრობამ ყოველ ამ ღონეს გარდა იხმარა ერთი სხვა ღონეც, რომელმაც ორასის წლის განმავლობაში ბევრად უმეტესი ნაწილი ქართველობისა გაათათრა, თავიანთ მამა-პაპის რჯული დაავიწყებინა:

ეს ღონე არის ბატონ-ყმობის მოსპობა.

ამ ღონის ხმარებას ნურც ოსმალეთის შორს-გამჭრეტელობას დავაბრალებთ. თვით რჯული მაჰმადისა უცრმალავს მე-ბატონებს მაჰმადიანების ყმებად ყოლას და რაკი ეს რჯული სამცხე-საათაბაგოში გავრცელდა, ბატონ-ყმობაც თავისით უნდა მოსპობილიყო.

თუმაც რჯულის გამოცვლა ბრწყინვალე მომავალს უჭადიდა გლეხ-კაცობას, მაგრამ დღესაც ბუკრია ახალ-ცინისა და ჯავახეთის ახალ-ქალაქის მარცაში სოფლები, რომელშიაც ქარ-

თველებს ქრისტიანობა წმინდად დაუტყავთ. რამოდენა ტანჯვა-წვალება უნდა გამოეყარა ამ გაბნეულ ქართველობას, ცალკე თავიანთ გათათრებულ მეზობლებისაგან. ცალკე ოსმალეთის მთავრობისაგან, ცალკე თავიანთ მებატონეებისაგან!

ამ ჭირში და წვალებაში გაუტარებიათ მთელი ორი საუკუნე სიზაზავრას, ჭილდას, ბარაჯეთს და სხვა კიდევ ბევრ სოფლებს. მაგრამ ეს სოფლები ახალ-ციხესა და ახალ-ქალაქს შუა მდებარეებენ და ჩვენ ახალ-ციხეს არც კი გავცილებივართ.

ახალ-ციხის მარჯვენა მხარის მდებარეობა აქვს, მაგრამ რადგან ნიადაგი მეტად კირ-ნარეკია, ადვილად სურდება და დიდს სიტკბოს აძლევს მასზედ ამოცნებულს სენილს. ამიტომაც ახალ-ციხის ხეხილი, მეტადრე ვაშლი და მსხალი მეტად განთქმულია.

კიდრე ახალ-ციხეს მივიდოდეს გაცი, უნდა გაშორდეს მტკვარს და აჭყვევს მტკვრის ჩასართავს მდინარეს—ფოცხოვს, საკმაოდ ღრმასა და განიერს. თვითონ ახალ-ციხე ამ მდინარეზედა მდებარებს და ეს მდინარე ჭყოფს ძველსა და ახალს ქალაქს ერთმანერთისაგან.

ახალ-ციხეში, როგორც თითქმის ყოველს საქართველოს ქალაქში, არეული მოსახლეობაა: სომხები, ფრანგები, კობაკელები, თითქმის ყველანი ქართულად ლაპარაკობენ, გარდა უგანასკნელად ერზრუმიდამ გადმოსასლელულ სომხებისა, რომელნიც კალასაკით მოსდებიან მთელს მხარეს და მთელი ვაჭრობა ხელთ ჩაუგდიათ. ახალ-ციხეში კიდევ ეტყობა, ვისი ყოფილა უწინ ეს ქვეყანა, მაგრამ გარეშე მოსოფლები რომ დაიაროს კაცმა, ასე ეგონება ანის ქალაქის არემარეში დავდივართ, ან კიდევ ქუერთის ტანშიო. აქ წმინდა ქართველობა ძალიან ნაკლებად არის. უფრო შესვლადით გათათრებულ ქართველობას,

სომხობას, ქურთებს და თარაქამებს, წაღაც უცხო სალსებს, რომელთ დასაწყისი მეცნიერთ ჯერედაც არ გამოუგველიათ.

ეს ძველის-ძველი ქართველების ქვეყანა, დიდებული სამ-შობლო დიდებული რუსთველისა, ეს ქრისტიანების სისხლით მორწყული ნიადაგი, ესლა ქურთების, ერზერუმელების სადგურად გადაქცეულა. მოგზაურს უგრძობლად ეუბნება კუჩერი ახალ-ცისეს იქით პირველი სტანცია რუსთავიაო, მასუგან ახ-პინძაო. რუსთავი... ეს არის ესლა პატარა, ნეხვით საკვე სო-ფელი, რომელშიაც ათიოდ ნასეკარხედ-ველური ქურთი სდგას. ახპინძა... ეს არის ესლა გათათრებულ ქართველების ბუდე.

სწოტედ ესლაა შესაფერი, რომ კაცი მიუბრუნდეს ახ-პინძისა და რუსთავის გვერდით მომდინარე მტკვარსა და უთ-ხრას:

«ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი!
«მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი.»

ასპინძაში სეხილი ბლომად არის და აქაური მცხოვრებ-ნი სენა-თესვასაც მისდევენ. აპრილის დამდეგი იყო ღ ახპინძის მინდვრებში ჯვეილი მწვანედ ბიბინებდა. ხალხს აგრეთვე მა-მულის გაპატოვებაცა ჰყვარებია. მინდვრებში ყველგან უხვად იყო ჩამწკრივებული პატოვის გროვები, იმ მინდვრებში, რომელნიც ოდესმე, ამ ასის წლის წინად, უხვად იყვნენ კაცის სისხლით გაპატოვებულნი.

ასპინძელებს სახეზედ ეტყობათ, რომ ესენი სწოტედ ქართველის სისხლისანი წრიან და ოსმალოს სისხლი თითქმის სრულებით არ ურეკიათ, მაგრამ, ღმერთო! რა ცუდილება მო-უსდენია საწმენოების ცუდილებას ამათ ცხოვრებასა და სა-სიათში! რენანი აძობს, რომ ეროვნების დედა-აზრი საწმენ-ნობაზედ არ არის დამყარებულდო. დიადაც ასეა, სადაც საწ-

წმუნობა ეს უომრად რგებია და უომრადვე აქვს დაცული. მაგრამ რომელს ერსაც კი იმდენი ხანი დასჭირდება სარწმუნოებისათვის ბრძოლა, რა ხანიც ქართველობა იბრძოდა, ამ ერისათვის სარწმუნოების შეცვლა და შეცვლა ეროვნებისათვის და იგივეა. ჰკითხეთ, მაგალითად, ასპინძის მცხოვრებს: ვინა ხარო? მოგიგებთ მუსულმანი ვარო. ქართველობას აღარა კისრულობს. რაკი სარწმუნობა შეეცვალა, შეეცვალა ენაც, ჩვეულებაც, წნეც; შეეცვალა ერთის სიტყვით, ყოველისაგან, რაც კი ერთს ერს მეორისაგან განაჩევს, გარდა სასის შეტყულებისა, რომელიც შეეცვლება აგრეთვე დროთა-გითარებისაგან. სარწმუნობა მრავალ საუკუნე ომ-გამოვლილ ხალხისათვის შეადგენდა უმთავრესს ბურჯს ეროვნებისას. იმ ბურჯსეც სხვა მცირე კომპებიც იყვნენ, აშენებულნი, მაგრამ ნება-უნებლიედ უმთავრესს ბურჯთან ერთად უნდა დამსობილიყვნენ.

მე მომიხდა ერთს ასპინძელთან იმის ვინაობაზედ ლაპარაკი, თუ ლაპარაკი დაეკმის ჩემგან ქართულად ორიოდ კითხვას და იმისაგან პასუხად თავის დაქნევას. ქართული ესმოდა, მაგრამ პასუხის მოცემას კი ვერ ასერსებდა, ან არ უნდოდა. ეს კი მითხრა, რომ დედა-ჩემმა კარგი ქართული იცისო. ეტყობა ამ ხალხში ქართულის სწავლა თან-და-თან კლებულობს.

თათრების შემოსვლის შემდეგ, შემოსული ხალხი უფრო ცხიკებისკენ მიიწევდა, ამიტომაც აწეურში, ასპინძაში, სერთვისში თათრობა უფრო გავრცელებულია და ქართულიც ისე არ ესერსებათ როგორც სხვა გათათრებულ სოფლებში.

ასპინძას იქით გზა მტკვარ-მტკვარ მიზღვეს და გვერდით უკლის წმინდა ქართულ სოფლებს: ხიზახვარას, ბარალეთს, ქილდას, რომელნიც მთის გადაღმა მის იღლებში ამოფარებულიან. ამათ ენასთან და სარწმუნობასთან ერთად-ერთი ქარ-

თველური თვისებაც კიდევ შეჩენიათ — ღვინის სიყვარული. უნდა ნახოთ, რა წვალებითა და ტანჯვით გაუკეთებიათ კიბებები მტკვრის მსარეს და როგორ დაურგავთ ამ კიბებსედეკაზები. ღვინო თუმცა მუკვე მოდის, მაგრამ ისეთის ხალისითა და გულ-დადებით უფლიან ამ ვაზებს, თითქო ვეკინისა და წინანდლის ღვინო გამოიწურება მათის მტკენებიდამაო.

ამ სოფლების პირდაპირ, თუ მტკვარი მოდიდებულა, ფოსტის ტროიკა რამდენსამე აღაგას მტკვრის ტოტებში უნდა გავიდეს, რომელთაც უმიხროდაც უმზავსი გზა დაჭერილი აქვთ. აქ ერთი საზარელი შემთხვევა ვნახეთ და ამ შემთხვევამ ცხადად დაგვანახვა, რომ ყოველისფრით უკან ჩამოჩხო-მილან ქრისტიანები გათათრებულ ქართველობას.

მტკვარი ადრების გამო მოდიდებულყო და სიზაბაკრას პირდაპირ რჩ ტოტად იყოფებოდა. წყლის ნაპირას ერთს წყალზედ გამოგზავნილს ათის წლის ბავშვს ფეხი მოსსლე-ტოდა, ჩავარდნილიყო და მტკვარს შუასედ მიეგდო. იქ ბავშვს რაღაც უღონო ჩირკვისათვის ჩაეკლო ხელი და საწყალობელის ხმით შეკლას თსოფლობდა. ვენახებში მომუშავე ბევრნი შეიყარნენ წყლის ნაპირზედ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შებედა. არც ერთმა წყლის ნაპირას მცხოვრებმა ცურვა არ იცოდა. დაიწვეს მასილი, სერთვისში კაცი გავეზავნოთ, იქ თითქმის ყველამ ცურვა იცისო. მაგრამ სერთვისა ათს ვერსზედ იყო მოშორებული და ბავშვი ვი ძლივსლა ეჭიდებოდა ჩირკვს სიცივისაგან დახრუკულის ხელებით. კარგია, წამოგვეშველა ერთი ფოსტის გუნერი, რომელმაც ტოტათი იცოდა ცურვა, თოკ-მოხმული შევიდა წყალში და უვნებლივ გამოიყვანა ბავშვი.

მარტო სიმარჯვით არა სჯობნის გათათრებული ქართველობა ქრისტიანებს. ვერც სახით, ვერც ტანით ქართველები

არ არიან მოსდენილნი, მაგრამ გათათრებულები კი სიღამა-
 შით შოგიერთ სოფლებში ქვეყნიერებასკად უღამაყესს ხალხს
 უკან არ ჩამოაჩნებიან. რას უნდა დაბრალდეს ეს მოკლენა? რა-
 სკვირველია იმას, რომ გათათრებულებს უფრო მეტი ძალა ღ
 გავლენა ჰქონდათ ამ მხარეში და საცა კი ღამაში ქალი გაჩნდე-
 ბოდა, თავისთვის მიჭყავდათ. ამ გვარად, როგორც ეს ღამა-
 რიუში გროვდება, რაც კი რამ მშვენიერია მთელს საიერანგეთ-
 ში, ისე, რაც კი რამ სასარბიელო იყო სამცხე-საათაბაგოში,
 ყოველივე გათათრებულ სოფლებში გროვდებოდა, მეტადრე-
 იმ სოფლებში, სადაც ოსმალეთიდან მოსულები სასლდებოდენ,
 ე. ი. ცისეების ახლო.

ამით აისხნება, რომ ხერთვისისთანა ღამაში ხალხი ეს-
 ღა გგონებთ გურიაში და სამეგრელოშიაც არ მოიზოგება.
 იქაური ქალები სინაშით და შირის - კანის გამჭვირვალობით
 განთქმულ შაჭ-აღმის ჯაშღს მოგაგონებენ.

ხერთვისის ხეობა ძალიან სიღამანი მხარეა. ვაშლი და
 მსხალი აუარებელია. მთელი სოფელი ბაღებშია და ხილითა
 სტროვრობს. ეს ისეთი ვიწრო ხეობაა, რომ სასნავ-სათესი მი-
 წა არსად არის. ხესილის მოსავალსკად არის დამოკიდებული
 ხერთვისელების ყოფა-ცხოვრება.

ხერთვისში მე შემსვდა იქაურ სკოლაში შესვლა. ეს სკო-
 ღაა ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისა და ქართუ-
 ღის სწავლება ამ საზოგადოების სკოლებში არსად არ არის
 მიღებული. მასწავლებელმა ბ. გ—ქემ კი მითხრა რომ ბავშვებს
 ესალისებათ ქართულის სწავლა და წიგნები რომ არა გვაქვს,
 ვაწვავებით და ხელ-ნაწერსკად ვასწავლითო.

ამ მხარეში ამ საზოგადოებას თურმე ექვსი სკოლა აქვს:
 ხერთვისში, ბარალეთში, სიზაბავრაში, ტოლოში, ქილდაში

და მუსხში. ეს სოფლები, გარდა ხერთვისისა, წმინდა ქართული სოფლებისა და ქართულის სწავლა კი გამოკლებულია. ეხლა ვიგრძენ, რა ეარკი განსიძე მიმქონდა ამ სკოლებისათვის — ეს იყო სამასიოდე ქართული წიგნი, წერა-კითხვის საზოგადოებისაგან გაგზავნილი ამ სკოლებში დასარიგებლად. სადაც კი ქართველი მასწავლებლები არიან, იქ ადვილად შეიძლება ქართულის სწავლებას, მაგრამ ზოგან, მაგ. მუსხში, ბერძენი დაუნიშნავთ, რომელსაც, რასაკვირველია, ეს ძალიან გაუძნელდება.

ხერთვისი მდებარებს ახალ-ქალაქ — ჩაის შესართავზედ, მტკვართან. აქ გზა ორად იყოფება: ერთი — ფოსტისა ახალ-ქალაქ-ჩაის მიხედვს, მეორე კი — ძველი გზა — მიჭყვება მტკვარსა.

ხერთვისიდან, და კიდევ უფრო ახლო, იწეობა სრულიად უტყეო ქვეყანა. ხერთვისიდან ათს ვერსზე სძევს ნაქალაქევი, ძველი დიდი ქალაქი, რომელიც კურდებითევა დასახლებული და წვიის გორებით დატვირთული. წვია აქ შუშის მაგიერობას ჩადის.

ნაქალაქევს ახლო სახელ-განთქმული ვარძიანა, მაგრამ ამისთანა დიდებული მოსაგონარი, რაკი არ მინახამს, რომ არ მესხენებინა ის სჯობდა ასე უბრალოდ ხსენებას.

გზა ხერთვისსა და ნაქალაქევს შუა მოსაწეენია, მაგრამ რა შეედრება ამ მხრავ იმ ხეობას, რომელიც ახდეკს ახალ-ქალაქ-ჩაის და რომელზედაც ფოსტის გზაა გაყვანილი. ხერთვისიდან ახალ-ქალაქ-მდე, — ოც-და-ხუთის ვერსის სიშორეზედ, სრული უაჯურობა და უდაბურობაა. უდაბურობას ვინა სჩივის, მწვანეს ვერ დაინახავს მგზავრი. შუაში მოდის კლდედრეებზედ სირბილით ახალ-ქალაქ-ჩაი და ორსავ მხარეს სსვა-და-სსვა ფერის კლდეებით არის შემორტყმული. ეს კლდეები

ცეცხლის მიერქვეველის ძალის ნაყოფის და იმიტომაც არის ასე სხვა-და-სხვა ფერად შეღებილი, თითქო მსატყარს ზოლ-ზოლად დაუხატავსო.

მგზავრი არ შემოგვხვედრია მთელი თხუთმეტი კეჩსი, მაგრამ ბოლოს ერთი ისეთი სურათი ვინახეთ, რომელმაც მგზავრის უნახავობაც დაგვაფიწვა და ეს უბადრუკი ბუნებაც-ჩვენ დავეწიენით ორს ცხენოსანს, მშვენიერად დარასტულ არა-ბუღს ცხენებზედ მსხდომს. ერთზე იჯდა ამაყის სახის მქონი ეჭენდი, რომელსაც თვალებში კმაყოფილებაც ეტყობოდა და ბძანებლობაც. მეორე ცხენზედ თეთრს ჩადრში გასვეული რაღაც ღამასად მოყვანილი არსება. ტანის რსევასზედ ეტყობოდა, რომ უძაწვილი ქალი უნდა ყოფილიყო და ეფენდისაც ეტყობოდა სასეზედ დახატულ კმაყოფილებასზედ, რომ ეს ქმნილება მისი ცოლი იყო. ჩვენი ტროიკა მათ დაუშირდაშირდა. ქალს ცნობის-მოყვარობამ დასძლია, ჩადრის კუთხე ოდნავ ასწია და ჩვენსკენ შემოისედა. ჩვენც შევხედეთ, მაგრამ ქურციკივით ფრთხაღმა ელვასედ უსწრაფესად გადიფარა ჩადრი იმისთანა სასეზედ, რომელიც მართლა რომ ივარგებდა ნესტარ-დარეჯნად ზიჩისაგან დადგმულ ცოცხალ სურათებისათვის.

ჩვენც დაგვძლია ცნობის-მოყვარობამ, ვივითსეთ გზასზედ მათა ვინახობა და შევიტყუო, რომ ეჭენდი სერთვისელი იყო და იქ მიმავლებულიყო.

ასალ-ქალაქ ჩაისა და მტკვრის სეობის შუა ჯავახეთის მაღლობი ვაკეა. უტყუო, უხილო, უხეო, მაგრამ მშვენიერი შავი მიწა, მოსავლის უხვად მომცემი. აქვე მდებარებს ჯავახეთის ასალ-ქალაქი, რომელზედაც ასად ითქმის სასელი ქართველებისა და სახრავი კი სომხებისაო. თვალათვის, გულისათვის, გრძნობისათვის—ეს ქვეყანა არაუგონია: არც თვით ქა-

ღაჭი და არტ მისი არე-მარე, მაგრამ გუჭისათვის კი—ღვთის
წყალობას და სწორედ გუჭის ხალხსაც მიუგნია მისთვის.

მოდო, მამ ამ ორიოდ სიტყვის მეტს ნურას მათგმევი-
ნებთ ამ გუჭის ქვეყანაზედ.

ზინაური მიმოხილვა.

გაზაფხული ჩვენში განკითხვის დღეა—ამით არის ჩვენში შესანიშნავი გაზაფხული—ჩვენი უტყველობა—ენის ადგმა—ახალი მაგალითი—საზოგადო მნიშვნელობის ძარღვი—მეტყველობის ფერი და ღირსება—სიწყევა საქმეა—შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა—უიმისოდ და მისით—ისტორია და ისტორიის ღირსი ერი—უწინ, როცა...—რა მოასწავებს შემოქმედობითს ძალსა—წლებადელი საზოგადო კრება თბილისის ბანკისა—ორი დიდი საგანი—საყოველთაუო საქიროება სწავლა და განათლება—ხმა-გაკმენდილი «მე» და მღაღადებელი «ჩვენ.»—ჩვენდა სამწუხაროდ—წარა მარა ღაპარაკი—«შრომის» ღიბერალობა—უსაფუძვლო სამდურავი ჩვენს ბანკებზედ—რის იმედი უნდა გვექნოდა—აღსრულდა თუ არა იმედი—გურიისა და გორის თავად აზნაურობის წინადადებანი—ნათი მნიშვნელობა—ეროვნული ღირსება და მისი შედეგი—კაცებს შერჩავა—საბუთიანის აზრის თვისება.

გაზაფხული ორწნაიწად შესანიშნავია ჩვენში: ვერ ერთი რომ მთელი უტყვი ბუნება მთელის მშვენიერებით და სიცოცხლით ფეთქას დაიწყოებს სოღმე დამიანის თვალისა და გულის სელსენად. ეს მხარე გაზაფხულისა პოეტებს ღამაზათა აქვსთ ათასწაიწად აწერილი და გამოსატული. ჩვენ ამის შესახებ სიტყვას მოკლედ მოკსჭრით და პოეტებს ცილობას ან გაკუმართავთ. ჩვენ მეორე მხარეს გაზაფხულისას კვალში ჩაგუდგებით და იმაზედ მივაქცევთ ყურადღებას. მეორე მხარე

გაზაფხულისა მარტო ჩვენშია გამოჩენილი და იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ მეტყველი ბუნებაც, ესე იგი აღმდინი ჩვენში მოძრაობაში მოდის. სსკაცან გაზაფხული ქეიფისა და ღვინის დროა. გაზაფხულს ეს სიკეთე არც ჩვენში აკლია, მაგრამ ამასთანავე ჩვენში გაზაფხული განკითხვის დროც არის. ყოველი მომჭმედი შირი საზოგადო საზრბიელზედ, თუ საზოგადო დაწესებულება ჩვენში გაზაფხულზედ განკითხება ხოლმე საქვეყნოდ. ეს ჩვენებურს, ქართულს გაზაფხულს როგორღაც დაკვირვება. არ არის ჩვენში არც ერთი საზოგადო საქმისათვის შემდგარა წესდება, რომ ვალად არა სდებდეს მომჭმედთ შირთა წარდგენს მთელის თავისის ცოდვითა და მადლითა განკითხველთა კრების წინაშე სწორედ იმ დროს, როცა ან გაზაფხული იწყობა, ან თავდება.

თბილისისა და ქუთაისის ბანკები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწე თბილისის თავად-აზნაურთა საზოგადოება, ქართული დრამატული საზოგადოება და სსკა ამისთანანი ყოველს წელიწადს გაზაფხულზედ მოკალენი არაან თავიანთი აკაკარგიანობა საქვეყნოდ გამოჭეუნონ და ყოველს კაცს სიგრძე და სიგანე თავიანთის მომჭმედებისა ვასინჯონ და ვაზომინონ. გარდა ამისა ისევ გაზაფხულზევე, სამს წელიწადში ერთხელ, ესევე ამბავი უნდა დაემართოს ხოლმე საზოგადო კრებას გუბერნიის თავად-აზნაურობისას. ამ მხრით ყოველი გაზაფხული ჩვენთვის მეტად შესანიშნავია. უტევს ბუნებასთან ერთად ჩვენც ვიდვიძებთ ხოლმე და თავს ვახელთ. გარდა ამისა მთელის წლის განმავლობაში გაუქმებული ნიჭი მეტყველებისა, დაბმული ესა, ამ დროს იქვს აიდგამს ხოლმე და ვარჯიშობას მოჭეკება. ჩვენნი მოძმენი ქართველნი, მთელს წელიწადს სმა-გაკემენდილ-

ნი, ამ დროს კბილსა და ენას იღვსვენ და რაც მთელს წელიწადს დაჭკლებიათ, ცდილობენ გაზაფხულას მოკლე ხანში ლაპარაკით და ხასით შეისრულონ. თუძცა ამ ბოლოს ხანისამდე ლაპარაკი და ხასი ისე ტყუილ-გობრალო მასლათი იყო, ცარიელი ვარჯიშობა ენისა, მაგრამ დიდხნობამდე არც ეს იყო. ჩვენს უტყველობას არც გაზაფხული შეელოდა და არც სხვა დრო. ყოველს წმს და ყოველს წმს უტყუენი ვიყავით და ენას არავითარი შემთხვევა არ ამოგვადგმევინებდა ხოლმე.

ამ უკანასკნელმა წელიწადებმა კი სულ სხვა მაგალითი გვაჩვენეს. გამოჩნდა, რომ აზრიანი ლაპარაკი ჩვენც შეგვიძლება, გამოჩნდა რომ ლაპარაკის საგანიც გვქონია, გამოჩნდა, რომ ტყვიელები ჩვენთვისაც საგრძნობელი ყოფილა და ნიჭის ტყვიელების გრძნობისას ჩვენშიაც გამოუღვიძნია. ეს კიდევ დიდი არაფერი იქმნებოდა, რომ ყოველს ამას ერთი რამ მეტად სანუგეშო ზედ არ მოჭყოლდა. ის ერთი რამ—ის საზოგადო მნიშვნელობის მარღვია, რომელმაც ამ ბოლოს ხანებში მეტად ძლიერად ცემა დაიწყო ჩვენში. ჩვენდა სანუგეშოდ, დღეს ამჟამად ვხსნის, რომ ბევრს ჩვენგანს გული გახსნია საქვეყნოდ, ბევრს ჩვენგანს უგრძნია და უცვნია ის ტყვიელები ქვეყნის ტყვიელებათ და თუ იღვწის ესლა მათ გამო, პირადი აზარში და გამორჩობა უკან დაუყენებია ღმერთს საზოგადოს, საქვეყნოს სიკეთეს ეტანება მთელის თავისის შემდებთა და ღონითა.

ამიტომაც ჩვენს მეტყველებას ამ ბოლოს დროს და ნამეტნავად წელს სწორედ ადამიანური ფერი და ღირსება დაეღვა. ამიტომაც ჩვენს სიტუვას ღონე და ძლიერება მიეცა და ფარ-ხმალად შეექმნა ყოველს საქვეყნოდ მიმართულს მოჭმელებას. რა კი საქვეყნო სიკეთისათვის აზრი დაიმტა ჩვენში,

რაკი საქვეუნოდ მომართული აზრი გულში გამოგვეკვანძა, რაკი თვითვეულში ვეკლასა კხედავთ და ვეკლავი თვითვეულს, რაკი გულ-ქვა «მე» უკან დადგა და გულ-მტკივნეული და რისიანი «ჩვენ» თავ-მოღერებით წინ წამოდგა, მაშინ სიტყვა უბრალე ღაჭლანჭი არ არის. მაშინ სიტყვა საქმეა. მაშინ სიტყვა ხმაღსედ უფრო უკეთ ჭსჭრის, ღ სარბასანსედ უფრო ძლიერ მოქმედობს. მაშინ სიტყვა ძალა და ძლიერება.

როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ თვითონ თქმა ქმნად გადიქტევა სოღმე. ამ გზით სულ-ჩადგმული ცხოვრება მოედანსედ გამოდის და შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა აღარ უქმობს, არამედ იღვიძებს და ფრთას ისხამს. ეს შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა სათაკეა ყოველის წარმატებისა და მაგ ძალის ძლიერებასედ დამოკიდებულია ყოველი იმედი ცხოვრების წინ წადგომისა და განკარგებისა. საცა ეგ ძალი აღძრული არ არის, იქ ცხოვრება დგას ვითარცა გუბე და გუბესავით შსამავს და ჭსწამლავს გარეშემო ჭარსა. აღამიანიც, იმ ჭარში სულის მბრუნავი, ცოცხალ-მკვდასავით ზღაზუნით და ხანსაღით დატანტალებს უგულოდ და უსულოდ ცხოვრების მოედანსედ, როგორც სასაფლავსედ, თითქო მარტო იმისათვისაო, რომ ერთი პატარა ადგილი იშოვოს, საფლავი გაითხაროს და შიგ ჩაწვეს. საკვირველიც არ არის. იქ მაცხოვარი სიო განახლებისა არ დაჭბერს ცხოვრებასა და ამის გამო დღევანდელი დღე მკვდარია სვალისათვის, როგორც გუშინდელი დღევანდელისათვის იყო. ამიტომაც აღამიანს აღარც გუშინდელი ახსოვს, აღარც დღევანდელი ჭსწამს და აღარც სვალინდელს ეტანება. ყოველს-ფერსედ გულ-აურილია და ცხოვრობს მარტო იმისათვის, რომ მოკვდეს, როგორც მეტ-ხორცი რამ, როგორც შემთსვევით

მოხული და შემთხვევითვე წასასვლელი. ერთის სიტყვით, ადამიანი გამოფუფუნულია, გამოცაჩივლებული და ამიტომაც თვითონ მისი ცხოვრებაც სიკვდილია და არა სიცოცხლე.

გაჩნა იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალი შემოქმედობისა აღძრულია, ადამიანი ჭკრძნობს, რომ იგი შეიღია გუშინდელისა, მოჭირნასულეა დღევანდლისა და დამხადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი ერთ რთულ, დაურღვეველ ჯაჭვად მიანჩნია და იმ ჯაჭვში თავისი-თავი რგოლად წინასა და უკანასკედ მტკიცედ გადაბმული. მაშინ ადამიანი თავის-თავს მართლად-და ადამიანად ჭსტნობს, ეგ ცნობა საკუთარის თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარის თავის ღირსება ჩაგრულ-ყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებელი გ. მოჭყვას ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად. გმირებს, სახელგანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ჭბანდავს.

რაკი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ დაიძრა შემოქმედობითი ძალი, ერთს ნამოქმედს სსვას სამოქმედო საგანი სუდ მოჭყვება, ერთი მეორეს ჭმობს, მეორე მესამეს და ეგრე გაბმნის ხალხე ის ფერადი გრესილი ცხოვრების მოძრაობისა, რომელსაც ისტორიას ეძახიან. ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა შექმნის ისტორიას; უმაგისოდ ნუნა ერი ნუ დაიჭადებს ისტორიის ღირსი ერი ვარო. უწინ, როცა ჩვენში ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ფეს-ადგმული იყო, აკი ისტორიაცა გვქონდა, აკი გმირებიცა გვეყანდა, აკი დიდი მწერლებიც და პოეტებიც აღმოგვიჩნდენ, აკი იმ აღმატებულ ყოფი-ცხოვრებადინაც მივალწით, რომლის დიდებულებამაც თამარ-მეფე საუგუნოდ სასსოვარი გასადა ჩვენთვის...

ამ ბოლოს სანებმა და ნამეტნავად წლეკანდელმა წელმა სულ სხვა სანუკეშო ნიშნები წამოგვიყენა თვალ-წინ. აშკარად დაგვანახვა, რომ სულ-განაბრულს ღმირ-გაკებენდილს ჩვენს ცსოკრებას უჩემანად როგორღაც უმოქმედნია და ის მიმკვლარი, დიდი ხნის დავიწყებული ძალი შემოქმედობისა, თუ სრულიად ფეხსეად არ წამოუყენებია, ადგილიდამ დაუძრავს მანცა. აშკარად დაგვანახვა, რომ ქართველობას თავის ყოფა-ცხოვრებაზედ თვალი აუხილებია და იქ თვითვეული ჩვენგანი ცალკე კი არ დაუნახავს, არამედ ყველანი ერთად, საზოგადოდ. ჩვენ ამას დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ, იმიტომ-რომ მართლ სწორად, საზოგადოდ დანახული ჭირი, თუ ლხინი მოასწავებს შემოქმედობითის ძალის დახედებას და მოკლენებას. მაგის გარეშად მაგ ძალს არც მიზეზი აქვს თავის გამოჩენისა და არც საზრდო ჩჩინისათვის.

წლეკანდელი საზოგადო კრება თბილისის სათავად-ახნაურთა ბანკისა რომ გენახათ, სწორედ გულ-მსიარული წასვიდოდით შინ და იტყოდით: მადლობა ღმერთსა, ამასაც შევესწავითთა, რომ ჩვენს ქართველთა კრებაში აზრი აზრს შეეკამათა, აზრი აზრს წინ დაუდგა და არა პირადობა პირადობასა. ჯერ ერთი ეს იყო ამ კრებაში სასიამოვნო, რომ რიცხვით ეს კრება აღემატებოდა თითქმის ყოველს კრებებს, ამ ეჭვს წელიწადში მომხდარს. მეორე ესა, რომ არ იყო არც ერთი წინადადება, არც ერთი საგანი, რომ უძრავლესობისაგან გასინჯული, განხილული არ ყოფილიყო საზოგადო, საქვეყნო მოთხოვნისა. მიხედვითა. თითქმის ყოველს მოლაპარაკეს წინ ის საზოგადო სიკეთის სურვილი მიუძღოდა, რომელიც ეგრე ამშვენებ-

რებს სიტუვას და უოკელს კაცს ხალხის უღვიძებს საზოგადო საქმის მიმართ და ამსწევებს შემდეგის მოქმედებისათვის. ამ საზოგადო სიკეთის სურვილით მოწოდება სიტუვამ გააცოცხლა კრება და გულ მოდგენება საზოგადო საქმისადმი გამოიწვია დასწრეთა შორის. ერთის სიტუვით, ეს კრება გულდადინჯებულ, ჭკუა დამჯდარ ადამიანთა კრებასა ჰგვანდა, იმ კრებას, რომელიც იმოდენად ძლიერადა ჰგრძობს თავის მოვალეობას ქვეყნის წინაშე, რამოდენადაც კრების საგანა, თუ საქმე—ქვეყანას შეეხება.

ამ წლეკანდელს კრებას სხვათა შორის ორი დიდი საგანი ჰქონდა განსახილველად. ერთი წინადადება ფინანსთა მინისტრისა მასხედ თუ,—რა შემწეობა შეუძლიან აღმოუჩინოს თბილისის საადგილ-მამულო ბანკმა გლეხთა მამულების შესყიდვაში და ეგ შემწეობა რა სახლს წესსა და რიგს მოითხოვს. ამ საგანზედ წარდგენილი იყო ბანკის მმართველობისაგან ერცლად დაწერილი წინადადება, რომელშიც ნახევრები იყო ის ნაკლი, რაც საადგილ-მამულო კრედიტს სჭირს საზოგადოდ რუსეთში და რაც აბრკოლებს საქართველოში ცალკედ. სხვათა შორის გამოთქმული იყო, რომ ამ გვარის კრედიტის სიძვირეს კერ აიტანს გლეხის მეურნეობა და თუ ღონისძიება არ მოინახსა გაიეიებისა, გლეხის შემწეობა უჭმი სურვილი იქნება. გაიეიებისათვის ბანკის მმართველობამ იმისთანა ღონისძიებანი ახვენა, რომელნიც შესაძლებელნი არიან, მაგრამ ძნელად კომისალებნი მთავრობისაგან. საზოგადო კრება გულ მსურვალედ მოვიდა ამ საქმეს, თვისდა სასახელოდ, ქვეყნის საჭიროების მიხედვით, დააკვირვა თვალი და არა მიწად-მფლობელების ინტერესის მიხედვითა, მოიწონა წინადადება და გადაჭსწევიტა წარედგინოს ფინანსთ მინისტრსა.

მეორე საგანი იყო წესდების სოციალისტის მუხლის შეცვლის თაობაზედ. მაგის შესასები წინადადება, ჯერ ცალკე პირისაგან შეტანილი შედამხედველს კომიტეტში, უარ-ყოფილ იქმნა, მარტო იმ მიზეზით, რომ ნახევრების მუხლების შეცვლაზე სჯა და ლაშარაკი ჯერ ადრეაო, თუძცა გი თვითონ დედა-ასრი მოწონებულ იქმნა. შემდეგ იგივე წინადადება სა-მოცსე მეტს წევრისაგან სელ-მოწერილი მოკრთო შედამხედველს კომიტეტსკა და მაშინ გი წესდების ძალით, შედამხედველი კომიტეტი მოკალე შეიქმნა ის წინადადება წარედგინა სა-სოგადო კრებისათვის. აქაც თუძცა მმართველობა ბანკისა და შედამხედველი კომიტეტი აიტყვიცებდა, რომ სრულებით თანამკრძნობია წინადადების დედა-ასრისა, მაგრამ უდროოდ მი-ახნია მაგასედ ლაშარაკის ატესა და მაგ წინადადების წარედგინა სამინისტროში დასამტყვიცებლად. კრებამ ეს რჩევა არ მიიღო და შეუდგა მაგ წინადადების გასინჯვასა. ასტყდა გაცხარებული ბანკი და მოლაშარაკეთა სასასკლოდ უნდა ესთქვათ, რომ არც ერთს ამ საგანსედ იმისთანა სიტყუა არ წასცდენია, რომელშიაც ცხადად გამოხატული არ ყოფილიყო თვითონ საქმის სიუვარული, სასოგადო საკუთის სურვილი და თვითონ ბანკის კეთილ-დღეობა.

წინადადების შემომტანთა ასრი ეს იყო, რომ რაკი სა-ურთიერთო თავდებობა დაედვა საიუძულად ჩვენს ბანკსა და ურთი-ერთის თავდებობას კიდევ უსათუოდ მოსდევს ბანკში წევრად გახდომის უფლება, ამის გამო შესაძლოაო, რომ სხვა ელემენტის შემოგვეკრიოსო, მაგალითებრ, მოქალაქობა ღ სხვანი ამ გვარნი. ჩვენს ბანკს ერთი წმინდა და სასიქადულო საგანი უდევს წინაო: თვისის მოკებიდამ შემწეობა აღმოუჩინოსო თბილისის გუბერნიის მიწათ-მფლობელს და მიწათ მომკმედს

მცხოვრებლებსაო. ვაი თუ უცხო ელემენტმა, რომელიც სა-
 ურთიერთო თავდებობის ძალით ჩვენ შემოგვეკრევაო, ცალკე
 გაიწიოს, ამ საგანს ააცილოს ჩვენი ბანკი და ეს ერთად-ერთი
 ძვირ-ფასი საგანი ჩვენს ბანკს სელიდამ გამოაცადოსო. ამისა-
 თვის წინადადების შემოქმედნათა დაადგინათ: ის მუხლს, რა-
 მელიც ბანკის მოგების განაწილებას შეესება, შეიცვალოს იმ
 რიგად, რომ ის ნაწილი მოგებისა, რომელიც თბილისის გუ-
 ბერნიის მიწათ-მფლობელს და მიწათ-მომქმედს საჭიროებას
 უნდა მოხმარდეს, მარტო ბანკის დამფუძნებელთა საზოგადო-
 კრებას ექვემდებარებოდესო და არა ყველა წევრთა კრებასაო.
 რადგანაც საზოგადო, ესე იგი, ყველა წევრთა კრებას ნება
 აქვს წესდება შეჭსცვალოს, ამიტომაც სამკრძიმოდ შესაძლოა
 ამისთანა კრებამ თვითონ ამ მუხლის შეცვლა მოინდომოს და
 საზოგადო საჩრებლობის მაგიერ პირადს საჩრებლობაზედ მიჭ-
 მართოს ბანკის მოგება. რომ ეს ასე არ მოხდეს, წინადადე-
 ბის შემოქმედნათა დაადგინეს, რომ შეცვლაც წესდებისა მარტო
 დამფუძნებელთა ნებაზედ იყოს დამოკიდებულიო. კრებამ ამ
 საგანზედ შემოქმედნილი აზრი უარ-ჭყო და მიიღო მმართვე-
 ლობის აზრი, რომლის ძალითაც შეცვლა შემოსვენებულის
 მუხლისა იმისთანა კრებას უნდა ექვემდებარებოდეს, საცა დამ-
 ფუძნებელნი რიცხვით მთელას კრების ნასკვარს შეადგენენ.
 რამა შესამედამ კრებისამ უნდა დაადგინოს შეცვლის თაობა-
 ლზედ გარდაწვევტილება და მეტე ეს გარდაწვევტილება მეორეს,
 ამ ნაირადვე შემდგარს მორიგს კრებას წარედგინოს და თუ
 ეს მეორე კრებაც ორის შესამედის ხმით იმ გადაწვევტილე-
 ბას მაიღებს, მხოლოდ მაშინ უნდა წარსდგეს მთავრობის წი-
 საშე დასამტკიცებელად.

სსკათა შორის კრების საგნად ისიც იყო, რომ უნდა დაე-

ნიშნა რა საჭიროება უფრო საყოველთაო და უფრო უღრესი, რომელსაც უნდა მოხმარდეს ნაწილი წლეკანდელის მოგებისა. კრებამ დიდის ერთ-სულობით აღიარა, რომ მაგისტრის საჭიროება განათლება და სწავლათა და ამიტომაც ორიათასი თუმანი ერთ-ხმად შეჭსწირა თბილისის სათავად-აზნაურთა სკოლას, თელავისა და გორის ქალების სასწავლებელთათვის თუმანი თვითონ და ცეცხლით დაზიანებულთ სიღნაღის მასრის მცხოვრებთ გლეს-გაცობას ოც-და-ათი თუმანი.

ყოველს საგანს, რომელიც წლეკანდელმა კრებამ ეკეთის საქებურის გულ-მოადგინებით გასინჯა და ეკეთის გულ მტვირნეულობით თავისი გარდაწვეტილობა დასდვა, კრებამ წინ უმძღვარა საქვეყნოდ საკეთილო აზრი. მარტო ამ თვალთ გაინიხლა ეგ საგნები და ამიტომაც მოლაპარაკეთა სიტყვას თავისი დირსება, ხიცხოველე და გამჭრიახობა მიეცა. ამ საქვეყნოდ მიდრეკილმა გრძინობამ აღაფრთოვანა სიტყვა და სრულიად ჩაჩუმა უკემური «მე» და ცხოველ-მყოფელი «ჩვენ» მთელის თავის მიმზიდველის სიკეთით მოედანსედ გამოიყვანა. თბილისის საადგილ მამულთ კრებაში «მე» სმა-გაკემნდილი იყო და «ჩვენ» მლანადებელი ყოველს შემთხვევაში.

ჩვენდა სამწუხაროდ ამავე სიკეთეს ვერ მივაწერთ ყოველს შემთხვევაში ქუთაისის ბანკის კრებასა. წელს იქაც, მართლაც, საყოველთაო საჭიროებაზე და სიკეთეზე იყო მიტეული კრების უურადლება, იქაც საზოგადო საჭიროების თვალთ იყო გასინჯული წარდგენილი საგნები, იქაც ქვეყნის მოთხოვნილება და თვითონ საქმის სიყვარული წინ უმძღვარა კრებასა, მაგრამ ესეც კი შესანიშნავა საზოგადოდ ქუთაისის ბანკის შესახებ, რომ როცა არსებითად საჭირო საგანი იჩვენა, როცა თვითონ ბანკის შესახებ საქმე წარმდგარა, მაშინ

კრება წვერთა რიცხვით მცირეა ხოლმე. როცა კი რომელიმე ბანკის მოხელის არჩევანზედ მიდგება საქმე, მაშინ კრება გაცილებით მატულობს. ეს ასეთი ამბავი აფოლებს და ჭსტრის იმ საზოგადო მნიშვნელობის აზრსა, რომელსაც ასეთის სასოებით ჩვენ შევსართ. ამ ამბის მნახველს, თუ მსმენელს ისე ჭგონია, რომ თვითონ საქმე, თვითონ საზოგადო მნიშვნელობის აზრი კი არ მოუყრის ხოლმე თავსა. ქუთაისის ბანკის წვერთა, არამედ საქმის გარეშე რამ მიზეზი. გარდა ამისა ესეც შესანიშნავია, რომ იქ ძნელად შეიძლება საქმე ისე წარმართოს, რომ პირადობამ არ ამოჭყოს თავი და თავისი ბასრი კლანჭი არ გამოჭკრას საზოგადო საქმეს. ახა რა სათქმელია საზოგადო კრებაში, — ბანკის დირექტორები არაფერს აკეთებენო. მაშ ვინ აწარმოებს საქმეებს? ნუ თუ ჭგონიათ, რომ ბანკი თავისით დადის და თავისით მოქმედობს? ნუ თუ ამის მთქმელებმა არ იციან, რომ ამისთანა წარამრად თქმული სიტყვა საზოგადო საქმეს, როგორც ბანკია, ხელს უცრის და ტყუილ-უბრალოდ სახელს უტეხავს. ბანკის სახელზეა დამყარებული ის ნდობა, რომლითაც უოკელი ბანკი სულდგმულობს და რომლის მეტ-ნაკლებობაზედ დამოკიდებულია უოკელივე. სიკეთე ბანკისა და ნამეტნავად თვითონ კრედიტის სიძვირე ღ სიიფიუ.

თქვენის გირავნობის ფურცლების მსყიდველს რაღას ეუბნებით, როცა საქვეყნოთა ჭევირით, რომ ჩვენის ბანკის მწარმოებელნი არას აკეთებენო. თუ არას აკეთებენ, თვითონ ბანკიც მაშასადამე უქმია და უქმის კაცის თამასუქს ვინ რას ანდობს. ბანკის თამასუქი გირავნობის ფურცელია. აღარ გინდათ, რომ მაგას ფასი ჭკონდეს? ნუ თუ არ იცით, რომ რამოდენადაც მაგ ფურცელს ფასი აკლდება, იმოდენად ძვირად უჭ-

დებს კრედიტი ქვეყანას საზოგადოდ და მსესხებელს ცალკედ.

არ გაკეთება საქმისა მასინ არის, როცა საქმე უქმობისა გამო ბრკოლდება და ჩერდება. დირექტორების მსუგეოდრებელთ რატომ ერთი მაგალითი არ უჩვენეს კრებს ამისთანა დაბრკოლებისა. თუ ეგ დაბრკოლება იყო, მასინ, რასაკვირველია, საჭიროა გამსილება და საქვეუროდ გაიცხვას. თუ არ ყოფილა, რა საკადრისია მაგისთანა უთავბოლო ლაშარაკი და წარა-მარა ყვედრება მერე იმისთანა საფთხილო საზოგადო საქმეში, რომ გორიც ბანკია. ამ გვარნი უსახუთოდ გამოლასქრება საზოგადო კრებისაგან ამორჩეულ და საზოგადო საქმესედ მიჩენილ კაცებსედ რას მოასწავებს, თუ არ შირადლობს და შირადობის უინსა. ჩვენის ფიქრით, ამ გვარად წარა-მარად მოტიტინე უზატიურად ექცევა თავის-თავსაც და თვითონ კრებსაც, რომლის ყურადღებაც თავის დღეში არ უნდა მიიქცეს იმისთანა უღირსს საგანსედ, რომელსაც ეგრე სარბად სეღსედ დაისგეკს ნოღმე ჭორი და ცილის-წამება. საზოგადო საქმე მეტად ძვირად უღირს ქვეყანას და მასში თუ არ საბუთს, სხვას არასფერს სეღი არ უნდა ქქონდეს. რომელსაც ეს აზრი რჯულად არა აქვს მიღებული, ისა ქსჯობია შინ იჯდეს და საზოგადო საქმეს დაეთხოვოს.

ამ შირადობის უინსეკ ვაბრალებთ ქუთათურის გასეთის «შრომის» აღმა-სენას და დაღმა ფარცხვას ყოველს საქმეში, საცა კი ქუთათისის საადგილ-მამულთ ბანკი ურეკია. ერთს რომელსაც ნომერში გასეთი «შრომა» გულ-მტკიინეულობით იმდურებოდა, რომ ქუთათისის ბანკის კრებამ შარშან რადც უწესურება ხაიდინაო, ამასედ საჩივარი შეიტანეს სამინისტროშიო, მაგრამ რა გამოვიდა, კაცი არ არის ყურადღება მიაქ-

ციხისკ. ბატონო «შრომაკ»! ტყუილად ჰქვიათ ამასუდ. მაგ ტირილით ჰლაღატობთ იმ დედა-აზრს, რომლისათვისაც ყოველგან ეგრეთის თავ-გამოდებით იღვწის ეგრედ წოდებული ღიბეკალობა და რომელსაც თქვენ ეგრეთის თავ მოწონებით ჩემ უფლობთ. აქ სამინისტრომ იცით რა გითხრათ მით, რომ ყურადღება არ მიაქცია მაგ გვარს საზივარს? ბანკი თქვენია, იუული თქვენია, ინტერესი თქვენია, ერთობ თქვენი საქმეა და თქვენს საქმეს თქვენვე მართავენ და უპატრონეთ. როცა ჰსწავით, მით იცით რას ეუბნებით? ბანკი, შანთაღია, ჩვენია, იუული ჩვენია, ინტერესი ჩვენია ერთობ ჩვენი საკუთარი საქმეა, მაგრამ ყოველს ამაში ლაღად და პატრონად შენ რომ გაშინდვი, ძალიან გარგი იქნებაო. ბესმით სანდა ჰსტყვით «შრომის» მშრომელნო! ნუ თუ ვერა ჰკრძნობთ, რომ საზოგადოებრივს, ესე იგი საკუთარს უფლებაზედ სულს იღებთ და კანცელიარისა უქვემდებარებთ საზოგადოების, ესე იგი თქვენს საკუთარს საქმესა. მაგისთანა რა დაგიშავს ქუთაისის ბანკის წევრთა, რომ ეგრე უსასკოდ იტანით და მისის უპეკოდ ყოფნისა გამო ჰკლდობთ და ტირით? ნუ თუ თვითონ ბანკის ვრების გამჭრიახობას იმოდენა არ შეუძლიან, რომ თავისი უწესობა თვითონვე დაინახოს, თვითონვე თავიდან მოიშოროს და წესი და რიგი ჩამოაგდოს? ეგ იმედი ბანკის ვრების გამჭრიახობაზედ სამინისტროს არ დაჰკარგვია და თქვენ რაზედ და რის გამო დაგაკარგავთ? განა არ იქნება, შენიშნული უწესურება შეცდომა, თუ სხვა რამ ამისთანა, — თვითონ ვრებისა აუწყოთ, აუხსნათ, გააკვირნოთ და თვითონვე ვრებას გასწორებინოთ. გვერწმუნეთ, ყოველს ვრებაში იპოვება კეთილგონიერი ნაწილი ვრებისა, რომელიც დამჯდარს აზრს, დამჯდარს სიტყვას, კეთილად განმძახულს წინადადებას სიხარუ-

ლით მიეკებება და ძლევიტ შემოსაჲს. რად გინდათ, რომ ეს თავისუფლება ჩამოგვერთვას და რაღაც კანტელარიას გადავლაცოთ? თქვენგანვე ნაღადადებ თვით-მმართველობის დედა-აზრს რა პირობით-ღა დაუწუებთ ამის შემდეგ უურებსა?

დიდი სანია მას აქედ, რაც რუსის მთავრობამ ბანკის და კრედიტის საქმე საზოგადოების საქმეთ იცნო და ზოგიერთი თვისი უფლება ამ საქმის შესახებ თვითონ საზოგადოებას მიანია და დაუთმო. ფინანსთა სამინისტროს სასახულოდ ესეც უნდა ვჭსთქვათ, რომ დიდის ციფთხილით ექცევა ამ საზოგადოებრივს უფლებასა და ჩამოაგინადაც დროს ვითარება ნებას აძლევს, ცდილობს საზოგადოება სახელმწიფო აშუკას მოაშოროს და მის საკუთარს ფესსა და გზაზედ დააყენოს. ამის გამო ყოველს საჩივარს, რომელიც ბანკის შინაურ განწყობილებას შეეხება, ბანკის შინაურ მართვას და წესიერებას, — უურადღებოდ ჭსტოვებს და ამბობს: ეგ თქვენი საქმეა, თქვენი შეცდომა თქვენვე თქვენის დონით, თქვენის შედამხედველობით, თქვენის გამჭრიახობით გაასწორეთო. თქვენ კი ამაზედ ამბობთ, ვაი ეს რა მოგვივიდა? ჩვენი ჩვეული ლაღა ჩვენზედ ხელს იღებს და ჭოჭინით ალან გვატარებსო? ჩვენ რა ვიცით ჩვენის თავისაო, თუ ჩვენი სიყუთე გინდა, უადევ შენ იუაჲი ჩვენი პატრონი და მომკლელიო. ნუ თუ სუტირალია, რომ ამისთანა ბღაგილს მთავრობა უურადღებას არ ატყუებს?

ძლივს ერთადერთ საზოგადოებრივს სიყურაში ჩვენმა საზოგადოებამ თვისი უფლება ცოტად თუ ბევრად ხელთ ჩაიგდო და აქაც კი ბეჭედის წამომადგენლები, ესე იგი, ჭკუისა, გონებისა და განათლების მარჯაში გარეულები, დიდებულების მოქალაქეები მწიქალნი ჰგლოვობენ და ტირიან, რომ მთავრობა ამ უფლებაზედ ხელს არ გვადებინებს. ბატონებო, თუ დი-

ბერკლახობა, ჭკმძარბი ლიბერალობა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივს უფლებას თავისი კუთვნილი, ნამეტნავად მასინ, როცა თვითონ მთავრობა სამსუღვარს უნიშნავს. მოედანი ჭკონდეს ადამიანის ცხოვრებაში. მიხედ-მოიხედეთ და ნახავთ, რომ ყოველი ჭკმძარბი ლიბერალი ამისათვის იღვწის და იბრძვის. როცა საკუთარ ცხვირ-წინ ლიბერალობის ჭკმძარბის საგანს კაცი ვერა ჭსტნობს, როგორც ამ შემთხვევაში «შრომა», დ მანც ლიბერალობაში თავსა ჭსდებს, მასინ იმას ამოქმედებს რწმენა კი არა, რომელიც დამჯდარის გონებით აღიარებული რჯულია, არამედ მეტიხარობა. მასინ ის თუთიყუშის ლიბერალობისა და არა ცნობიერი წარმომადგენელი. აი აღმახვან და დაღმა-ფარცხვა ამასა ჭკვიანი.

ჭუთაიხის ბანკსაც ის სასიქადულო საგანი უდევს მისაღწევად, რაც თბილისის ბანკსა, იქაც, როგორც აქ, უდიდესი ნაწილი მოგებისა საზოგადო საჭიროებას უნდა მოხმარდეს, იქაც, როგორც აქ, ყოველივე პირადი სარგებლობა უარ-ყოფილია და საყოველთაო საფუძვლად დადებული. ჯერ ამასი გამორჩინა თვისი მამა-პაპით შეთვისებული გულ-უხვობა და ჭკვლ-მოქმედება ჩვენსა თავად-ანაურობამა. საყოველთაო სიკეთის მისაღწევად მარტო ამ ნაწილმა ჩვენის ჭკუენის მცხოვრებლებისამ იგისრა ჭკუენისათვის ფულის შეწირვა და დახარსა რიივე ბანკი.

მართალია, ბევრი ემდურწება ამ ბანკებს, დიდი იმედი გვქონდათ და არაფერი გამოდისო, მჯერამ მარტო უმეტრება იტყვის ამასა და არა დამჯდარი ჭკუა. სულ შვიდი თუ რვა წელიწადი არ არის, რაც ჩვენში ბანკები მოქმედობენ და ნუ თუ შვიდი წელიწადი სამყოფია, რომ ჭკუენამ ფერდ იცვალოს ბანკებისა, თუ სხვა რამის შემწეობით, ამ საქმეში გუშინდელს

და დღევანდელს კი არ უნდა მივასხერდეთ, იმიტომ-რომ ეგ გუშინი და დღევანდელი მეტად მოკლე ხანია ქვეყნის წარმატებისათვის და საყოველთაოდ კვადის დახსენისათვის. ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ქვეყანა ისტორიის საწბიელზეა გამოსული. დღევანდელი ჩვენი ყოფა ორი ათასის წლის ცხოვრების შედეგია და ნუ თუ გგონიათ, რომ ამ შედეგს შვიდს წელიწადზედ ან ბანკი, ან სხვა რამ ფერს აცვლევენებს! თუნდაც არ იყოს, სხვა რა იმედი უნდა მოგვცა ბანკს, თუ არ ის, რომ საადგილ-მამულა კრედიტი, რომოდენადაც შეიძლება იყოს, აწარმოვოს ჩვენს ქვეყანაში და მოგებულის ფულით საზოგადო გაჭირვებაში რაიმე შეღავათი მოგვცეს. როდის უძეგუნა ან ერთს იმედს, ან შეორეს ჩვენმა ბანკებმა? მართალია, საადგილ-მამულა კრედიტს ჩვენში და საზოგადოდ რუსეთში ბევრი რამ აკლია, მართალია, ჩვენი ბანკები ჯერ იმოდენა მოგებას არ იძლევიან, რომ ყოველს გაჭირვებას მივეშველოთ. ერთისათვის საჭიროა საყოველთაოდ კრედიტის სისტემის შეცვლა; რომელიც ბანკების ხელთ არჩრის და შეორისათვის საზოგადოებრივი მოქმედება, რომელსაც მოთმინება უნდა; ყოველივე საზოგადო საქმე იმოდენად თანა-საგვრძობისა და საქებური, რომოდენადაც თვითონ მის საკუთარს ბუნებას მინიჭებულად აქვს ღონე თავით თვისით განვითარებებსა, გაძლიერებისა, როცა სხვა არა უშლის-რა. ბანკი, თუ რამ სხვა საზოგადო დაწყობილობა სწორედ, ამ მხრით უნდა გაისინჯოს და ამ სასწორზედ აიწონოს. აბა ჩვენი ბანკები ამ თვალთ გასინჯეთ და ნახაძით, რომ ივინი წარმოდგენენ ერთს საუკეთესოს და საიმედოს მხარეს ჩვენი ცხოვრებისა. ამიტომაც ყოველი ერთგული ჩვენი ქვეყნისა სიხარულით კი არ უნდა მიესიოს ხალხე ყოველს შენდომისა, წინ-დაუხედავობისა,

ღრუბლების წყება სხვა-და-სხვა ელექტრონებით ზრის გატენილი — ფისისა და მინისა. ამ ორ ღრუბელშუა ტრიალებენ ელექტრონების ძალით სეტყვის მარცვლები და ვიდრე ისე არ დამძიმდებიან, რომ ელექტრონის ძალა ვეღარ მოერევა, ძირს არ ჩამოცვივიან. ატომი როგორც ჭკერისა, ისე წყლისა, გატენილი მინის ელექტრონით, მიიზიდება ფისის ელექტრონის გატენილ ატომთან, ამ უკანასკნელს მისცემს თავის ელექტრონს, გამომართმევს იმისას. ამ გზად იწუბოს ეს ატომი ელექტრონობის შეცვლას ხან ერთდგან, ხან მეორესთან. ერთის სიტყვით ღრუბელში მყოფი წვეთები თითქმის თამაშობენ ღრუბელთ წყებათა შორის. ეს აზრი შემცდარია და აიწათაც. მართალია, ფისის ელექტრონი იზიდამს მინისას, მაგრამ სხულები ერთმანერთის მიკარებათ ჭკარვამენ ელექტრონის ძალას და ეს სხულები თუ ვერ აიჩქვიან, განშორდებიან ერთმანერთს. ღრუბელი წყლის წვეთებით არის შემდგარი. როდესაც სხვა-და-სხვა ღრუბლები მინისა და ფისის ელექტრონით არიან გატენილნი, რა თქმა უნდა რომ ამ ღრუბლებს შუა ნოტიო ჭკერია და რადგანაც ნოტიო ჭკერი ვაი გამტარებელია ელექტრონისა, ღრუბლების ელექტრონები შეუერთდებიან ერთმანერთს. შეერთდებიან აგრეთვე ღრუბლებიც, აიჩქვიან ერთმანერთში და შეადგენენ ერთ ღრუბელს¹⁾. ამასთანავე ღრუბელი რომ ელექტრონით იყოს სტეკილი (напряженный), მაშინ სეტყვას ღრუბლის შუა გაყოფილებაში ვი არ მოვა; მის ნაზღვრებდგან უნდა მოვიდეს, რადგანაც დამტყიცებელია, რომ ელექტრონი სხუელს ნაპირებზედ უფრო შეიკრიბება, ნამეტნავად იმ ნაპირებზედ აიტყიცება, რომელიც უფრო თხელია.

¹⁾ Араго.

ამ თეორიის დასამტკიცებელი საწინააღმდეგარავე არ ვარკვია, რადგანაც რთულის გამო ამ მინის საზღვრებში, ჭკერი მეტად განხორციანდება, რაკი ელექტრონი იწეობს მოძრაობას; აგრეთვე ელექტრონებზედ მიეკრობა წყლის წვეთები, რომელნიც ელექტრონის ძალიც განიყოფებიან თავის ნაწილებად. ფისის ელექტრონის მსარეს შეკროვდება წყალ-მზადი და მინის ელექტრონის მსარეს მეკრო-მზადი (водородъ и кислородъ). ელექტრონის მიძინარეობა შეკროვებს ამ ნაწილებს და როგორც ცნობილია ამ შეკროვით წარმოადგება მთვითქავი ჭკერვარც (премутій газъ) და ამ მინის საზღვრებს სულ ღუქა-ღუქა დაღწამს.

მე მგონი ეს საბუთები სკამარისაა ბ. ნათიძის თეორიის დასარღვევად.

ახლა ვაკვინჯოთ რა ბუნების მოვლენაა ღრუბელში შესაძლებელი მაშინ როდესაც ღრუბელი ატეცილია ფისის ელექტრონით (ესლა ჭიხიკაში მაღლებია, რომ ღრუბელის ელექტრონი შესადგება ფისის ელექტრონით, რომელიც მსდგეს წყლის წვეთებს) და ამ მოვლენით შეიძლება სეტყვის განხრა თუ არა. სეტყვის განხრისათვის საჭროა ჭკერის სიცივე ღრუბელში წვეთების გასაყინავად. ამასთანავე შენიშნულია, რომ სეტყვის წინ ელვა არ იცის და ღრუბელთან ჭარი ჭკრის.

რადგანაც ჭკერი იმ სიმაღლეზედ ასულ ღრუბელს ძალიან მცირედ აწკება, ამიტომ იჭკევრით ნაკლები სიცივეა გასაყინავად საჭირო. ვიდრე მიწაზედ. ცივი ჭკერი უფრო კიდევ გაცივდება შემდეგის მიხედვით: როცა ღრუბელში ფისის ელექტრონი მეტად აიტაციება, მაშინ ელექტრონი დაიწეებს მიძინარეობას და განხდება ელექტრონული ნაკადი (Электрический токъ). ეს ელექტრონული ნაკადი ბევრ წვეთებს ერთ-

ბაშად ორთქლად გადაქცევს, ორთქლი ჭყერიდამ სითბოს ხმა-
რობს და ჭყერი ამით უფრო ცივდება, ისე რომ დანარჩენი
წყლის წვეთებიც გაიყინება ღრუბელში.

ელექტრონული ნაკადი თავის ძალით ჭყერს მისცემს მოძ-
რაობას²⁾. ქარს აგრეთვე ღრუბლების შეტაკებაც გააჩენს. რად-
განაც ელექტრონული ნაკადი ირჩევს იმ კვალს, რომელზედაც
ნაკლები დაბრკოლებაა და ეს კვალიც ის არის საცა, ღრუბლე-
ბი უფრო სქლად არის, ამიტომ სეტყვა შუა ღრუბელს მიზ-
დეკს და არა ნაპირებს და ხანდისხან მოტრიალებაც იცის. ამი-
ტომ სეტყვის წინაღ ელვა არ იცის. ამიტომ ქვის სასცილე-
ბელი უფრო მიიზიდავს სეტყვას, ვიდრე ხატილებს, მართლაც
შენიშნულია, რომ სადაც სეტყვის სასცილებელი გაუკეთებიათ,
იქ უფრო მოსულა სეტყვა (არაგო).

ღვით მარხნიშვილი.

1882 წ., 21 თებერვალს.

²⁾ Секци. Единство физическихъ силъ—индуктированныя токи, опыты Блазерна.

ბანცხალეზა.

გულ-მსურველად ვსთხოვთ, ვისაც კი შეუძლიან მიახედონ და, განსაკუთრებით, სოფლის მასწავლებლებს, რომ ჩვენი სახალხო შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვა ყოველ-გვარის ზეპირ-გარდმოცემები, შეძლებისა-და-გაკრად, მოაგროვონ და ჩემ სახელზედ, ან «დროებისა» და ან «შრომის» რედაქციაში გამოგზავნონ სულმე. ამით ისინი რიგინ. სამსახურს გაუწევენ ჩვენს დედა-ქვას და კერძოთ მეც დამავალბენ. მსოფლიდ ამას კი ვსთხოვთ, რომ გადმოწერის დროს, აწაფიონ განსწორონ და თავისი აწა ჩაუმატონ-რას; დასწერონ ისე, როგორც გაიგონონ, უმეტ-ნაკლებოთ, და აგრეთვე ისიც მოიხსენიონ—თუ ჩვენის ქვეყნის რომელ-კუთხეში გაუგონათ იმათგან დაწერილი შაირი, ზღაპარი და სსკ.

უმოწინილესად ვსთხოვთ ქართულ ყურნალ-გაზეთების რედაქტორებს, რომ მათ ყურნალშიც გადაბეჭდონ ეს თხოვნა.

აკაკი.

უწინდელი ცინე-სიმაგრეები — ბურღნი ქრისტიანობისა და თავისუფლებისა. — აწყური, ახალციხე და ხერთვისი. — ვისი იყო სამცხე-საათაბაგო და ვისია ეწლა? — ოდნავ-მპყუტავი ქართველობა. — ქართველები ასე მალე რამ ვაამაჰქმადიანა? — სკოლები მართლ-მადიდებლობის გამავრცელებელ საზოგადოებისა. — გათათრებულ სოფლებში მშვენიერი ხალხი სცხოვრობს და ქრისტიანთა სოფლებში კი ზნეობრივად და თვალ-ტანადობითაც დაჩაგრული. — ფავანეთის ბუნება. — ფავანეთის ახალ-ქალაქი.

201

XI შანაურის მიმოხილვა. გაფაფხული ჩვენში განკითხვის დღეა — რით არის ჩვენში შესანიშნავი გაფაფხული — ჩვენი უტყუველობა — ენის ადგმა — ახალი მაგალითი — საზოგადო მნიშვნელობის ძარღვი — მეტყუველობის ფერი და ღირსება — სიტყვა საქმეა — შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა — უიმისოდ და მისით — ისტორია და ისტორიის ღირსი ერი — უწინ, როცა... — რა მასწავლებს შემოქმედობითს ძალსა — წიფევანდელი საზოგადო კრება თბილისის ბანკისა — ორი დიდი საგანი — საყოველთაო საქიროება სწავლა და განათლება — ნმა-გაკემნდილი «მე» და მლაღადებელი «ჩვენ.» — ჩვენდა სამწუხაროდ — წარა-მარა ლაპარაკი — «შრომის» ლიბერალობა — უსაფუძვლო სამღერავე ჩვენს ბანკებზედ — რის იმედი უნდა გვექონოდა — აღსრულოდა თუ არა იმედი — გურიისა და გორის თავად აზნაურობის წინადადებანი — მათი მნიშვნელობა — ეროვნული ღირსება და მისი შედეგი — კაცების შერჩევა — საბუთიანის აზრის თვისება.

213

XIII რა უნდა იყოს სეტყვის მიზეზი? დაჯ. თარხნი-შვილისა.

233

IV ბანცხადებანი.

240

შენიშვნა «ივერიის» რეპრტია უმორჩილესად სთხოვს ქ ხელის-მომწერლებს, რომელთაც კერძო უჭრნადის ფასი კ შემოუტანიათ, ან რომელთაც შემოიტანეს მხოლოდ ოთხი ნათი, ნუღარ დააკვირებენ ფულას გამოგზავნას.

ნ 383
1882

ზანსხადება.

ამა 1882 წელს ჟურნალს «ივერიანულ» ხელის მო-
წერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანაა.

ვისაც ერთად შემოიტანს გაუძნელებს, შეუძლიან კერძო მანათი შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი შიგნით
მაისამდე.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომე-
ლიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხევის ქუჩაზედ. ფარკაში ი-
ლის სასტუმროში № 9 და აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში.

ქაღაჭს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფუფა შემ-
დეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ.

Во Тифлисѣ.

Во Редакцію журнала «ИВЕРІЯ».

ვისაც ჟურნალ თაკის დროზედ არ მიუვიდეს, კონს-
ტანტინოპოლისა და სხვა ადრესებს რედაქციას.